საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№01 (377)
11 - 17 ნოემბერი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## იტალიელი არისტოკრატი კანაფის მოყვანისთვის დააპატიმრეს, საქართველოში კი «ბირჩს» უპატრონოდ ხმას არავინ სცემს 3

# მაოხრებელი მეკვლე





„როდესაც 2008-ში ილჰამ ალიევმა ჩათვალა, რომ ამერიკელები მის ქვეყანას სათანადო პატივისცემით არ ეპყრობიან, ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინის აეროპორტში არ დახვდა და პრემიერმინისტრის ნაცვლად იქ პირველი ვიცეპრემიერი მიავლინა. ამერიკელები იძულებულნი შეიქნენ, ეს „გადაეყლაპათ“. ჩვენ შემთხვევაში კი საუბარია გაცილებით დაბალი რანგის პერსონაზე; მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს მცირედი შეშფოთებაც კი არ გამოუხატავთ — ისინი აღტაცებულნი დახტოდნენ ამერიკელი სტუმრების გარშემო, როგორც კარგო-კულტის მიმდევარი პაპუასი ბელადები“. 4

## რუსი მიტროპოლიტი 6



„ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვარს სააკაშვილის ფოტო საკურთხეველში ეკიდა. უფრო მეტიც, სალხინოში, დადიანების სახლ-მუზეუმში მალავდა ძებნილ ძმებ ახალაიებს. მეუფე პეტრეს თავი უკვე პატრიარქად წარმოუდგენია... ერთ-ერთი ბერი ისეთ დღეში ჩააგდო, რომ მან წვერი გაიპარსა, ცოლი შეირთო და ეკლესიას ახლოსაც აღარ ეკარება“.

## «ხელისუფლებას ვურჩევ, მაკკეინის ნაცვლად რუსეთის პრეზიდენტს დაელაპარაკოს» 11

## საქართველოში უცხოელი მიგრანტებისა და დევნილების რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს 7

## «საქართველო ჯონისია, საქართველო იანისია»


გენერალი ტოტლებენი


იან კელი

„ერეკლე მეფეს იმას ვაყვედრით, როგორ ენდო გენერალ ტოტლებენს, როგორ იყო მის იმედად, ახია მაგაზე, ხომ მოატყუეს რუსებმა და ხომ შეატოვეს ვერაგ მტერს პირისპირო... დიახ, ეს მართალია, მაგრამ რა არის, იცით, გაუგებარი? ეს ევროპა და ამერიკა, უკვე ლამის 30 წელია, ყოველდღე გვატყუებენ, ვერაგ მტერსაც შეგვატოვეს პირისპირ, მოგვიანებით მათი პრეზიდენტები და ლიდერებიც გვინახავს იმავე ვერაგ მტერთან ჩახუტებული და მაინც „ძმებსა და მეგობრებს“ ვეძახით... უცნაური არ არის?“ 10

## გიბილოცავთ სამართლიანობის აღდგენას

### «უგულავას გათავისუფლება ივანიშვილს მაკკეინმა უბრძანა» 8







## «სროკის» რა პატარა ჰქონია...» 13

## ადამიანი-საცობი 12



საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რუსეთისთვის სანქციების დაწესებამ ევროკავშირს 2015 წელს 18 მილიარდი ევრო დააკარგვინა

**ავსტრიული გამოცემა Der Standard-ის მიმომხილველი წერს, რომ ევროკავშირს „ეკონომიკური ომი" რუსეთთან მხოლოდ 2015 წელს თითქმის 18 მილიარდი ევრო და 400 ათასი სამუშაო ადგილის დაკარგვად დაუჯდა.**

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში სამუშაო დაკარგა 97 ათასმა ადამიანმა, ავსტრიაში — 7 ათასმა.





## პარტიების მიერ მიღებულმა შემოწირულობებმა 2016 წელს 34,4 მილიონი ლარი შეადგინა

**საქართველოს სახელმწიფო აუდიტის პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში მოქმედმა 60 პარტიამ 34,4 მილიონი ლარის შემოწირულობა მიიღო.**

მმართველი პარტია **„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო"** მიღებული შემოწირულობებით პირველ ადგილზეა. 2016 წელს ქვეყნის მოქალაქეებმა პარტიას დაახლოებით 23 მილიონი ლარი გადაურიცხეს. შემდეგ მოდის პაატა ბურჭულაძის მიერ დაფუძნებული პარტია **„სახელმწიფო ხალხისათვის"**. მან 4,5 მილიონი ლარის შემოწირულობები მიიღო. შემოწირულობების მიხედვით ლიდერთა შორის არიან **„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"** (1,6 მილიონი ლარის ოდენობის შემოწირულობა) და ყოფილი მმართველი პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"** (409,7 ათასი დოლარი). ყველაზე ნაკლები შემოწირულობა (5 ლარი) მიიღო პარტიამ **„განახლებული საქართველოსთვის"**.



## «მადლობა მაკკეინს! მალე ივანიშვილის ყველა პირადი პატიმარი გათავისუფლდება»

**„მადლობა ჯონ მაკკეინსა და ლინდსი გრემს, აგრეთვე, ათეულობით ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსს, რომლებიც ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველო დემოკრატიულ განვითარებას დაუბრუნდეს", — დაწერა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა სოციალურ ქსელში.**

მისი თქმით, მალე ივანიშვილის ყველა პირადი პატიმარი დატოვებს საპატიმროს.

„სულ მალე ივანიშვილის ყველა პირადი პატიმარი დატოვებს საპატიმროს და ამ საქმის ლიდერი გიგი უგულავა იქნება", — დაწერა ზურაბ ჭიაბერაშვილმა „ფეისბუქში".

# რის საფასურად მივიღებთ ე.წ. ვიზალიბერალიზაციას?

## ევროკავშირი მიგრაციის პრობლემის მოგვარების საქმეში საქართველოს როლზე ალაპარაკდა

**დიასპორისა და კავკასიის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად კვაჭანტირაძე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ იანოშ ჰერმანს შეხვდა. პარლამენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრაზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ვიზის ლიბერალიზაციის საკითხი, ევროკავშირში მიმდინარე პროცესები და ევროკავშირის ქვეყნების წინაშე მდგარი მიგრაციის პრობლემები განიხილეს. საუბარი იმ ინტერესებს შეეხო, რომლებიც ევროკავშირს საქართველოსთან, კონკრეტულად, მიგრაციის საკითხების მიმართ აქვს.**



იანოშ ჰერმანის განცხადებით, **მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებისთვის სერიოზული გამოწვევაა და ევროკავშირი დაინტერესებულია მასში საქართველოს როლითა და შესაძლებლობებით.** მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, ამ საკითხს კოორდინატორი ჰყავდეს პარლამენტში.

როგორც დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ზვიად კვაჭანტირაძემ აღნიშნა, პარლამენტში ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს და მიგრაციის თემისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კონცენტრირება სწორედ დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტში მოხდება.

მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ მთელ რიგ საკითხებზე შეხვედრები გაიმართება.

**იანოშ ჰერმანი: მიგრაცია ევროკავშირისთვის სერიოზული გამოწვევაა და ევროკავშირი დაინტერესებულია ამ მიმართულებით საქართველოს როლითა და შესაძლებლობებით**



## გიგი უგულავა: «ნაციონალური მოძრაობა», გაყოფილი კი არა, დანგრეულია

**„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ „ნაციონალურ მოძრაობაში" შექმნილი ვითარება შეაფასა.**

„ეს პარტია აღარ არის ერთიანი. როდესაც ადამიანები ერთმანეთს გამარჯობას არ ეუბნებიან, ნიშნავს, რომ ფუნდამენტური პრობლემებია. პარტიის ერთიანობის შენარჩუნების რესურსი, პრაქტიკულად, აღარ არის. არ ვადასტურებ არანაირ გაყოფას, რადგან პარტია, გაყოფილი კი არა, დანგრეულია. ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ახალი პარტია უნდა შეიქმნას და ის, რომ ჩვენმა თანამოაზრეებმა ახალი პარტია გავაკეთოთ, რთული წარმოსადგენია და არ არის ადვილი გადაწყვეტილება, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც შეუძლებელია წინსვლა და პროგრესი, მაშინ უნდა მიიღო გადაწყვეტილება, სად დარჩები — აირჩევ პროგრესს, თავისუფლებას თუ გადაეშვები ნაციონალურ, პოპულისტურ დემაგოგიაში, რომელიც საზოგადოებას არაფერს მოუტანს", — განაცხადა უგულავამ.




## ჟერარ დეპარდიემ სტალინი განასახიერა

### ფილმ «სტალინის დივანის» მსოფლიო პრემიერა 11 იანვარს გაიმართება

**მსოფლიოს კინოეკრანებზე გამოდის ფილმი „სტალინის დივანი" (Le divan de Staline), რომელიც სახელგანთქმულმა ფრანგმა მსახიობმა და კინორეჟისორმა ფანი არდანმა გადაიღო.**

იოსებ სტალინის როლს ასრულებს არანაკლებ სახელგანთქმული ფრანგი მსახიობი **ჟერარ დეპარდიე.** ფილმი გადაღებულია თანამედროვე ფრანგი მწერლის — **ჟან-დანიელ ბალტასატის** 2013 წელს გამოცემული რომანის მიხედვით. ფილმის მოქმედება მიმდინარეობს 1950 წელს საბჭოთა კავშირში. ახალგაზრდა სკულპტორს დაავალებენ სტალინის სტატუის შექმნას. საპასუხისმგებლო დავალების გამო მოკრძალებული სკულპტორი „კა-გე-ბეს" თვალთვალის ობიექტი ხდება. საბოლოოდ, ახალგაზრდა მხატვარი საბჭოეთის ბელადზე იმაზე მეტს შეიტყობს, ვიდრე ელოდა.

## გლდანში «საქართველოს ბანკის» ფილიალი დააყაჩაღეს

**„საქართველოს ბანკის" ერთ-ერთ ფილიალს, რომელიც გლდანში, ხიზანიშვილის ქუჩაზე მდებარეობს, უცნობი პირი დაესხა თავს. დანაშაული 10 იანვარს, დილით, მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელი მარტო იყო. ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობის თანხა გაიტანეს ბანკის ფილიალიდან.**

2016 წლის დეკემბრის ბოლოს ამავე რაიონში „საქართველოს ბანკის" კიდევ ერთი ფილიალი გაქურდეს.

პოლიციამ საქმის გახსნა მეორე დღესვე მოახერხა, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს გატაცებული თანხის ნაწილი — 1 475 ევრო, 60 აშშ დოლარი და 640 ლარი.



**შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების მიუხედავად, რომ დაიწყო გამოძიება ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის ფაქტზე, ჯერ არავინ დაუსჯიათ. როგორც ჩანს, ხელისუფლება იმედოვნებს, რომ უმუშევარ, შესაბამისად, უფულო და ულუკმაპურო მოსახლეობას მარიხუანის მოყვანით დაასაქმებს და დააპურებს...**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იტალიელი არისტოკრატი საგვარეულო სასახლეში კანაფის მოყვანისთვის დააპატიმრეს, საქართველოში კი «გირჩის» წარმომადგენლებს უბატონოდ ხმას არავინ სცემს

**„უნიათო“, „უმაქნისი“, „ამერიკელი პატრონების ბრძანებების უსიტყვოდ შემსრულებელი“ — ამ ეპითეტებით შემკობას რომ იმსახურებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, რომლის გადაწყვეტილებებმა საწვავის, სიგარეტისა და აქციზის გაძვირებაზე კიდევ უფრო გაურთულა ცხოვრება ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას, გასული წლის მიწურულს მომხდარმაც დაადასტურა.**


ანდრეა ოდესკალჩი


პოლიციელები ანდრეა ოდესკალჩის სასახლეში




„გირჩის“ წარმომადგენელთა მიერ დათესილი კანაფი

2016 წლის 31 დეკემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ პირმშოს — „გირჩის“ წარმომადგენლებმა და მათმა მხარდამჭერებმა, რომლებიც ითხოვენ, რომ გაუქმდეს ყოველგვარი სასჯელი ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე და მოხდეს კანაფის კულტივირებისა და შენახვის ლეგალიზება, „გირჩის“ ოფისში კანაფი საჯაროდ დათესეს და ეს პროცესი პირდაპირ ეთერში აჩვენეს. შემდეგ ამოსული კანაფის ფოტოები ინტერნეტში გამოაქვეყნეს. საქართველოს ხელისუფლებას კი პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და, დასავლელი პატრონების შიშით, კანაფის თავხედურად დამთესავების არათუ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯას, არამედ მათთვის ცივი ნიავის მიკარებასაც არ აპირებს — შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების მიუხედავად, რომ დაიწყო გამოძიება ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის ფაქტზე, ჯერ არავინ დაუსჯიათ. როგორც ჩანს, ხელისუფლება იმედოვნებს, რომ უმუშევარ, შესაბამისად, უფულო და ულუკმაპურო მოსახლეობას მარიხუანის მოყვანით დაასაქმებს და დააპურებს...

ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე, 2016 წლის 21 დეკემბერს, იტალიაში იტალიელი არისტოკრატი კანაფის მოყვანისთვის დააპატიმრეს(!).

„იტალიელი არისტოკრატების ძველი გვარის წარმომადგენელი 33 წლის **ანდრეა ოდესკალჩი** საგვარეულო სასახლეში კანაფის მოყვანისთვის დააპატიმრეს“, — იუწყება გაზეთი Il Mattino.

აკრძალული მცენარის მოსაყვანად სათბური მოწყობილი იყო სასახლის ერთ-ერთ ოთახში. იქ სამართალდამცავებმა 1 მ-ის სიმაღლის 35 ბუჩქი ნახეს, აგრეთვე, დაფასოებული და გასაყიდად გამზადებული ნარკოტიკები იპოვეს, 114 გრამი მარიხუანა და 7 გრამი ჰაშიში კი იტალიელ არისტოკრატს ჯიბეში ჰქონდა. ოდესკალჩის ბრალი წაუყენეს გასაღების მიზნით ნარკოტიკული ნივთიერების მოყვანაში.

ოდესკალჩების გვარი ისტორიაში პირველად 1290 წელს მოიხსენიეს. ამ გვარის წარმომადგენელი იყო რომის პაპი ინოკენტი XI (რომის კათოლიკურ ეკლესიას ხელმძღვანელობდა 1676—1689 წლებში). ამ გვარის წარმომადგენლებს ორმაგი მოქალაქეობა აქვთ — იტალიისა და ვატიკანის.

ოდესკალჩის სასახლე საკურორტო ქალაქ სანტა მარინელაში XII საუკუნეშია აგებული და თავდაპირველად თავდაცვითი ნაგებობის ნაწილი იყო, შემდეგ კი — ერთ-ერთი კათოლიკური ორდენის სახლი, რომელიც ოდესკალჩის გვარმა 1887 წელს იყიდა.

**2016 წლის 31 დეკემბერს «ნაციონალური მოძრაობის» პირმშოს — «გირჩის» წარმომადგენლებმა და მათმა მხარდამჭერებმა, რომლებიც ითხოვენ, რომ გაუქმდეს ყოველგვარი სასჯელი ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე და მოხდეს კანაფის კულტივირებისა და შენახვის ლეგალიზება, «გირჩის» ოფისში კანაფი საჯაროდ დათესეს და ეს პროცესი პირდაპირ ეთერში აჩვენეს. შემდეგ ამოსული კანაფის ფოტოები ინტერნეტში გამოაქვეყნეს. საქართველოს ხელისუფლებას კი პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და, დასავლელი პატრონების შიშით, კანაფის თავხედურად დამთესავების არათუ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯას, არამედ მათთვის ცივი ნიავის მიკარებასაც არ აპირებს**

# დუტერტემ დაიფიცა, რომ დახოცავს ნარკოტიკებით მოვაჭრე მაღალჩინოსნებს

**ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ დაიფიცა, რომ დახოცავს იმ მაღალჩინოსნებს, რომლებიც ნარკოტიკებით ვაჭრობენ.**

დუტერტემ განაცხადა, რომ აქვს სია სახელმწიფო მოხელეებისა — ქალაქების მერების, პროვინციების გუბერნატორების, პოლიციის ოფიცრების... დაახლოებით 10 ათასი კაცის, რომლებიც ჩართულნი არიან ორგანიზებულ დანაშაულში.

**„მოძებნე შენი სახელი ამ სიაში. კახპის შვილო, თუკი შენ ამ სიაში მოხვდი, დიდი პრობლემა შეგექმნება, აუცილებლად მოკლავ!“** — დაემუქრა ფილიპინების პრეზიდენტი სახელმწიფო მოხელეებს.

როგორც გამოცემა The Independent-ი იუწყება, ამ დოკუმენტის ერთ-ერთი ფიგურანტი, პროვინცია მინდანაოს პატარა ქალაქის მერი ანტინარკოტიკული ოპერაციის მიმდინარეობისას მოკლეს 2016 წლის ოქტომბერში.





## დონალდ ტრამპი: მხოლოდ ბრიყვი შეიძლება იყოს რუსეთთან კარგი ურთიერთობის წინააღმდეგი

**„ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის კარგი ურთიერთობა ცუდი არ არის“, — ეს განცხადება აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.**

„რუსეთთან კარგი ურთიერთობა კარგია და არა — ცუდი. მხოლოდ ბრიყვებსა და სულელებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ეს ცუდია. აშშ-ის ხელისუფლებას ისედაც ბევრი პრობლემა აქვს მსოფლიოში. ჩემი პრეზიდენტობისას რუსეთს უფრო მეტი პატივისცემა ექნება ამერიკის მიმართ, ვიდრე დღეს აქვს“, — დაწერა დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელ ტვიტერში.



## ჯონ კერის აღიარება: «ისლამური სახელმწიფო» შევქმენით მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვემხო ბაშარ ასადი

**„ჩვენ ე.წ. ისლამური სახელმწიფო შევქმენით მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვემხო ბაშარ ასადი“, — აღიარა აშშ-ის ჯერჯერობით მოქმედმა სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ სირიის კანონიერად არჩეული პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებთან შეხვედრისას. კერის სიტყვით გამოსვლის აუდიოვერსია ეთერში ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-მა გაუშვა და დაბეჭდა გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა“, ოღონდ ამ აუდიოვერსიიდან ამოჭრილი იყო 35-წუთიანი მონაკვეთი.**

„მთავარი მიზანი „ისლამური სახელმწიფოს“ წარმოშობისთვის ხელის არშეშლის, მისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნის, მისი გარკვეული დაჯგუფებების შეიარაღებისა იყო სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ასადის ხელისუფლების დამხობა. ამით ჩვენ ვფიქრობდით, რომ ვაიძულებდით ბაშარ ასადს ოპოზიციასთან გარკვეულ მოლაპარაკებებზე წასვლას. ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებდით ე.წ. ისლამური სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერეს, მაგრამ ფიქრადაც არ გაგვივლია, ასადი რუსეთს თუ სთხოვდა სამხედრო დახმარებას და რუსეთი ასე ღიად ჩაებმებოდა კონფლიქტში“, — განაცხადა კერიმ.

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც 2008-ში ილჰამ ალიევმა ჩათვალა, რომ ამერიკელები მის ქვეყანას სათანადო პატივისცემით არ ეპყრობიან, ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინის აეროპორტში არ დახვდა და პრემიერმინისტრის ნაცვლად იქ პირველი ვიცეპრემიერი მიავლინა. ამერიკელები იძულებულნი შეიქნენ, ეს „გადაეყლაპათ“. ჩვენ შემთხვევაში კი საუბარია გაცილებით დაბალი რანგის პერსონაზე; მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს მცირედი შეშფოთებაც კი არ გამოუხატავთ – ისინი აღტაცებულნი დახტოდნენ ამერიკელი სტუმრების გარშემო, როგორც კარგო-კულტის მიმდევარი პაპუასი ბელადები.**

# მაოხრებელი მეკვლე და ნაკლებად ერთიანი «ნაცმოძრაობა»

**გიგი უგულავამ საპატიმრო დატოვა და აქტიურად ჩაერთო პარტიულ დაპირისპირებაში, თუმცა, ალბათ, აჯობებს, საუბარი ყოფილი მმართველი პარტიის დაშლაზე 1 იანვრის ეპიზოდიდან დავიწყოთ, როდესაც თბილისს სენატორი ჯონ მაკკეინი ესტუმრა. სოციალურ ქსელებში ბევრს ხუმრობდნენ იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება დაებედოს საქართველოს ესოდენ არასასურველი სტუმრის ვიზიტის შემდეგ. თუმცა ის ქვეტექსტი, რომელიც მაკკეინის შეხვედრებისა და განცხადებების უკან იკითხებოდა, ნაკლებად სასაცილოა და სერიოზულ დაკვირვებას საჭიროებს.**

## მტერი თუ მოყვარე?

რა განცხადებებიც უნდა გააკეთოს **ჯონ მაკკეინმა** და რამდენჯერაც უნდა ჩავიდეს კონფლიქტის ზონაში, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც წინა ხელისუფლებას ებრძოდნენ, ის სამუდამოდ დარჩება ქართველი ერის მტრად, რადგან მხარს უჭერდა **სააკაშვილის** სადისტურ რეჟიმს და მის ძალადობას „აპრავებდა“. რამდენიც უნდა ილაპარაკოს ამერიკელმა სენატორმა საქართველოს თავისუფლების მხარდაჭერაზე, არავის დაავიწდება, რომ რეალურად მხარს „ნაცმოძრაობის“ მიერ ქართველების დამონებას უჭერდა. დროთა განმავლობაში ეს დამოკიდებულება, ალბათ, შეიცვლებოდა, მაგრამ სენატორის ბოლოდროინდელმა ქცევამ ამის შესაძლებლობა გამორიცხა.

საქართველოში ჩამოსვლამდე ჯონ მაკკეინი უკრაინაში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა, რომელიც ქართველი სამართალდამცავების მიერ იძებნება. ეს ნაბიჯი წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს (და არა მმართველი პარტიის, როგორც ზოგს ჰგონია) მძიმე შეურაცხყოფას, მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, მაკკეინმა ის ფეხებზე დაიკიდა. საგულისხმო იყო ოპოზიციასთან გამართული შეხვედრის ფორმატიც — ამერიკელი სენატორები „ნაციონალებს“ შეხვდნენ, მაშინ, როდესაც ასეთ დროს მიღებულია შეხვედრა ან სხვადასხვა (როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო) ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან, ან პარლამენტში წარმოდგენილი ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების ლიდერებთან. შეხვედრა მხოლოდ „ნაცმოძრაობასთან“, აგრეთვე, წარმოადგენდა მკაფიო მესიჯს, რომ ამერიკულ დელეგაციას აინტერესებს არა რეალური, არამედ მათ წარმოსახვაში არსებული საქართველო, რომელშიც მათი ძველი პარტნიორები „ნაცმოძრაობიდან“ მთავარ როლს ასრულებენ.

როგორ მოიქცეოდნენ ასეთ სიტუაციაში მეზობელი ქვეყნის ლიდერები? როდესაც 2008-ში **ილჰამ ალიევმა** ჩათვალა, რომ ამერიკელები მის ქვეყანას სათანადო პატივისცემით არ ეპყრობიან, ვიცეპრეზიდენტ **დიკ ჩეინის** აეროპორტში არ დახვდა და პრემიერმინისტრის ნაცვლად იქ პირველი ვიცეპრემიერი მიავლინა. ამერიკელები იძულებულნი შეიქნენ, ეს „გადაეყლაპათ“. ჩვენ შემთხვევაში კი საუბარია გაცილებით დაბალი რანგის პერსონაზე; მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს მცირედი შეშფოთებაც კი არ გამოუხატავთ — ისინი აღტაცებულნი დახტოდნენ ამერიკელი სტუმრების გარშემო, როგორც კარგო-კულტის მიმდევარი პაპუასი ბელადები.

ვითარებას ართულებდა ის გარემოება, რომ ჯონ მაკკეინი და მისი თანამოაზრეები დაპირისპირებულნი არიან ახალ პრეზიდენტთან — **დონალდ ტრამპთან** და მის გუნდთან, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ერთ პარტიას წარმოადგენენ. საგარეო პოლიტიკაზე მათ დიამეტრულად განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ. მაკკეინი ჩამოვიდა რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან კონტაქტი დაამყარა და ამის გამო გარკვეული უხერხულობა შეიქმნა, რადგან მაკკეინი რუსეთის მიმართ მკვეთრად კონფრონტაციულ რიტორიკას იყენებდა, რომელიც ტრამპის პოზიციას ნაკლებად შეესაბამება. ამ სიტუაციამ შეიძლება მონღოლთა ბატონობის პერიოდი გაგვახსენოს, როდესაც საქართველოს მმართველები იძულებულნი იყვნენ, მაქსიმალური სიფრთხილე გამოევლინათ ყაენისა და გავლენიანი ნოინების კონფლიქტის დროს. დღეს მაკკეინის განცხადებები მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, რეალური ბერკეტები ათიოდე დღეში ახალი ადმინისტრაციის ხელში გადავა, მაგრამ არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მაკკეინი და მისი თანამოაზრეები (ტრამპმა ლამის მთელი ამერიკული ისტებლიშმენტი გადაიმტერა) ახალ პრეზიდენტს მალე მოუწყობენ იმპიჩმენტს და ვაშინგტონში რუსეთთან მწვავე დაპირისპირების მომხრეები იმძლავრებენ. ყოველივე ეს ჩვენს ხელისუფლებას იძულებულს ხდის, გააკეთოს ისეთი განცხადებები, რომლებსაც ორივე მხარე მისაღებად ჩათვლის — შეზღუდული სუვერენიტეტის პირობებში ის სხვაგვარად ვერ მოიქცევა.



**საქართველოში ჩამოსვლამდე ჯონ მაკკეინი უკრაინაში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა, რომელიც ქართველი სამართალდამცავების მიერ იძებნება. ეს ნაბიჯი წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს (და არა მმართველი პარტიის, როგორც ზოგს ჰგონია) მძიმე შეურაცხყოფას, მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, მაკკეინმა ის ფეხებზე დაიკიდა**

## შეშლილი მარიონეტების თეატრი

ამერიკელი სენატორებისა და „ნაცმოძრაობის“ ლიდერების შეხვედრის შემდეგ ძალიან ზოგადი განცხადებები გაკეთდა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ისინი ამა თუ იმ ფორმით აუცილებლად შეეხებოდნენ ორ მნიშვნელოვან თემას — „ნაცმოძრაობის“ ერთიანობასა და „რუსთავი 2“-ის პრობლემებს. მათ შესაქმნელად ამერიკელებმა თავის დროზე ძალიან ბევრი რესურსი დახარჯეს და შექმნილი სიტუაცია, დიდი ალბათობით, აშფოთებთ.

„ნაცმოძრაობის“ ყრილობამდე ათიოდე დღე რჩება. მას შემდეგ, რაც ამ პარტიის პოლიტსაბჭომ ყრილობის გამართვის თაობაზე მიხეილ სააკაშვილის იდეები გაიზიარა, „ბოკერიას ჯგუფი“ შეეცადა, პროცედურულ ნიუანსებს ჩაბღაუჭებოდა, რათა შეეცვალა სააკაშვილისეული სცენარი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ყრილობის ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დაეყენებინა. ჯერჯერობით არაფერი გამოსდით, მაგრამ მცირე დრო და რამდენიმე სათადარიგო ვარიანტი ჯერ კიდევ აქვთ. **უგულავას** გამოსვლამ ციხიდან წყალი ამ ჯგუფის წისქვილზე დაასხა, მან შეიძლება სერიოზულად შეცვალოს ყრილობის დრამატურგია. მხარეები ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებიან და ხშირად მიუთითებენ პარტიის დაშლის რეალურ შესაძლებლობაზე, რაც მის რეიტინგზე უდავოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს. მათი ამერიკელი პარტნიორები რთულ მდგომარეობაში არიან — მათ შეუძლიათ ხელოვნურად შეაფერხონ პარტიის რღვევის პროცესი, მაგრამ ძნელი სათქმელია, უღირთ კი ამის გაკეთება — „სამოქალაქო ომი“ „ნაცმოძრაობის“ შიგნით მის ეფექტიანად მართვის შესაძებლობას გამორიცხავს და ელექტორალურ პერსპექტივებს ძალზე ბუნდოვანს ხდის. აშკარაა, რომ დანაკარგების გარეშე „ნაცმოძრაობა“ ამ კრიზისიდან ვერ გამოვა და მისი ამერიკელი პარტნიორები თუ პატრონები, სავარაუდოდ, ზარალის მინიმიზაციაზე ფიქრობენ.

ყველაზე ნაყოფიერი კომუნიკაცია ჯონ მაკკეინთან და რამდენიმე ფიგურასთან მის გარშემო წლების განმავლობაში სწორედ ბოკერიას ჯგუფს ჰქონდა. გამორიცხული არ არის, რომ მათ დაარწმუნეს სენატორი, მხარი „ნაცმოძრაობის“ რეკონსტრუქციის მათი გეგმისთვის დაეჭირა და დაემშვიდებინა სააკაშვილი, რომელიც დღეს მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ჩაახშოს ბუნტი პარტიაში და თან რაც შეიძლება დამამცირებლად მისი ორგანიზატორებისთვის – ზოგიერთი მისი მხარდამჭერი იქამდეც კი მივიდა, რომ თანაპარტიელებისთვის ყრილობაზე „სირცხვილის დერეფნის“ მოწყობას გეგმავს და, შესაძლოა, ვერ აცნობიერებს, რა გამანადგურებელ გავლენას მოახდენს ეს პარტიის იმიჯზე. ნაკლებად სავარაუდოა, სააკაშვილმა „სამშვიდობო გეგმა“ მიიღოს ან მისი ერთგული დარჩეს, თუნდაც შუამავლობა ჯონ მაკკეინმა იკისროს და ეს „ნაცმოძრაობის“ დაშლის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის დაშლის შემთხვევაში „ბოკერისტებს“ დარჩებათ უფრო მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა პარლამენტში და მნიშვნელოვანი მედიარესურსი „სააკაშვილის პარტია“ მაინც მასზე ძლიერი იქნება. ამიტომ მათ შეიძლება გაუჩნდეთ ცდუნება, ხელისუფლებასთან ერთად ორმხრივ სასარგებლო კომბინაცია გაითამაშონ, რომელიც შეიძლება „მიშისტების“ „ჩარეცხვით“ დასრულდეს.

## არ გათეთრდების ყორანი

„ბოკერისტების“ მთავარი პრობლემა რეიტინგული ლიდერების ნაკლებობაა, მაგრამ საპატიმროდან გიგი უგულავას გამოშვების შემდეგ მათი მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა, ხოლო ადგილობრივ არჩევნებზე, „მიშისტებთან“ შედარებით, გარკვეულ უპირატესობას მოიპოვებენ და („ნაცმოძრაობის“ დაშლის შემთხვევაში) შესაძლებლობა მიეცემათ, ოდესღაც ერთიანი „ნაციონალური ელექტორატის“ მნიშვნელოვანი ნაწილი ახალი პარტიისკენ მოიზიდონ. სააკაშვილს თბილისში უგულავას მსგავსი მერობის კანდიდატი არ ჰყავს — **ნიკა მელიასა** და (მაგალითად) **სანდრა რულოვსს** ყოფილ მერთან კონკურენცია გაუჭირდებათ.

აძლევს კი ეს ხელს ხელისუფლებას? თუ ის დაეხმარება ბოკერიას ჯგუფს „მიშისტებთან“ ბრძოლაში, ამით არა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა ხმების ფრაგმენტაციას მოახდენს, არამედ საქმეს გაურთულებს დემოკრატიული ოპოზიციის ჰიპოთეზურ ერთიან კანდიდატს (ან ძლიერ დამოუკიდებელ კანდიდატს, რომელსაც მხარს დაუჭერს რამდენიმე ოპოზიციური პარტია), დაახლოებით იმავე სცენარით, როგორც ეს საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას მოხდა, როდესაც „ნაციონალების“ („ფრთას“ მნიშვნელობა არ აქვს) შესაჩერებლად თბილისელი ამომრჩევლების უმრავლესობა სახელისუფლო პარტიის გარშემო გაერთიანდა, მიუხედავად იმისა, რომ ადრე, შესაძლოა, „მესამე ძალის“ მხარდაჭერაზე ფიქრობდა.

ხელისუფლებისა და ბოკერიას ჯგუფის ინტერესების თანხვედრა შეიძლება „რუსთავი 2“-თან დაკავშირებითაც მოხდეს, თუ „ბოკერისტები“ მის გადაცემას **ქიბარ ხალვაშისთვის** მხოლოდ სიმბოლურ წინააღმდეგობას გაუწევენ. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს **ივანიშვილს** დასახული მიზნის მიღწევაში, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებლობას მისცემს ბოკერიას ჯგუფს, ქუჩაში დარჩენილი თანამშრომლები თავის მედიასაშუალებებში წაიყვანოს. მათი გავლენა მიზნობრივ აუდიტორიაზე დღეს არც ისე დიდია, მაგრამ მკვეთრად გაიზრდება, თუ სააკაშვილი საქართველოში თავის მთავარ მედიარესურსს დაკარგავს, რაც, დიდი ალბათობით, რევოლუციური სცენარისკენ უბიძგებს, ეს კი „მიშისტურ ფრთას“ საბოლოოდ დაასამარებს. „ბოკერისტები“ ამ შემთხვევაში ძველი „ნაცმოძრაობის“ ერთადერთ „კანონიერ მემკვიდრეებად“ დარჩებიან.

აქ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ „ნაცმოძრაობის“ ამერიკელი პარტნიორების როლს – მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, უღირთ თუ არა სააკაშვილის გადაყვანა სათადარიგოთა სკამზე ან (რაც უფრო სავარაუდოა) მისი გაყვანა თამაშიდან, რადგან ის ბოლო პერიოდში არაადეკვატურად იქცევა; მისი წვლილი „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო მარცხსა და მის ფაქტობრივ დაშლაში ძალიან დიდია. საქმე ის არის, რომ ამას ვერ გადაწყვეტს რამდენიმე მაღალჩინოსანი სახელმწიფო დეპარტამენტში და მით უმეტეს ჯონ მაკკეინი, ამ საკითხზე აუცილებელია კონსენსუსის მიღწევა ახალი ადმინისტრაციის ხედვის საფუძველზე, თუმცა, სანამ ეს მოხდება (და თუ მოხდება) სააკაშვილს არაერთი შესაძლებლობა მიეცემა, ყოფილ თანაპარტიელებს სერიოზული პრობლემა შეუქმნას.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ძნელი სათქმელია, უღირს თუ არა მას „ბოკერისტებთან“ ფარულ ტაქტიკურ ალიანსზე წასვლა. ერთი მხრივ, ეს ხელს შეუწყობს სააკაშვილის გაყვანას თამაშიდან და „ნაცმოძრაობის“ მკვეთრ დასუსტებას. მაგრამ, მეორე მხრივ, ივანიშვილის ხელისუფლებამ შეიძლება დაკარგოს შესაძლებლობა „ნაციონალების“ ეს ჯგუფი სააკაშვილის რეჟიმის სადისტურ პრაქტიკას დაუკავშიროს, რაც მას წარსულისგან ერთგვარი გათავისუფლების, შესაბამისად, პოლიტიკური იზოლაციის გარღვევის და სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ალიანსის შექმნის შესაძლებლობას მისცემს. ეს კი ივანიშვილს მომავალში სხვა ტიპის პრობლემებს შეუქმნის და შესაძლებელს გახდის პროდასავლური ოპოზიციის ერთიანი ფრონტის შექმნას, რომელსაც, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერენ ამერიკელები, რომელმაც ქართველი პოლიტიკოსების ამ ნაწილში შეიძლება „ფერადი რევოლუციის“ მოწყობის სურვილი და შესაბამისი ილუზიები გააჩინოს.

**ლუკა ნემსაძე**

„ტრამპს სურს, მიაღწიოს შეთანხმებას რუსეთთან, რათა დაგროვილი წინააღმდეგობები მოხსნას, „პატარა ცივი ომი“ ნორმალური ურთიერთობების კალაპოტში მოაქციოს, გააუქმოს სანქციები და მოსკოვისთვის სხვა სასიამოვნო რამ გააკეთოს. ამის სანაცვლოდ, ტრამპს უნდა, რომ პუტინმა საკუთარი სამოქმედო გეგმა გააცნოს და მის შესაბამისად იმოქმედოს, რათა მომავალში ტრამპი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს. ტრამპი მზადაა, რუსეთს „განსაკუთარებული პირობები“ შესთავაზოს“

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**20 იანვარს, ინაუგურაციის შემდეგ, დონალდ ტრამპი აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი გახდება. მოწინააღმდეგეებმა მის „გაშავებაზე“ უამრავი რესურსი დახარჯეს, ამიტომ მოლოდინი ერთობ დაძაბულია, ყველა ყურადღებით აკვირდება ტრამპის საკადრო გადაწყვეტილებებს.**

# პუტინის მეგობრები ვაშინგტონს იპყრობენ

## მეგობრობის ორდენი და ცოფიანი ძაღლი

„გელაპის“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ამერიკელთა 53% დარწმუნებულია, რომ **დონალდ ტრამპი** წარმატებით შეძლებს ქვეყნის მართვას; 55% მიიჩნევს, რომ ის მოახერხებს აშშ-ს ინტერესების დაცვას საერთაშორისო არენაზე; ხოლო 59% თვლის, რომ მას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელეწიფება. არჩევნების შემდეგ ტრამპის რეიტინგი გაიზარდა, მაგრამ „გელაპის“ მონაცემები მას დამშვიდების შესაძლებლობას არ აძლევს, რადგან იმ დროიდან, რაც ეს გამოკითხვა ტარდება, ყველა წინამორბედი პრეზიდენტის შემთხვევაში, სამივე მოყვანილი მაჩვენებელი 70 პროცენტს აღემატებოდა. ტრამპის ეპოქა მაღალი უნდობლობის, ამერიკელების ორ ბანაკად გაყოფის პირობებში იწყება, მისი თითოეული საკადრო გადაწყვეტილება კი კრიტიკის ქარცეცხლში ექცევა.

სახელმწიფო მდივნის პოსტზე ტრამპი „ექსონ მობილის“ დირექტორ **რექს ტილერსონს** წარადგენს. მას, სანავთობო ბიზნესიდან გამომდინარე, რუსეთის პრეზიდენტთან ახლო პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს. ის დაჯილდოებულია რუსული „ხალხთა მეგობრობის ორდენით“ და **ობამას** ადმინისტრაციას რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების გამო აკრიტიკებს (სანქციები ხელს უშლის „ექსონის“ პროექტებს არქტიკაში). სწორედ ტილერსონს შეიძლება შეექმნას პრობლემები სენატში დამტკიცებისას, რადგან რესპუბლიკელებს იქ მხოლოდ ორი ხმით მეტი აქვთ, ხოლო ზოგიერთი რესპუბლიკელი სენატორი, მაგალითად, **ჯონ მაკკეინი**, ტილერსონის დანიშვნას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ამ კანდიდატურის დასახელება სერიოზული არგუმენტია იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ ახალ ადმინისტრაციას რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება და ე.წ. დიდი გარიგების გაფორმება სურს.

**რონალდ რეიგანის** ყოფილი მრჩევლის, გამოჩენილი ამერიკელი პოლიტოლოგის — **ედვარდ ლუტვაკის** ვარაუდით, „ტრამპს სურს, მიაღწიოს შეთანხმებას რუსეთთან, რათა დაგროვილი წინააღმდეგობები მოხსნას, „პატარა ცივი ომი“ ნორმალური ურთიერთობების კალაპოტში მოაქციოს, გააუქმოს სანქციები და მოსკოვისთვის სხვა სასიამოვნო რამ გააკეთოს. ამის სანაცვლოდ, ტრამპს უნდა, რომ **პუტინმა** საკუთარი სამოქმედო გეგმა გააცნოს და მის შესაბამისად იმოქმედოს, რათა მომავალში ტრამპი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს. ტრამპი მზადაა, რუსეთს „განსაკუთარებული პირობები“ შესთავაზოს“, — განუცხადა ლუტვაკმა „გლობალეფეირს“.

საგულისხმო დეტალი: როდესაც პენტაგონმა მიიღო დოკუმენტი, რომელშიც ახალმა პრეზიდენტმა აშშ-ის თავდაცვით პრიორიტეტებზე ჩამოაყალიბა საკუთარი თვალსაზრისი, რუსეთი იქ ნახსენები საერთოდ არ ყოფილა, მაშინ, როდესაც შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი **ჯოზეფ დანფორდი**, რომელიც პოსტზე ტრამპის ინაუგურაციის შემდეგაც დარჩება, ამბობს, რომ არც ერთი ქვეყანა არ ქმნის აშშ-ისთვის ისეთ სერიოზულ საფრთხეს, როგორც რუსეთი. თუმცა ტრამპის მემორანდუმში ნახსენები იყო “ისლამური სახელმწიფო”, ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეა, კიბერუსაფრთხოება, საბიუჯეტო პრობლემები და სხვა, მაგრამ არა რუსეთი.

თავდაცვის მინისტრად ტრამპი გენერალ **ჯეიმს მატისს** ნიშნავს, რომლის მეტსახელი „ცოფიანი ძაღლია“. ის ერთ-ერთი ყველაზე მამაცი და პოპულარული ამერიკელი გენერალია და ჭარბი პოლიტკორექტულობით ნამდვილად არ გამოირჩევა. მატისის დანიშვნაზე შეიძლება პროცედურული სირთულეები შეიქმნას, რადგან მისი გადადგომიდან 7 წელიწადი არ გასულა, მაგრამ არსებობს იურიდიული „ხვრელი“, რომელიც მის დამტკიცებას შესაძლებელს ხდის. ნაკლებად სავარაუდოა, კანონმდებლებმა პრობლემა ამ ეტაპზე შეუქმნან, თუმცა გენერლის ოპონენტები ჩასაფრებული დაელოდებიან მის მორიგ არაპოლიტკორექტულ განცხადებებს.

## რატომ შფოთავს პეკინი?

დონალდ ტრამპი აპირებს, აშშ-ის გენერალურ პროკურორად (იუსტიციის მინისტრად) დანიშნოს სენატორი ალაბამის შტატიდან — **ჯეფ სეშნსი**, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსად — სენატორი კანზასის შტატიდან **მაიკ პომპეო**, ხოლო მრჩევლად უსაფრთხოების საკითხებში — გადამდგარი გენერალი **მაიკლ ფლინი** (სეშნსი და პომპეო სენატმა უნდა დაამტკიცოს). ლიბერალი ოპონენტების შეფასებით, სამივე თანმიმდევრული რადიკალ-კონსერვატორია. ლიბერალები ბოლო დღეებში ხშირად იხსენებენ, რომ სეიშნსი ეწინააღმდეგებოდა სასჯელის შემსუბუქებას იმ პირებისთვის, რომლებმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. „კარგი ადამიანები მარიხუანას არ ეწევიან“, — განაცხადა მან სენატში (ქართულ „გირჩს“ ნამდვილად არ გაახარებდა). მას ახასიათებს ხისტი მიდგომა ტერორიზმის, იარაღით ვაჭრობისა და უკანონო იმიგრაციის მიმართ და, დიდი ალბათობით, შეეცდება, ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებებიდან გამომდინარე, მკაცრი კურსი გაატაროს.

მაიკლ ფლინს ერთ-ერთ ბრალდებად უყენებენ იმას, რომ „რაშა თუდეისთვის“ გაწეული კონსულტაციისთვის ფულადი გასამრჯელო მიიღო.



**ბოლოდროინდელი სიგნალები ვაშინგტონიდან მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სააკაშვილისდროინდელ სტერეოტიპებს თავი უნდა დაანებოს და რეალისტური საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებაზე დაიწყოს ზრუნვა, რადგან გამორიცხული არ არის, ახლო მომავალში «სათადარიგო ვარიანტი» დასჭირდეს**

ამ ტელეკომპანიის იუბილეზე ფლინი ვლადიმერ პუტინის გვერდით იჯდა. ანალიტიკოსები თვლიან, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობების ახალ „გადატვირთვაში“ ის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. რაც შეეხება პომპეოს, ოპონენტები მას შეთქმულების თეორიის მიმდევრად წარმოაჩენენ, უფრო ოდიოზურ ფიგურად, ვიდრე ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ლეგენდარული შეფი **ედგარ ჰუვერი** გახლდათ. გასაკვირი ამაში არაფერია, პომპეო ბოლო პერიოდში კლინტონების კლანის პირად მტრად ჩამოყალიბდა. სამივე ჩამოთვლილ ფიგურასთან დაკავშირებით ლიბერალურ მედიაში დემონიზაციის კამპანია მიმდინარეობს.

ტრამპის კიდევ ერთმა საკადრო გადაწყვეტილებამ პეკინის შეშფოთება გამოიწვია – აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლად **რობერტ ლაითჰაიზერი** დაინიშნა, რომელიც ამ პოსტზე რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში მუშაობდა და პროტექციონიზმისა და ჩინეთთან ურთიერთობაში ხისტი მეთოდების გამოყენების მომხრეა. მისი დანიშვნა პეკინში ლამის ეკონომიკური ომის გამოცხადებად აღიქვეს. ეს უკვე მეორე სიგნალია მას შემდეგ, რაც ტრამპმა სავაჭრო და სამრეწველო პოლიტიკის ფორმირება **პიტერ ნავაროს** დაავალა, რომელიც ჩინეთის ხელისუფლებას „სასტიკ, აგრესიულ, უხეშ, უგულო, ამორალურ, დაუნდობელ და აბსოლუტურად ტოტალიტარულ იმპერიალისტურ ძალას“ უწოდებდა.

ტრანსპორტის მინისტრის პოსტზე ტრამპი **ელეინ ჩაოს** წარადგენს. ის 2001—09 წლებში შრომის მინისტრი იყო, 1989—91-ში კი — ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე. წარმოშობით ტაივანიდანაა და ამან შეიძლება პეკინთან ურთიერთობაში დამატებითი სირთულეები შექმნას. მას შემდეგ, რაც ტრამპი ტელეფონით ტაივანის პრეზიდენტს ესაუბრა და ამით ჩინეთის ხელისუფლების აღშფოთება გამოიწვია, ჩინურ მედიაში ჩაოს შესაძლო გავლენა ახსენეს და ახალი ნაბიჯები ამ მიმართულებით შეიძლება ისევ მას დაუკავშირონ.

## „ნატოს გაფართოების მიზეზებს ვერ ვხედავ...“

ფინანსთა მინისტრი გახდება ყოფილი ბანკირი „გოლდმან საქსიდან“ — **სტივენ მნუჩინი**, რომელიც ტრამპის საარჩევნო კამპანიის ფინანსური დირექტორი გახლდათ, ვაჭრობის მინისტრი კი ტრამპის ეკონომიკური მრჩეველი — **უილბურ როსი.** ენერგეტიკის მინისტრად განიხილება **რიკ პერი**, რომელიც ორი მსხვილი ენერგეტიკული კომპანიის დირექტორთა საბჭოში შედის და ეკოლოგიური კვლევების ჩატარებას ეწინააღმდეგება.

განათლების მინისტრის პოსტზე ტრამპმა **ბეტსი დევოსი** წარადგინა, რომელიც მიჩიგანის შტატში რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ პარტიას, დაკავებული იყო მოსწავლეთა უფლებების დაცვით და, საზოგადოად, საშუალო განათლების პრობლემებით. ტრამპის მთავარი მოთხოვნა მის მიმართ განათლების სისტემაში ბიუროკრატიული წნეხის შემცირებაა. ჯანდაცვის მინისტრად ინიშნება კონგრესმენი **თომას პრაისი**, რომლის მთავარი ამოცანა წინა ადმინისტრაციის რეფორმის, ე.წ. ობამაქეარის დემონტაჟი იქნება. ის წლების განმავლობაში მისი თანმიმდევრული კრიტიკოსი იყო.

პირველი აფროამერიკელი, რომელსაც ტრამპმა მინისტრის პოსტი შესთავაზა, გახდა ნეიროქირურგი **ბენ კარსონი.** ის ბინათმშენებლობის მინისტრად ინიშნება. საინტერესოა, რომ ტრამპის დაპირებას, „გაასუფთავოს ქალაქების რაიონები, რომლებშიც, ძირითადად, ღარიბები და უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ“, მისმა ოპონენტებმა რასისტული უწოდეს. ახლა ტრამპმა შესაბამისი პროგრამის რეალიზება აფროამერიკელს დაავალა. ამასთანავე, მიუთითა, რომ მას ხმა აფროამერიკელთა 19%-მა მისცა. ეს კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რესპუბლიკელი კანდიდატისთვის 1984 წლის (რეიგანის მეორე არჩევა) შემდეგ. კარსონი ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების, მარიხუანის ლეგალიზაციისა და იარაღის ტარების შეზღუდვის მოწინააღმდეგეა.

შრომის მინისტრად ტრამპი გამოცდილ და წარმატებულ იურისტს — **ენდრიუ პაზდერს** ნიშნავს. ის ეწინააღმდეგება მინიმალური ხელფასის გაზრდას, რადგან მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუშლის ბიზნესის განვითარებას და სამუშაო ადგილების რაოდენობას შეამცირებს.

გაეროში აშშ-ის წარმომადგენლის პოსტი ტრამპმა თავის რადიკალ ოპონენტს, სამხრეთ კაროლინის ყოფილ გუბერნატორს — **ნიკი ჰეილის** შესთავაზა. ის მკაცრად აკრიტიკებდა ახალ პრეზიდენტს მისი ანტისაიმიგრაციო ინიციატივების გამო. ჰეილი აშშ-ის ფარგლებს გარეთ ცნობილი 2015 წლის სკანდალის შემდეგ გახდა, როდესაც სამხრეთ კაროლინის საკანონმდებლო ორგანოს შენობიდან კონფედერაციის დროშის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო.

რუსეთში აშშ-ის ელჩად შეიძლება დაინიშნოს კონგრესმენი **დანა რორაბაჰერი** ან ჰენრი კისინჯერის მრჩეველი **თომას გრემი.** პირველი ჯერ კიდევ 2015-ში „ახალი ცივი ომის“ დაწყების ფონზე აცხადებდა, რომ რუსეთი აშშ-ისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ამაყობს იმით, რომ პრეზიდენტი პუტინი ჯერ კიდევ 1990-იანებში გაიცნო. ნეგატიური დამოკიდებულებით რუსეთის ხელისუფლების მიმართ არც გრემი გამოირჩევა, რომელიც ადრე აშშ-ს საელჩოში (მოსკოვში) მუშაობდა და სრულყოფილად ფლობს რუსულ ენას. გასულ კვირას „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გრემმა თქვა: „შექმნილ სიტუაციაში მე ნატოს გაფართოების მიზეზებს ვერ ვხედავ... კიევი უნდა ჩამოშორდეს გეოპოლიტიკურ ბრძოლას. ეს უკრაინას შესაძლებლობას მისცემს, საშინაო პრობლემების გადაწყვეტით დაკავდეს“.

უეჭველია, რომ ასეთი მიდგომა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის გაძლიერების ალბათობას მკვეთრად გაზრდის. ბოლოდროინდელი სიგნალები ვაშინგტონიდან მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სააკაშვილისდროინდელ სტერეოტიპებს თავი უნდა დაანებოს და რეალისტური საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებაზე დაიწყოს ზრუნვა, რადგან გამორიცხული არ არის, ახლო მომავალში „სათადარიგო ვარიანტი“ დასჭირდეს.

**ლუკა ნემსაძე**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მარტვილსა და აბაშას ადმინისტრაცია არ ჰყავს, მეუფე პეტრე ამ ორ რაიონს სრულად აკონტროლებს. მის ხელშია ტრაქტორები, მიწების დახვნა, მისია ოჯალეშის ჯიშის ვენახები. სააკაშვილმა გადასცა ერთ ლარად კოლმეურნეობა, სადაც ახლა სასტუმროებია. მეუფეს ეკუთვნის ყველა შენობა-ნაგებობა, რომლებიც კი ამ ორ რაიონში არსებობს.“**

რუსი მიტროპოლიტი

# «ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვარს სააკაშვილის ფოტო საკურთხეველში ეკიდა. უფრო მეტიც, სალხინოში, დადიანების სახლ-მუზეუმში მალავდა ძებნილ ძმებ ახალაიებს»

## «მეუფე პეტრეს თავი უკვე პატრიარქად წარმოუდგენია»


მეუფე პეტრე

**უკვე რამდენიმე კვირაა, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაპირისპირება ყბადაღებულ თემად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ცდილობენ, ამ თემაზე საუბრისგან შეძლებისდაგვარად თავი შეიკავონ, სინოდში განხეთქილება საზოგადოების განხილვის თემაა. ახალი ამბავი არავისთვის არის, რომ არიან მეუფეები, რომლებიც საჯაროდ უპირისპირდებიან საქართველოს პატრიარქს და მხარს უჭერენ ე.წ. ლიბერალურ ძალებს. ზოგიერთ ეპარქიას ხელმძღვანელობენ ისეთი პირები, რომლებსაც ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ფოტოები დღემდე აქვთ გამოფენილი საკურთხეველში. მარტვილის ეპარქიიდან დაგვიკავშირდა ბერი, რომელმაც ჭყონდიდის მონასტერში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა, მაგრამ ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა და გვთხოვა, ამ პრობლემებზე სასაუბროდ სოფელ სალხინოს საკრებულოს წევრ გია ჯეჯელავას შევხმიანებოდით.**

**— ბატონო გია, რა ხდება მარტვილის ეპარქიაში? რატომ გაურბის მრევლი მეუფე პეტრეს?**

— XI საუკუნის უდიდესი მონასტერი სრულიად გადაკეთებულია, მიწა — ჩამოჭრილი. ეზოში აშენდა შენობა, რომლის დანიშნულებაც ჩვენთვის, ადგილობრივი მცხოვრებლებისა და მრევლისთვის, უცნობია.

**მარტვილი მეუფე პეტრეს შპს-დ იქცა — შეუვალია, დახურული და მისი ნებართვის გარეშე თითსაც ვერავინ გაანძრევს.**

**ჭყონდიდის მონასტერში წვერიანი ბიზნესმენები გაჩნდნენ, იქ მრევლისა და მორწმუნე ხალხის ადგილი აღარ დარჩა.**

**წვერიანთა ხელშია მიწები, ქვიშის კარიერები, ხეტყე...**

**— მარტვილს თვითმმართველობა ხომ ჰყავს? ადმინისტრაცია არ მუშაობს?**

— მარტვილსა და აბაშას ადმინისტრაცია არ ჰყავს, მეუფე პეტრე ამ ორ რაიონს სრულად აკონტროლებს. მის ხელშია ტრაქტორები, მიწების დახვნა, მისია ოჯალეშის ჯიშის ვენახები. სააკაშვილმა გადასცა ერთ ლარად კოლმეურნეობა, სადაც ახლა სასტუმროებია. **მეუფეს ეკუთვნის ყველა შენობა-ნაგებობა, რომლებიც კი ამ ორ რაიონში არსებობს.**

ჭყონდიდის ეპარქიიდან 17 ბერი გაიქცა. ყველა, ვინც მეუფე პეტრეს არ ემორჩილება, განწირულია. ერთ-ერთი ბერი ისეთ დღეში ჩააგდო, რომ მან წვერი გაიპარსა, ცოლი შეირთო და ეკლესიას ახლოსაც აღარ ეკარება. ენით გამოუთქმელი საშინელებები ხდება.

მთელი ჩემი ოჯახი მორწმუნე იყო, ან როგორ შეიძლება **გიორგი ჭყონდიდელის** მშობლიურ კუთხეში ცხოვრობდე და მორწმუნე არ იყო, მაგრამ დღეს მარტვილის ეკლესიისკენ აღარც კი ვიხედებით.

გარდა ამისა, მეუფე პეტრე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უპირისპირდება და ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში გაჩუმება ღალატის ტოლფასია.

**— ადგილობრივები ამბობენ, რომ მეუფე პეტრე წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ უდიდეს სიმპათიას იჩენს და წინასაარჩევნოდ მრევლს ნაციონალების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა...**

— დიახ, ეს ცნობილი ფაქტია. მეუფე პეტრე სააკაშვილის მხარდამჭერია. წინასაარჩევნოდ დავუპირისპირდით — პირდაპირ განვუცხადეთ, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის და ჯობია, მრევლს მიხედოს. **ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღვარს სააკაშვილის ფოტო საკურთხეველში ეკიდა. უფრო მეტიც, სალხინოში, დადიანების სახლ-მუზეუმში მალავდა ძებნილ ძმებ ახალაიებს.**

**მეუფე პეტრემ ჭყონისა და ტეხურის დამაკავშირებელი 60-ტონიანი ხიდი დაჭრა და ჯართად გაყიდა,** შემდეგ კი გამოგვიცხადა, ინფრასტრუქტურის სამინისტროში ჩავაწყე საქმეო. ჩვენი დაპირისპირებაც აქედან დაიწყო. წყლის პირას ისეთი ჩხუბი მოხდა, მეგონა, ძველი ბიჭები იყვნენ. დაჭრა და გაანადგურა სოფლის სასაფლაოს მიწები, მათი სრულად ათვისება უნდა. აშენებს შენობებს, არ ვიცით, რა დანიშნულებით. გვეუბნებიან, მორჩილები გვყავსო, მაგრამ ძალიან საეჭვოა.

**— ვინ მფარველობს ამ კაცს?**

— ნაცების მმართველობის პერიოდში ვიცოდით, რომ სააკაშვილი წყალობდა ძალიან, **სანდრა რულოვსის** კარის მოძღვარია, მაგრამ დღეს ვინ აძლევს ასეთ განუსაზღვრელ ძალაუფლებას, ნამდვილად არ ვიცი.

**— ამჟამად რა ვითარებაა, ანუ მას შემდეგ, რაც მეუფის საქმეები გამოაშკარავებულია, რას ამბობს ადგილობრივი მრევლი?**

— ყველას ეშინია. ხომ გეუბნებით, განუსაზღვრელია მეუფე პეტრეს ძალაუფლება. მას შეუძლია, ნებისმიერი დანაშაული დაგაბრალოს და ისეთი გავლენა აქვს, „ბრალდებაში“ ეჭვს სამართალდამცავებიც არ შეიტანენ — როგორი მართალიც უნდა იყო, დანაშაული მაინც შენ დაგბრალდება. ასე იყო ადრე, ასეა დღესაც.

მეუფე პეტრეს ყველაფერი თავისი საკუთრება ჰგონია. აბაშის გამგებელი ძალიან წუხს, გამოსავალს ვერ პოულობს. მეუფე პეტრე ერისკაცობაშიც ცუდი კაცი ყოფილა. საშინელებებს ყვება ხალხი, — უდიდეს აფერებში იყო გახლართული და მერე ეკლესიას შეაფარა თავიო.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტები ყველა მეუფემ ჩაიგდო ხელთ. მის გარეშე თანამდებობაზეც ვერავინ დაინიშნება. სანამ კაცს სადმე დანიშნავენ, მეუფესთნ უნდა გაიაროს კონსულტაცია. მეც დამიბარეს, მაგრამ არ მივედი. მოგვიანებით შევიტყვე, ჩემზე უთქვამს, ახალგაზრდა კაცია და ასე რამ გააბოროტაო. დედის საფლავი დამირბია და როგორ არ გავბოროტდები.

**იბრძვის მეუფე პეტრე ძალაუფლებისთვის, თავი პატრიარქად წარმოუდგენია უკვე.** ზომები აუცილებლად გასატარებელია, მაგრამ არ ვიცი, როგორ. ამას წინათ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მასზე სიმართლე დაწერა, მერე შეხვედრია და არაქალი უწოდებია მისთვის.

უფლის სახელით გველაპარაკება, ეს კი ხალხს აშინებს.

მე კი, ვფიქრობ, სიმართლისათვის უფალი არ დამსჯის და ამიტომ არ მეშინია, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ძალიან, ძალიან გამწვავებულია ვითარება მარტვილში.

**ცნობისთვის: ჭყონდიდის ეპარქია მოიცავს მუნიციპალიტეტებს: მარტვილს, აბაშასა და მათ მიმდებარე ტერიტორიას. ეპარქიის საკათედრო ტაძარი მარტვილში მდებარეობს. ქრისტიანობის ქადაგებას ამ მხარეში წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს მიაწერენ.**

**პირველი ეკლესია წმინდა მოციქულს ეგრისში მუხის ხის (მეგრულად — „ჭყონი დიდი“) მასალისგან აუგია. გადმოცემით, სახელწოდება „ჭყონდიდი“ სწორედ აქედან მომდინარეობს.**



იოსებ არჩვაძე:

# ფასების მატება რეფერენდუმის გარეშე არ შეიძლება

**ხელისუფლებაში მოსვლამდე და შემდეგაც „ქართული ოცნება“ უამრავ რამეს დაჰპირდა საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არჩევნებიდან მეორე დღესვე ყველა ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვას. დაპირებათა ჩამონათვალში ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ენერგომატარებლების, მათ შორის — საწვავის, გაიაფება. საწვავს ერთი ლარით გავაიაფებთ, ერთი ლარი სააკაშვილის ჯიბეში მიდიოდაო, — განმარტავდნენ „ოცნების“ ლიდერები 2012 წლის არჩევნების წინ. მართლაც დაიწყო საწვავის გაიაფების პროცესი, მაგრამ მალე შეწყდა და ხელისუფლებამ ეს გარეშე ფაქტორებს დააბრალა, მიუხედავად იმისა, რომ ბარელი ნავთობის ფასი 150-დან 40 დოლარამდე დაეცა. 2017 წელს კი საქართველოს ხელისუფლებამ ნავთობზე და არა მხოლოდ ნავთობზე, აქციზის გადასახადის მომატება გადაწყვიტა და მოუმატა კიდეც.**

პროდუქტებზე ფასებმა მოიმატა, შემოსავალმა — არა. ქვეყნის ბიუჯეტში აღარ არის შეტანილი სოფლის მეურნეობის განვითარების ხარჯები. არადა, გასული ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლება წარმატებულ პროექტებში სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტს ასახელებდა და თავსაც იწონებდა. მიწის დახვნის პროექტის დაფინანსების შეწყვეტა პარლამენტარმა **გუგული მაღრაძემ** ასე განუმარტა მოსახლეობას: „მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, გლეხებს მიწები გადავუხნათ. წინა წლის გადახვნამ თავისი საქმე გააკეთა“...

ეკონომიკის ექსპერტები ამბობენ, რომ საწვავის გაძვირების გამო სამომხმარებლო სექტორზე დარტყმა გარდაუვალია. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ ნავთობპროდუქტების აქციზის გაძვირება და პროდუქტებზე ფასების მომატება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რაოდენობის მატებას შეუწყობს ხელს.

**ამ პრობლემაზე პროფესორი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — იოსებ არჩვაძე გვესაუბრება:**

**— რატომ ხდება, ბატონო სოსო, რომ ბარელი ნავთობის ფასი, პირობითად, როდესაც 120 დოლარია, საწვავის ფასზე შესაბამისად აისახება, ანუ ძვირდება, მაგრამ, როდესაც ბარელი ნავთობი 55 დოლარი ღირს, საწვავი არ იაფდება?**

— რატომ იწყებთ ათვლას 120 დოლარიდან და არა 147 დოლარიდან ან რატომ ამბობთ 55 დოლარს, როდესაც 35 დოლარიც კი იყო ნავთობის ფასი?

საქართველოსთვის გასათვალისწინებელია ნავთობის ფასის ზრდა, ასევე გასათვალისწინებელია დოლარის კურსიც.

**ჩვენ ახლა აქციზის, დოლარისა და ნავთობის გაძვირების, ანუ სამმაგი გაძვირების პირობებში ვართ, სამი უარყოფითი კომპონენტი მოქმედებს. სამი კომპონენტის დამთხვევა საშინელებაა და ფასების ზრდას წინ ვერაფერი დაუდგება.**

**— შეეძლო თუ არა სახელმწიფოს რომელიმე მათგანის თავიდან აცილება, მაგალითად, არ გაეძვირებინა საწვავის აქციზი?**

— ფასების ზრდა რეფერენდუმის გარეშე არ შეიძლება, მაგრამ არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ფასების ზრდას მხარს არ დაუჭერს, ამიტომაც არ ჩატარდა რეფერენდუმი. წინა ხელისუფლების მიერ დატოვებული კანონის თანახმად, მოქმედ ხელისუფლებას მხოლოდ აქციზის გაზრდის უფლება ჰქონდა და გასაძრომიც იპოვა: ნაცვლად იმისა, რომ კანონი შეეცვალა, აქციზი გაზარდა. მოსახლეობის ერთ სულზე თუ ამერიკას ეკონომიკური განვითარების დონით 10-ჯერ ჩამოვრჩებით, აქციზის გადასახადებით ჩამორჩენა 2-ჯერადიც არ არის. მთავრობის ამ პოლიტიკამ ცალმხრივი განვითარების სახე მიიღო. აუცილებელი იყო კანონში ცვლილება და არა ფასების. მოკლედ, აქციზის გაძვირება დაბალი ღობე და მარტივი გამოსავალი იყო, მაგრამ რამდენს გაუძლებს ქვეყანა და მთავრობა, ეს უკვე სხვა საკითხია.

საწვავის გაძვირება იწვევს გადაზიდვების გაძვირებას, რაც აუცილებლად იქონიებს გავლენას პროდუქტების ფასების მატებაზეც.

## «ჩვენ ამჟამად სამმაგი გაძვირების პირობებში ვართ»

გვერდი მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

**ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოს 50-ზე მეტი სახელმწიფოდან საქართველოში შემოვიდა 5 179 მოქალაქე და მათგან თავშესაფრის მიცემაზე უარი მხოლოდ 118-მა მიიღო. ცხადია, არც ერთი მათგანი დღეს სამშობლოში დაბრუნებაზე არ ფიქრობს და საქართველოს მოქალაქეობას ელოდება. არაოფიციალურად და არალეგალურად კი, ცხადია, მეტი მიგრანტი თუ ლტოლვილია შემოსული და უახლოეს მომავალში, ალბათ, გაცილებით მეტი შემოვა. ყოველ შემთხვევაში, კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში მათი სტიქიური შემოდინებისგან სახელმწიფოს არაფერი იცავს.**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოში უცხოელი მიგრანტებისა და დევნილების რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს

## აპირებს თუ არა ხელისუფლება სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას?



**სირიაში და სრულიად ახლო-აღმოსავლეთის რეგიონში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველო უცხოელი დევნილების ახალ-ახალ ნაკადს იღებს. ლტოლვილების მიერ საზღვრის გადმოკვეთა ისე უკონტროლოდ და სტიქიურად ხდება, რომ სახელმწიფო მათ აღრიცხვას, ფაქტობრივად, ვერ ახერხებს. გარკვეული მონაცემის შექმნა მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა დევნილები თავშესაფრის მიღების მოთხოვნით შესაბამის სამსახურს მიმართავენ. თუმცა, იმის გამო, რომ მათი საკმაოდ დიდი ნაწილი ქვეყანაში კანონის გვერდის ავლით, არალეგალურად შემოდის, არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, რომელიც აღნიშნული პროცესის დინამიკას დეტალურად დაგვანახვებს. მიუხედავად ამისა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული მონაცემიც საკმაოდ დამაფიქრებელია.**

ლეგალურად შემოსული დევნილების საერთო რაოდენობა უკვე რამდენიმე ათასს შეადგენს. მაგალითად, **2011-2016 წლებში მხოლოდ ერაყიდან 2779 მოქალაქე შემოვიდა და ლტოლვილთა სამინისტროს თავშესაფრის თხოვნით მიმართა. ანალოგიური თხოვნით მიმართა აღნიშნულ უწყებას ეგვიპტის 205-მა, ირანის 199-მა და ბანგლადეშის 152-მა მოქალაქემ.**

რაც შეეხება სხვა ქვეყნებიდან შემოსულ თავშესაფრის მაძიებლებს, 2011-2016 წლებში **სირიიდან** 184 მოქალაქე შემოვიდა, ნიგერიიდან — 95, ინდოეთიდან — 47, სომალიდან — 44, პაკისტანიდან — 41, კამერუნიდან — 25, განადან — 14 და კონგოდან — 8. მთლიანობაში **ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოს 50-ზე მეტი სახელმწიფოდან საქართველოში შემოვიდა 5 179 მოქალაქე და მათგან თავშესაფრის მიცემაზე უარი მხოლოდ 118-მა მიიღო.** ცხადია, არც ერთი მათგანი დღეს სამშობლოში დაბრუნებაზე არ ფიქრობს და საქართველოს მოქალაქეობას ელოდება. თანაც, როგორც გითხარით, ზემომოყვანილი ციფრები მხოლოდ ოფიციალური მონაცემებია; **არაოფიციალურად და არალეგალურად კი, ცხადია, მეტი მიგრანტი თუ ლტოლვილია შემოსული და უახლოეს მომავალში, ალბათ, გაცილებით მეტი შემოვა. ყოველ შემთხვევაში, კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში მათი სტიქიური შემოდინებისგან სახელმწიფოს არაფერი იცავს.**

ეს პროცესი ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაიწყო, როცა „ნაცმოძრაობის“ ბუღამ თითქმის მთელი საქართველო თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოაცხადა და აფრიკისა თუ ახლო აღმოსავლეთის ასზე მეტ სახელმწიფოსთან უვიზო მიმოსვლა შემოიღო. „ვარდოსნები“ იმხანად ამაყად აცხადებდნენ, რომ სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის „ლიბერალიზაცია“ ეკონომიკურ აღმავლობას გამოიწვევდა და საქართველო მალე მეორე დუბაი გახდებოდა. ასე გახსნეს საზღვრები და მოკლე ხანში თბილისი არაბებით, ერაყელებით, სირიელებით, ირანელებითა და აფრიკელებით გაივსო. **„ინვესტიციებიც“ მალევე დაეტყო დედაქალაქს — ცენტრალურ უბნებსა და პროსპექტებზე არაბული ჩილიმ-ბარები ჩამწკრივდა; აღმაშენებლის გამზირი, რესპუბლიკის მოედანი და სხვა პრესტიჟული ადგილები სამეძაო სახლებით გადაიჭედა, თბილისი ბორდელების ქალაქად გადაიქცა...**

როგორც ჩანს, ეს პროცესი ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში დაუბრკოლებლად გაგრძელდება და ხვალ-ზეგ კიდევ მრავალ ათას უცხოელს ვიხილავთ ჩვენს ქვეყანაში.

**«თვით საქართველოს ათიათასობით დევნილი ჰყავს, მათთვის ვერ მიუხედავს და ვის უნდა დაეხმაროს?! ვის უნდა მისცეს თავშესაფარი ამ ქვეყანამ, როცა მის მოქალაქეებს საზღვარგარეთ გაქცევაზე უჭირავთ თვალი?!»**

ზოგისთვის ამას დემოკრატია დაერქმევა და ზოგისთვის — ტოლერანტობა. ფაქტია: **ქვეყანას, რომელსაც თავისი 300 ათასამდე ლტოლვილი ვერ დაუბინავებია და ნახევარ მილიონზე მეტი სოციალურად დაუცველი ნორმალურად ვერ შეუნახავს, უცხოელი დევნილებისა თუ მიგრანტების სტიქიურად მიღება კარგს არაფერს მოუტანს...**

უნდა გამკაცრდეს თუ არა სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკა, უნდა გაართულოს თუ არა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უცხოელებისთვის თავშესაფრის მიცემის პროცედურა და საჭიროა თუ არა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები? — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარი ოპოზიციის წარმომადგენლებს სთხოვა.



**«ვინმე აკონტროლებს, ვინ შემოდის, რა მოტივით და რას აკეთებს შემოსვლის შემდეგ?!»**

**თამაზ მეჭიაური, ყოფილი დეპუტატი:**

— მხოლოდ იმ მოტივით, რომ მეტი ტურისტი შემოვიდეს და შემოსავალი მიიღოს ქვეყანამ, რა თქმა უნდა, საზღვრები არ უნდა გახსნა და უცხო ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე მარტივად არ უნდა შემოუშვა. ეს კარგის მომტანი რომ იყოს, ყველა სახელმწიფო ასე მოიქცეოდა. ეს ერთი.

და მეორე — **საერთოდ, ვინმე აკონტროლებს, ვინ შემოდის, რა მოტივით და რას აკეთებს შემოსვლის შემდეგ?**

მართლა მაინტერესებს, თუ არსებობს შესაბამისი სამსახური, რომელიც ამას გააკონტროლებს. ევროპის წამყვან ქვეყნებში, სადაც ათჯერ და ასჯერ მეტია კონტროლის მექანიზმი, უკვე ქაოსია და საქართველოს ვინ დაიცავს?! ხვალ-ზეგ აქ ცუდი რამ რომ მოხდეს, ვინ აგებს პასუხს? ცხადია, ჩვენ ვერ ვიქნებით ჩაკეტილი, იზოლირებული სახელმწიფო, მაგრამ იმ პროცესის ფონზე, რომელიც დღეს მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთში, ჩვენი სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკა უნდა გადაიხედოს. საქართველოს თვითონ ჰყავს ათიათასობით დევნილი, მათთვის ვერ მიუხედავს და ვის უნდა დაეხმაროს? ვის უნდა მისცეს თავშესაფარი ამ ქვეყანამ, როცა მის მოქალაქეებს საზღვარგარეთ გაქცევაზე უჭირავთ თვალი?

**— მიგრანტების უმრავლესობა გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ცდილობს, იძენს მიწას და აქ მკვიდრდება. როგორ ფიქრობთ: რა ზომები შეიძლება მიიღოს სახელმწიფომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?**

— ამ საკითხზე ყოველთვის მქონდა ჩემი პოზიცია და ის დღემდე არ შემიცვლია — **ქართული მიწა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასხვისდეს უცხოელზე.** ამ საკითხზე კანონი უნდა არსებობდეს, იყო კიდეც, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ ეს კანონი გააუქმა. მიზეზად კი დასახელდა, რომ თურმე ის ეწინააღმდეგებოდა საკონსტიტუციო ნორმებს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რაში მდგომარეობდა ეს წინააღმდეგობა. თუ ვიღაცას მიაჩნდა, რომ ამით დემოკრატია ირღვეოდა, ვინ დაიცავს იმ ქართველი გლეხის უფლებებს, რომელიც ხვალ-ზეგ შეიძლება მიწის გარეშე დარჩეს?! ხოლო თუ ფიქრობდნენ და ფიქრობენ, რომ ამ კანონის გაუქმებით ქვეყანა უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებდა, ჩემი აზრით, ვერანაირი ეკონომიკური სარგებელი ვერ აანაზღაურებს საფრთხეს, რომელსაც სახელმწიფოს მთავარი საფუძვლის, მიწაწყლის, უცხოელზე გასხვისება შექმნის.

რაც შეეხება დღევანდელ პარლამენტს, საპარლამენტო უმცირესობაში (და იმედია, უმრავლესობაშიც) არიან სუბიექტები, რომლებსაც ეს საკითხი სერიოზულად აინტერესებთ, ამიტომ ვფიქრობ, უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს რეგულაციების მიღებაზე მსჯელობა. **არ შეიძლება, უცხოელსა და ქართველს ერთნაირად შეეძლოთ მიწის ყიდვა. ასე არც ერთ ნორმალურ სახელმწიფოში არ ხდება. ეს მიდგომა თუ არ შეიცვალა, ქვეყანა აღმოჩნდება ძალიან მძიმე მდგომარეობაში, იმიტომ, რომ ამ კანონმდებლობის პირობებში ყველა საუკეთესო მიწას იყიდიან უცხოელები და ქართველი გლეხი დარჩება ულუკმაპუროდ...**



**«გადაწყვეტილებების მიმღებ პოლიტიკურ ძალას სახელმწიფოებრივი აზროვნება და მიდგომა არ აქვს»**

**ადა მარშანია, დეპუტატი, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:**

— საზღვრების გახსნა და უცხოელი მიგრანტებისა თუ ლტოლვილების უკონტროლოდ შემოშვება პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკურ ძალას სახელმწიფოებრივი აზროვნება და მიდგომა არ აქვს. როგორც ჩანს, საზოგადოების ზურგს უკან ხდება სხვადასხვა შეთანხმება, არ ვიცი, ვისთან, ალბათ, ევროპასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მერე ამის შესახებ ძალიან გვიან შეიტყობს ხოლმე არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ ჩვენც — დეპუტატები. ამ ყველაფრის უკან, რა თქმა უნდა, გარკვეული ინტერესებია. თუმცა ეს არ დაწყებულა ამ ხელისუფლების პირობებში, ჩვენ გვახსოვს, რა პოლიტიკა ჰქონდა ამ მხრივ სააკაშვილის რეჟიმს და მერე როგორი სიამაყით აცხადებდნენ, — ქვეყანაში ინვესტიციების ბუმიაო...

**— როგორ ფიქრობთ, ამჟამინდელ პარლამენტში შესაძლებელია სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაზე მსჯელობა?**

— ამ მხრივ გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები რომ აუცილებელია, ცხადია. უკვე ძალიან ბევრი უცხოელი შემოვიდა და დღითიდღე მეტი შემოდის. თანაც, შემოდიან ოჯახებით, ჩვილი ბავშვებით... ეს დამაფიქრებელი ფაქტია. სწორად გამიგეთ, არ ვამბობ, რომ საზღვრები ჩავკეტოთ და არავინ შემოვუშვათ, მაგრამ სახელმწიფოს პოლიტიკა, მათ შორის სავიზო-საიმიგრაციო კუთხითაც, ქვეყნის ინტერესებზე დამყარებული უნდა იყოს.

მე, როგორც პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი, ამ საკითხის განხილვას მოვითხოვ. ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. რა საფრთხისა თუ გამოწვევის წინაშეც უნდა ვიდგეთ, იმის იმედი, რომ ივანიშვილის პოლიტიკური შთამომავლობა სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკას თუნდაც უმნიშვნელოდ გაამკაცრებს, არ უნდა გვქონდეს. რატომ? — იმიტომ, რომ დღევანდელი ხელისუფლება და განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობა, სოროსის გრანტნაწოვი იუდები არიან. ცხადია, მათთვის სახელმწიფო მხოლოდ საძოვარია და იმის შიშით, რომ საბალახო არ მოაკლდეთ, აუტკივარ თავს ნამდვილად არ აიტკივებენ. სულ მალე იმ ათასობით არაბს, ერაყელსა თუ აფრიკელს ქართულ პასპორტებს დაურიგებენ, მოქალაქეობას ლანგრით მიართმევენ და მიწებსაც უყოყმანოდ უფეშქაშებენ.**

**ასე იზეიმებს „დემოკრატია“ და მულტიკულტურიზმი საქართველოში.**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთადერთი სხვაობა ქოცებ-ნაცებს შორის არის ის, რომ ნაცებმა 9 წელიწადი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარეს საქართველო, ხოლო ქოცები, 4 წელიწადია, ჯერჯერობით მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით ხმარობენ, თორემ საყოველთაო სიდუხჭირით მოცულ საქართველოში, არც ქოცები უჩივიან უმადობას — ათიათასობით პრემია-დანამატებზე არც ისინი ამბობენ უარს; თუ სააკაშვილი ეკლესიებს ანგრევდა და დიდების მემორიალს აფეთქებდა, ივანიშვილმა იქით საყდრისი ააფეთქა და აქეთ დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება „ვერ შეძლო" თავის ადგილზე.**

# გიგილოცავთ სამართლიანობის აღდგენას

# უგულავას გათავისუფლება ივანიშვილს მაკკეინმა უბრძანა

**დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს, ისევე როგორც მე, ნამდვილად არ ეახალწლებოდა, თუმცა, მაინც ვფიქრობდი, წესისამებრ მიმელოცა ჩემი მშობელი ხალხისთვის დღესასწაულები, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის მიერ ქართველი ხალხისთვის გაკეთებულმა კიდევ ერთმა, ამჯერად „საშობაო საჩუქარმა" — გიგი უგულავას განთავისუფლებამ ნირი წამიხდინა.**

დიახ, „კიდევ ერთმა", რადგან დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა და შემდეგ ხელისუფლებიდან ვითომ წასვლისა, განებივრებულნი ვართ ჭორვილელი მილიარდერის „საჩუქრებით".

მაგრამ არა წინასაარჩევნოდ დაპირებული საჩუქრებით...

**რომელი ერთი გავიხსენოთ სამართლიანობის აღდგენის დროშით მოსული „ქართული ოცნების" ქმედება-უმოქმედობიდან — მოულოდნელად დაწყებული კოაბიტაცია, რომელიც იმთავითვე გამორიცხავდა სამართლიანობის აღდგენას, თუ კომუნალური გადასახადების განახევრება, ბენზინის ფასის ერთ ლარამდე დაყვანა, ყველა სოფელს 5 მილიონი ლარი და ა.შ. მსგავსი ზღაპრები, რომლებითაც 2012 წლის არჩევნების წინ აბრუებდნენ სრულიად საქართველოს „ქართული ოცნების" აქტივისტები ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის წრიდან... არჩევნების, რომლის მთავარი სლოგანი იყო „საქართველო სააკაშვილის გარეშე!"**

თუმცა, ისეთი შემაძრწუნებელ-აუტანელი გახდა სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტური რეჟიმი საქართველოში, რომ ქართველი საზოგადოება ყოველგვარი აგიტაცია-პროპაგანდის გარეშეც მზად იყო, ზემორე ხსენებული სლოგანი სინამდვილედ ექცია. ციხის საშინელი კადრების გასაჯაროების შემდეგ კი ეს უეჭველი გახდა...

უფრო მეტიც — საზოგადოების უმრავლესობას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს ძალიან ცუდსა და ძალიან კარგს შორის გააკეთა არჩევანი, მაგრამ მოკლე ხანში გაირკვა, რომ, როგორც ყოველთვის, ძალიან ცუდსა და ცუდს შორის გაგვიკეთებია არჩევანი — **ერთადერთი სხვაობა ქოცებ-ნაცებს შორის არის ის, რომ ნაცებმა 9 წელიწადი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარეს საქართველო, ხოლო ქოცები, 4 წელიწადია, ჯერჯერობით მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით ხმარობენ, თორემ საყოველთაო სიდუხჭირით მოცულ საქართველოში არც ქოცები უჩივიან უმადობას — ათიათასობით პრემია-დანამატებზე არც ისინი ამბობენ უარს; თუ სააკაშვილი ეკლესიებს ანგრევდა და დიდების მემორიალს აფეთქებდა, ივანიშვილმა იქით საყდრისი ააფეთქა და აქეთ დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება „ვერ შეძლო" თავის ადგილზე.**

კიდევ ბევრი პარალელის გავლება შეიძლება, მაგრამ რა აზრი აქვს?!

**ვისაც გული შესტკივა ქვეყანაზე, იმას უჩვენოდაც კარგად მოეხსენება, თუ, უკაცრავად პასუხია და, რა ნეხვშიც ვზივართ. მაგრამ ე.წ. შემოქმედებით ინტელიგენციას, რომლის საყურადღებოდაც გავავლეთ პარალელები, ამის დანახვა არ სურს, რადგან მათი ხატია ბიძინა, სახატე — „ქართუ ბანკის" ბანკომატები, რომლებთანაც ყოველი თვის ბოლოს ჩამწკრივდებიან და ათასობით ლარს იჯიბავენ.**

ბანკომატებს — ბიძინას ბაგა, ხოლო ბანკომატებთან რიგში მდგომ ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომლისთვისაც საკუთარი სტომაქია უპირველესი და ამიტომ ყველას და ყველაფერს აბრალებს ქვეყნის ყელამდის ნეხვში ყოფნას, მამა-მარჩენალი ბიძინას გარდა, ბიძინას ბაგაზე დაბმული ვუწოდე.

ახლა კი, გიგი უგულავას ციხიდან ლამის გმირად გამოსვლის შემდეგ, უფრო შორს წავალ და, როგორც იტყვიან, საცა ვიწროა, იქ გაწყდეს...

**ბიძინა დოლარის მონაა, ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია — ბიძინას მონა.**

**ჰოდა, გამსახურდიას „მთვარის მოტაცებიდან" გვანჯ აფაქიძემ, „კაცის კაცი, რა კაციაო" და მონის მონა, რაღა იქნება?!**

„მშიერმუცელა მონებო!" — გოგლა ლეონიძის „ნატვრის ხე"-დან იორამის შეძახილი მახსენდება მორალისტი ციციკორეს გაუნათლებელი „მრევლის" მიმართ, ციციკორეს, რომელმაც მარიტა სახედარზე უკუღმა შესვა.

განათლებულ შემოქმედებით ინტელიგენციას, გნებავთ, ბიძინას „მრევლს", ბიძინასი, რომელმაც სრულიად საქართველო შესვა სახედარზე უკუღმა, უფრო უპრიანი იქნება, მაძღარმუცელა მონები ვუწოდოთ.

სწორედ შემოქმედებითი ინტელიგენციის წიაღში შობილი მაძღარმუცელა მონები იყვნენ ყველა ხელისუფალის (იშვიათი გამონაკლისის გარდა) დასაყრდენი. ფლიუგერივით პირველნი გრძნობდნენ ქარის მიმართულების შეცვლას და, როგორც იტყვიან, დროზე ღალატობდნენ ოდესღაც მათ მამა-მარჩენალ ხელისუფალს.

ეს რომ ასეა, საკმარისია, საქართველოს უახლეს ისტორიას გადავხედოთ — ჯერ სულით ხორცამდე ქართველის — **ვასილ მჟავანაძის** ჩამოგდებაში დაიხმარა **ედუარდ შევარდნაძის** მაძღარმუცელა მონები; შემდეგ იმავე ხალხის არცთუ მთლად მდუმარე თანხმობით მოუწყვეს **ზვიად გამსახურდიას** სახელმწიფო გადატრიალება და მაძღარმუცელა მონებმა ყოფილი ცეკას მდივანი საქართველოს პრეზიდენტის რანგში აღაზევეს თბილისში; მერე იყო და მიშა სააკაშვილს მიემხრო ოდესღაც ედუარდის მეხოტბეთა გარკვეული ნაწილი (რამაზ ჩხიკვაძისა და ელდარ შენგელაიას მგზნებარე სატელევიზიო გამოსვლები გავიხსენოთ), ხოლო დანარჩენები „ჩარეცხა", თორემ ისინიც სიამოვნებით ჩახტებოდნენ მეფის ნავში...

„იშვიათი გამონაკლისის გარდა"-მეთქი, რომ ვთქვი, ერთადერთი ზვიად გამსახურდია იყო, რომელმაც არ ინება მისგანვე წითელ ინტელიგენციად შერაცხულ მაძღარმუცელა მონებთან თანამშრომლობა, რის გამოც სიცოცხლით აგებინეს პასუხი საქართველოს პირველ პრეზიდენტს.

**საგულისხმოა ისიც, რომ, ვინც იმხანად უპირისპირდებოდა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას, სწორედ ისინი უგალობენ დღეს ოსანას ბიძინა ივანიშვილს...**

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები „ქართულმა ოცნებამ" ჩაატარა სლოგანით — „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა" და, როგორც ხედავთ, სლოგანშიც კი აღარ უხსენებიათ სამართლიანობის აღდგენა.



და თუ ამ სლოგანს სასურველი რაკურსით განვიხილავთ, ანუ, როგორც იტყვიან, თუ ქოთანს, საიდანაც გვინდა, იქიდან მივაბამთ ყურს, გამოვა, რომ წინასაარჩევნო დაპირებები გადაჭარბებით შეუსრულებიათ:

***სწრაფად იწყო განვითარება მოსახლეობის გაღატაკების პროცესმა,** რომლის ფონზეც კიდევ უფრო ამაღლდა ხელისუფალთა კეთილდღეობის ინდექსი. ***თავისუფლებაში** კი, ალბათ, გიგი უგულავას ციხიდან გათავისუფლებას თუ გულისხმობდნენ...

ეჰ, სახუმარო ნამდვილად არ არის გიგი უგულავას მოულოდნელი გათავისუფლება, რადგანაც ეს ამბავი პირდაპირ უკავშირდება ნაცების შიგა განხეთქილებას.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ამერიკელებმა დაინახეს, რომ ეშლებათ მათი იდეოლოგიის ერთგული პარტია, რომლის ხელისუფლებაში მოსაყვანად და შემდეგ წლების განმავლობაში ამ პარტიის ხელისუფლებაში დასარჩენად მილიარდობით დოლარი ჩაყარეს, რადგან გიგა ბოკერია ვერ არის ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც „ნაცმოძრაობის" ლიდერობას გაქაჩავდა — მისი ქარიზმა ნულის ტოლია.

**ქარიზმის მქონედ და ნაცბანდის პარტიის გადამრჩენად ამერიკელებმა გიგი უგულავა მიიჩნიეს და ამიტომ მოავლინეს თბილისში საახალწლოდ ჯონ მაკკეინი, რომელმაც თბილისის ყოფილი მერის სასწრაფოდ განთავისუფლება კატეგორიულად მოსთხოვა ბიძინა ივანიშვილს, რომელიც თავიდან ყინჩად შეპასუხებია ვიეტნამში უკანალიდან დაზარალებულ ჯონის — ტრამპი მოვიდა თეთრ სახლში, ხვალ ახალი პოლიტიკა გატარდება და თქვენ ვინ მიგდიხართო?!** რაზეც ამერიკელ მეკვლეს, ერთი ქართული ფილმისა არ იყოს, — „რა გადავარდა, რა გადმოვარდაო", მაგას მაშინ გაიგებ, როდესაც შენს მილიარდობით საბანკო ანგარიშებს გაგინულებთო... და ფულის მონა ბიძინამ, **ზაალ ბარათაშვილის** არ იყოს, ჯერ „ქოში უკუღმა ყარა", მერე უკანმოუხედავად მოუცოცხია და გიგი უგულავას ციხიდან გამოშვებაც უბრძანებია.

ეს ყველაფერი რომ ასე იყო, ანუ დასავლეთიდან ორკესტრირებული, დასტურად სარწმუნო წყაროს მოხმობა სულაც არ არის აუცილებელი, რადგან საამისოდ ტელევიზიებში ნანახ-მოსმენილის ანალიზიც კმარა...

თავად განსაჯეთ: **გიგი უგულავას გათავისუფლებიდან, სულ რაღაც, 12-15 წუთში აშშ-ის საელჩომ თბილისში შესაბამისი შინაარსის განცხადება გააკეთა; ასევე ოპერატიულად გამოეხმაურა ამ ამბავს ევროპარლამენტის სამივე ფრაქცია ერთობლივი განცხადებით. ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ გაზაფხულისთვის, როდესაც ვიზალიბერალიზაცია უნდა ამოქმედდეს, სხვა პოლიტპატიმრებსაც (ბაჩანა ახალაიასა და ვანო მერაბიშვილსაც) გაათავისუფლებს ქართული სასამართლო.**

გიგი უგულავამაც ხელისუფლებას სხვა „პოლიტპატიმრების" გათავისუფლებისკენ მოუწოდა, რათა ერთად ვაშენოთ ახალი საქართველოო. მაგრამ მისი თავხედობა ამით არ ამოწურულა, მოგვიანებით სამების ტაძარში მისულა, როგორც ღვთისმოსავი მართლმადიდებელი ქრისტიანი. არადა, ხომ ვიცით, რომ სწორედ გიგი უგულავას ჰქონდა დავალებული ხელისუფლებისთვის კრიტიკულ დღეებში (2007 წლის 7 ნოემბერი, 2009 და 2011 წლის 26 მაისები) პირადად კათოლიკოს-პატრიარქის კონტროლი, რის გამოც არა ერთხელ შევარდნილა სამების ტაძრის საკურთხეველში თუ პატრიარქის რეზიდენციაში და მუშტები უბრახუნებია მაგიდაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეთა შინაარსის ცენზურაზე, რაც ასევე თბილისის ყოფილი მერის პრეროგატივა იყო.

**ნურც ის დაგვავიწყდება, რომ გიგი უგულავა შედიოდა სააკაშვილის გარემოცვის იმ 5-7-კაციან ჯგუფში, რომელიც პარლამენტისა და მთავრობის გვერდის ავლით უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს იღებდა.**

**იმასაც შევახსენებ მკითხველს, რომ გიგი უგულავა იყო აგვისტოს ომში ერთ-ერთი უკანონო სარდალი და, აქედან გამომდინარე, ქართველთა სისხლსა და ცრემლში კრეტინ სააკაშვილზე არანაკლებ დამნაშავეა.**

აი, ასეთი არაკაცი გაათავისუფლა ბიძინა ივანიშვილმა და, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივმართავ მის მაძღარმუცელა მონებს — ვერ ხედავთ, რომ „უწმინდეს" ბიძინას თავისი ქონების მძევლად გაუხდია სრულიად საქართველო და რა ვქნათ ახლა — ბიძინას ქონებას გადავაყოლოთ ჩვენი სამშობლო?

**დავით მხეიძე**

„ვინც დღეს მარიხუანის ლეგალიზებას ითხოვს, განა ის ხალხი არ იყო, სააკაშვილის პერიოდში რვაწლიან და ცხრაწლიან სასჯელს რომ აძლევდა ადამიანებს სწორედ მარიხუანის მოხმარებისა და გასაღებისთვის?! ან თუ ასე ძალიან უნდა ხაჩიძეს ამ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის დათესვა, გარემოს დაცვის მინისტრი რომ იყო, რატომ არ თესავდა?! მეორეც, სახელმწიფო უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე. არ შეიძლება, ვიღაცამ კანონი ფეხქვეშ გათელოს დემონსტრაციულად და ამას გამოხატვის უფლება დაარქვას. როდესაც საზოგადოება ამას ხედავს, უჩნდება განცდა, რომ ქვეყანაში განუკითხაობაა“.

ხმა ზერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა დავითი (ქვლივიძე):

# გარყვნილებისა და ნარკომანიის პროპაგანდა კი არ უნდა მძვინვარებდეს ქვეყანაში, არამედ სოფლის მეურნეობაში უნდა ჩაიდოს თანხა

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის ვაშლიჯვრის ნათლისღების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავითი (ქვლივიძე).**



**— მამაო, 31 დეკემბერს, ახალი წლის ღამეს, პარტია „გირჩმა“ და მისმა თანამოაზრეებმა პირდაპირ ეთერში კანაფი დათესეს და განაცხადეს, რომ მსგავს აქციებს მომავალშიც მოაწყობენ, თუ ხელისუფლება ნარკოპოლიტიკას არ შეამსუბუქებს. აღნიშნულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმე აღძრა და გამოძიება დაიწყო, მაგრამ დღემდე პასუხისგებაში არავინ მიუციათ, და, როგორც ჩანს, არც აპირებენ. შეიძლება ითქვას, რომ მარიხუანის მოხმარებისა და კულტივირების ლეგალიზება ერთგვარად უკვე მოხდა. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— როდესაც ქრისტესთან მივიდნენ და ჰკითხეს, გადაეხადათ თუ არა ხარკი კეისრისთვის, მაცხოვარმა პირდაპირ უპასუხა: „კეისარსა — კეისრის, ღმერთისა — ღმერთს“. კანონები ყველაზე უნდა ვრცელდებოდეს, რომ ყველამ ერთნაირად აგოს პასუხი დანაშაულზე. **ვინც დღეს მარიხუანის ლეგალიზებას ითხოვს, განა ის ხალხი არ იყო, სააკაშვილის პერიოდში რვაწლიან და ცხრაწლიან სასჯელს რომ აძლევდა ადამიანებს სწორედ მარიხუანის მოხმარებისა და გასაღების გამო?!** ან თუ ასე ძალიან უნდა **ხაჩიძეს** ამ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის დათესვა, გარემოს დაცვის მინისტრი რომ იყო, რატომ არ თესავდა?! მეორეც, სახელმწიფო უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე. **არ შეიძლება, ვიღაცამ კანონი ფეხქვეშ გათელოს დემონსტრაციულად და ამას გამოხატვის უფლება დაარქვას. როდესაც საზოგადოება ამას ხედავს, უჩნდება განცდა, რომ ქვეყანაში განუკითხაობაა.**

სახელმწიფოში, სადაც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ყოველგვარი შიშისა და კანონის პატივისცემის გარეშე შეუძლია, შეგნებულად დაარღვიოს კანონის კონკრეტული მუხლი, მართლმსაჯულება, ფაქტობრივად, მკვდარია; ხოლო იქ, სადაც მართლმსაჯულება თავის საქმეს ვერ აკეთებს, ცხადია, წესრიგი არ არის, სრული ქაოსია...

**— ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც მარიხუანის ლეგალიზება აუცილებელია, თურმე არის ის, რომ კანაფის მასობრივი მოყვანა ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს...**

— ნარკოტიკით გაბრუებულები რომ დადიან და ჭკუა არ მოეკითხებათ, მათი მსჯელობიდანაც ჩანს. საქართველოში ყაყაჩოს მოყვანაც შეიძლება და მარიხუანასთან შედარებით ის გაცილებით მეტ შემოსავლს მოიტანს, მაგრამ რა ვქნათ — ავღანეთი ჩავანაცვლოთ მსოფლიო ნარკობაზარზე და ომის პოლიგონად ვაქციოთ საქართველო? ნარკოტიკზე დავსვათ ხალხი?

როგორ შეიძლება, ასე მოაზროვნე ადამიანს მისცე ძალაუფლება? მათთვის სამშობლო იქნება ფულის მოსაჭრელი დაზგა, რათა თვითონ გამდიდრდნენ. ვფიქრობ, ამ ხალხს საზოგადოებამ უნდა გამოუტანოს განაჩენი და გამოტანილიც აქვს უკვე. ვხედავთ, რა დღეშიც არიან. უბრალოდ, საწყენია, რომ ძალოვანი სტრუქტურები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და კანონი უგულებელყოფილია...

**— ერთ-ერთ გამოსვლაში ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, დღეს საქართველოში ნახევარი მილიონი ადამიანია მარიხუანის მომხმარებელიო. რეალურია ეს ინფორმაცია?**

— შეიძლება უფრო მეტი მომხმარებელიცაა, მაგრამ მერე რა, **ნახევარმა მილიონმა ქურდობა რომ დაიწყოს, უნდა დავაკანონოთ?!** არიან ერები, უფრო ჩრდილოეთის ხალხები, რომლებსაც აქვთ ალკოჰოლის მიმართ მიდრეკილება და იმ ქვეყნების ხელისუფლებას აქვს ალკოჰოლური სასმელებისადმი შესაბამისი მკაცრი მიდგომა. მაგალითად, ფინეთში მშრალი კანონი მოქმედებს. ჩვენ რა, ფინეთზე უკეთესი დემოკრატია გვაქვს? ადამიანს ათასი ვნება აწუხებს და, ყველაფრის უფლება თუ მივეცით თავს, ეშმაკის მონა გავხდებით. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის ლეგალიზებას ითხოვენ, ისინი ემსგავსებიან ქართველ ბოლშევიკებს, რომელებმაც პირადი ინტერესების გამო, თანამდებობა რომ ჰქონოდათ საბჭოთა იმპერიაში, საქართველოს მიწები გააჩუქეს — საქართველო რუსეთს შეუერთეს და ქვეყანა დაღუპეს. ეს ადამიანები დღეს მიწებს კი არა, ადამიანების სულებს იტაცებენ, რაც ღვთის წინაშე გაცილებით დიდი დანაშაულია. ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ნებისმიერი ნარკოტიკის მოხმარება — ეს არის ეშმაკთან კავშირის დამყარება და სულიერი ცოდვა. გახსოვთ, ალბათ, კინოფილმებიდან, როდესაც ინდიელები თეთრკანიანებთან შერიგდებოდნენ, დასხდებოდნენ წრეში და „მშვიდობის ყალიონს“, ე.წ. მსუბუქ ნარკოტიკს ეწეოდნენ. ამის შემდეგ ტომის ბელადი დგებოდა და იწყებდა „ტომის მფარველ სულთან“, ანუ ეშმაკთან საუბარს. აქედან მოდის დღეს დამკვიდრებული ნარკოტიკის წრეში დატრიალება და ერთმანეთისთვის გაწოდება, რომელიც სატანური რიტუალია. **როგორც მარხვა და ლოცვა ამზადებს ადამიანს ზიარებისთვის, ასე ნარკოტიკის მიღება ამზადებს ადამიანს ეშმაკთან ურთიერთობისთვის.** ნარკოტიკის ზეგავლენით ეწყებათ მოჩვენებები, სმენითი ჰალუცინაციები. ზოგი ვერ უძლებს ამას, ვეღარ გამოდის ამ ზემოქმედებიდან და მთელი ცხოვრება ამ მდგომარეობაში ჩარჩენილი დადის.

მარიხუანა მხოლოდ დასაწყისია. ნარკომანი ამაზე არ გაჩერდება. წამლის ასი მომხმარებლიდან 95 პროცენტმა მარიხუანით, ანუ „მსუბუქი ნარკოტიკით“ დაიწყო.

**— რა შეიძლება მოუხერხდეს ამ ადამიანებს, არის კი ციხე გამოსავალი?**

— ციხე აუცილებლად უნდა არსებობდეს. ამაზე იესო ქრისტემაც ბრძანა, როდესაც პატიმართა მონახულება დაგვავალა, მაგრამ ყველა ნარკოდამოკიდებული მაშინვე არ უნდა ჩასვა. პირველ ჯერზე შეიძლება ჯარიმის გამოწერა და, თუ არ გადაიხდის, შეუძლია, ქუჩები დაგავოს ან სხვა სახის სამუშაო შეასრულოს. თუ ამასაც არ შეასრულებს, მაშინ, როგორც დასუფთავება და წყალი არის მიბმული დენის გადასახადზე, აქაც შეიძლება ასეთი გამოცდილება გამოიყენონ. მოკლედ, ოჯახის წევრებმა უნდა იცოდნენ, რომ სახლში ჰყავთ „ხორცმეტი“, რომელიც პრობლემაა არა მხოლოდ მათთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც და თვითონ მიხედონ. **როგორც სიმთვრალისთვისართმევენ მართვის უფლებას, ნარკოტიკების მომხმარებლებსაც უნდა აეკრძალოთ საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავება.** ეს კანონი დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს, ხოლო, თუ ვინმეს კანაფის დათესვა და გავრცელება მოუნდება, ის, რა თქმა უნდა, შესაბამისი კანონით უნდა გაასამართლო. ეს არის სახელმწიფო, ამიტომ, ვინც დააშავებს, პასუხი უნდა აგოს — გინდ პარტია იყოს და გინდ პარტიების გაერთიანება. რაც შეეხება პიროვნებებს, **ყველა, ვინც დღეს ნარკოტიკის ლეგალიზებას ითხოვს, საქართველოს მტერია, ხოლო ვინც ამაზე თვალს დახუჭავს, ქვეყნის დანგრევისა და განადგურების თანამონაწილე.**

**— ნარკოტიკების ლეგალიზებას მხარს უჭერს და შესაბამის მოთხოვნას აქტიური პროპაგანდით ეხმარება სატელევიზიო მედიის უდიდესი ნაწილი, საპირისპირო მხარეს კი მხოლოდ თითო-ოროლა გამოცემა და ცალკეული პიროვნებებია. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ პროცესში მეტი აქტიურობა შეუძლია ეკლესიას?**

— მეტი რა უნდა ვქნა, რა შემიძლია?! თოხით ვერ გამოვალ და მათ მიერ დათესილს ვერ ამოვძირკვავ. ჩემი ძალა სიტყვაშია — მოხვედით, ინტერვიუ მთხოვეთ, მოგეცით. გამოვალ, ჩემს სათქმელს ვიტყვი, ვიქადაგებ და გავავრცელებ. ღმერთია მოწმე, რაც შემიძლია და როგორც შემიძლია, ძალ-ღონეს არ ვიშურებ და ჩემნაირად იქცევა კიდევ უამრავი მღვდელი, რომლებიც ასევე უარყოფითად უყურებენ ამ ყველაფერს. თუ ვინმეს არასწორი და არაჯანსაღი პოზიცია უკავია, ეს მისი პრობლემაა. ამაზე ვერც მე და ვერც სხვა რომელიმე მღვდელი პასუხისმგებელი ვერ იქნება...

**— კულუარული ინფორმაციით, პარლამენტშიც არიან მარიხუანის მომხმარებლები.**

— და გიკვირთ, რომ არიან? აბა, **ნორმალური პარლამენტი რომ გვყავდეს, პრეზიდენტი და სამართალდამცავი ორგანოები, პირდაპირ ეთერში გაბედავდა ვინმე ნარკოტიკის დათესვას და მოხმარებას?! თვითონაც „დაბოლილი“ და გაბრუებული სხედან. ვერ ხედავთ, რა სახეები აქვთ ხოლმე?** ერთადერთი, რაც ევალებათ, ღილაკზე თითის დაჭერაა და ისიც ერევათ. მერე გამოდიან და აცხადებენ, შემთხვევით დავაჭირე, არ მინდოდაო. ესენი არიან სახელმწიფოს მტრები და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ საკითხზე წაყრუებით პასუხისმგებლობას აიცილებს, ძალიან ცდება. ასე იყო მაშინაც, როცა ანტიდისკრიმინაციული კანონი განიხილეს და დაამტკიცეს — ზოგი კენჭისყრაზე არ მივიდა, ეგონა, სუფთად გამოვიდოდა ამ საქმიდან...

**— იმხანად დასავლეთიდან სერიოზული პოლიტიკური წნეხი იყო და გადაწყვეტილების მიღება დიდწილად ამანაც განაპირობა. როგორ ფიქრობთ, დღესაც არის მსგავსი ზეწოლა?**

— რა წნეხი და ზემოქმედებაც უნდა იყოს, ეს გამართლება ვერ იქნება. აქ ლაპარაკია ქვეყნისა და ხალხის მომავალზე. არაერთი ადამიანი ვიცი ნარკოტიკისადმი მიდრეკილი, მაგრამ დღეს ისინი ნარკოტიკს მხოლოდ იმიტომ არ მოიხმარენ, რომ მართლმსაჯულებასთან პრობლემები არ სურთ. ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი მათ ეს ბარიერი მოეხსნებათ. რა თქმა უნდა, დაიწყებენ ნარკოტიკების მოხმარებას და ძალიან მალე გახდებიან ნარკოდამოკიდებულნი. აი, ყველა იმ ადამიანისა და მათი ოჯახების წინაშეა პასუხისმგებელი დღეს მარიხუანის ლეგალიზების მომხრე ხალხი. **რაც შეეხება პარლამენტსა და მმართველ გუნდს, თუ ისინი ამ კანონს მიიღებენ, საშვილთაშვილოდ ჩავარდებიან ცოდვაში. მათ მოდგმას გაჰყვება ეს ცოდვა. ეს იქნება ერისა და სახელმწიფოს ღალატი და ხალხის მეხსიერებაში ამ კანონის მიმღები დარჩება, როგორც ქვეყნის მტერი, მიწა-წყლის გამყიდველი და დამაქცევარი...**

**— მიწა-წყალი რადგან ახსენეთ, ამას წინათ პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას განაცხადა, რომ არავის აქვს ქართული მიწის გაყიდვის უფლება — არც მეფეს, არც პრეზიდენტს და არც პატრიარქს, თუმცა დღეს სასოფლო-სამეურნეო მიწების საკმაოდ დიდ ნაწილს უცხოელები ფლობენ. საჭიროა თუ არა ამ მხრივ საკანონმდებლო ცვლილებები?**

— ევროპაში დღეს მიწას ვერ იყიდი, არა იმიტომ, რომ აკრძალულია, არა! კანონით გაქვს ამის უფლება, მაგრამ რეგულაციებია ისეთი, მიწას ვერაფრით შეიძენ. ვფიქრობ, საქართველოშიც ასე უნდა იყოს, უცხოელებს გარკვეული ბარიერები უნდა დაუწესდეთ. სხვანაირად ქართველი გლეხი ვერ გაუწევს კონკურენციას იმ ფულიან უცხოელს და საარსებო წყაროს დაკარგავს.

წინა ხელისუფლება ამბობდა, სოფლის მეურნეობა არარენტაბელურიაო. ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს. გარყვნილებისა და ნარკომანიის პროპაგანდა კი არ უნდა მძვინვარებდეს ქვეყანაში, არამედ სოფლის მეურნეობაში უნდა ჩაიდოს თანხა — მოეწყოს სარწყავი სისტემები, შემოვიდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და განვადებით გადაეცეს გლეხებს, გაკეთდეს ის, რაც თურქეთში დაინერგა. აი, ეს არის სახელმწიფოებრივი მიდგომა და არა ის, რომ ვიღაცას უნდა, სრულიად საქართველომ ნარკოტიკით გაბრუებულმა იაროს. ამას საქართველოს მტრები ითხოვენ.

**«თუ ისინი ამ კანონს მიიღებენ, საშვილთაშვილოდ ჩავარდებიან ცოდვაში. მათ მოდგმას გაჰყვება ეს ცოდვა. ეს იქნება ერისა და სახელმწიფოს ღალატი და ხალხის მეხსიერებაში ამ კანონის მიმღები დარჩება, როგორც ქვეყნის მტერი, მიწა-წყლის გამყიდველი და დამაქცევარი...»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ჩანს, ძალიან სასაცილოდ რომ გვექნება გაზაფხულიდან საქმე, გულმა უგრძნო „გირჩის“ ლიდერებს და თავიანთ ოფისში კანაფი დათესეს. ამბობენ, „სმეშნიაკიაო“. ჰოდა, სხვა დანარჩენთან ერთად, ლარის კურსმაც თუ ასე განაგრძო, ხოლო მინისტრმა ჯეჯელავამაც თუ არ მოიშალა საჯარო გამოსვლებისას შტეროზების ლაპარაკი, სწორედ „პლანის სეზონზე“ მოგვიწევს ყველაზე სასაცილო ამბების გაგონება და მერე ნახე ტაშ-ფანდურა, სიცილ-ხარხარი და „ჩიტო-გვრიტო“.**

**აი, ასეთი იყო საახალწლო დღეები საქართველოში. როგორც კი მოსახლეობამ საცივისა და ნაბახუსევისთვის საგანგებოდ შემონახული მინერალური წყლის მარაგი ამოწურა, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!**

# «საქართველო ჯონისია, საქართველო იანისია»

ჯერ **ვერა ბრეჟნევა** გამოვიდა სცენაზე, მერე **გიგი უგულავა** გამოვიდა ციხიდან, მერე **„გრეჩიხა“** შევიდა ციხეში, მანამდე „დაინინგ რუმში“ „თ-ფ-ილისი“ იჯდა და **ნიკა გვარამია** იწვა იქვე...

უფრო მანამდე კი **ჯონ მაკკეინი** ჩამოვიდა და ზუსტად ახალი წლის წინა ღამით თოვლის ბაბუასავით „ჩამოუქროლა თავის საქართველოს“! დიახ, „თავის“ საქართველოს და არა „ჩვენს“ საქართველოს, რადგან **უკვე ყველაზე გულუბრყვილოდ გულმხურვალე „ამერიკანელებიც“ კი გულის სიღრმეში ხვდებიან, რომ საქართველო, დიდი ხანია, „ჩვენი“ აღარ არის და „საქართველო ჯონისია, საქართველო იანისია“.**

მაკკეინმა მოგვიტანა ბევრი საახალწლო საჩუქარი! მაგალითად, გვაჩუქა **„კიდევ უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი თანამშრომლობის“** დაპირება, **„ამერიკის მტკიცე მხარდაჭერის“** კიდევ ერთხელ აღნიშვნა, დაგვპირდა, რომ ნატოს საგზაო რუკას, ანუ „მაპს“ თუ ადრე ათასი კილომეტრიდან გვიჩვენებდნენ, ახლა ცხრაასი კილომეტრიდან დაგვანახვებენ და დაგვპირდებიან, რომ გაისად კიდევ უფრო მოგვიახლოვებენ... მეტი რაღა გვინდა?!

ჰო, მართლა, არ გამოგვრჩეს ქართველი ხალხისთვის ყველაზე სასურველი და გულის გამახარებელი საჩუქარი — **გიგი უგულავას გამოშვება ციხიდან.** არავინ თქვას, რომ მაკკეინის ვიზიტი მხოლოდ დაემთხვა ამ ამბავს და „დამოუკიდებელმა“ სასამართლომ, უბრალოდ, გუმანით იგრძნო, რა ესიამოვნებოდა ამერიკელ მამა- მარჩენალს.

მოკლედ, გიგი გამოვიდა! მაგრამ მანამდე ვერა ბრეჟნევა გამოვიდა რუსულ სცენაზე, რომელმაც **ვალერი მელაძესთან** ერთად ქართულად იმღერა „ჩიტო-გვრიტო“ და შეაზანზარა სოციალური ქსელების ქართველი მომხმარებლები, რომლებიც, როგორც წესი, ძალიან იოლად „ზანზარდებიან“ ხოლმე და მათი ზანზარის მთავარი მიზეზი არის ყველასი და ყველაფრის კრემლთან ან ნატოსთან დაკავშირება.

ასე მოხდა ვერა ბრეჟნევას შემთხვევაშიც. „ნახეთ! აი, ისევ რუსები გვაფასებენ ქართველებს. ასე იყო ყოველთვის, კრემლში ქართველებს მუდამ უწევდნენ ანგარიშს და რუსეთს ახლაც უყვარს საქართველო. ეს ვერა ბრეჟნევას ქართულად ამღერებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა!“ — ქადაგებდნენ ერთნი.

„რატომ მღერის ქართულად ეგ ღრუსი დედაკაცი? ჯერ ქართველი ბიჭების სისხლზე მოსთხოვოს პასუხი პუტინს და მერე ამღერდეს ქართულად! ვინც უნდა იმღეროს და რაც უნდა იმღეროს, საქართველოს კურსი მაინც ჩრდილოატლანტიკური იქნება!“ — ბობოქრობდნენ მეორენი.

აშკარაა დღევანდელი საქართველოსთვის დამახასიათებელი რადიკალური დაპირისპირება, თანაც სრულიად უსაფუძვლო და უარგუმენტო.

ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვნახე ნორმალური ადამიანური პოზიცია — „მოსკოვში, ჩვეულებრივ საახალწლო კონცერტზე, ჩვეულებრივმა რუსმა მომღერალმა ვერა ბრეჟნევამ და ჩვეულებრივმა ქართული წარმოშობის მომღერალმა ვალერი მელაძემ ერთი ჩვეულებრივი ქართული სიმღერა იმღერეს“, — ეს იყო და ეს. ასეთ კონცერტებზე სომხური სიმღერაც არაერთხელ უმღერიათ და ტაჯიკურიც, მაგრამ არც ერთ სხვა ქვეყანაში მათ ენაზე ამღერებულ „რუსულ ესტრადას“ ამხელა აჟიოტაჟი არ გამოუწვევია. ამიტომ **ძალიან მინდოდა, გამეგო, რა შუაში იყო ვერა ბრეჟნევას ქართულ „ჩიტო-გვრიტოსთან“ ან კრემლი, ან ნატო და ან, საერთოდ, საქართველოს მომავალი, მაგრამ ამის ახსნა ვერც ერთმა რადიკალურად „მოზანზარე“ მხარემ ვერ შეძლო.**

ვერავინ შეძლო ვერც იმის ახსნა, რატომ ვერ შევიდა საქართველო აქამდე ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმში. **ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზალიბერალიზაციის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის აღსანიშნავად გახსნილ სპეციალურ ვებგვერდზე დღემდე დევს 2014 წელს განთავსებული ინფორმაცია, რომ 2015 წლის ბოლოდან, ჰა-ჰა, ყველაზე გვიან 2016 წლის დასაწყისიდან, საქართველოს მოქალაქეები უკვე უვიზოდ ივლიან ევროპაში. მას შემდეგ კიდევ ათჯერ მაინც ატყდა სიხარულის ყიჟინა, ტაშისცემა, ზარზეიმი — არიქა, ევროკავშირმა მიიღო რეზოლუცია და მალე საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეზოლუციაც უნდა მიიღოსო!** მერე ვიზეიმეთ, აი, უვიზო მიმოსვლის რეზოლუციის წინა რეზოლუცია მიიღესო. შემდეგ იმაზე ვიკუნტრუშეთ, აი, რეზოლუციის მიღების წინა რეზოლუციის მომდევნო რეზოლუცია მიიღეს, რომ რეზოლუცია უნდა მიიღონო. მახსოვს გულმხურვალე მილოცვებიც — **აჰა! სკეპტიკოსებს რომ არ სჯეროდათ, ახლა რაღას იტყვიან, ევროკავშირმა უკვე განაცხადა, უვიზო მიმოსვლის დადგენილების წინა რეზოლუციის შემდგომი დასკვნის მომდევნო განხილვის შემდგომი მოლაპარაკების მოსამზადებელი შეხვედრა სულ მალე ჩატარდებაო.**

მართლაც, ვერაფერს ვიტყვით ჩვენ — ჩემნაირი „რუსეთუმე“ და „პუტინისტი“ ევროსკეპტიკოსები! ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავთარსოთ და გავთვალოთ მთელი ეს „ევროპროცესი“ ასეთი შხამიანი სიტყვებით — **ევროპაც და ამერიკაც, სინამდვილეში მაგრად გვეკაიფებიან და არავითარი უვიზო მიმოსვლა არ იქნება. მათ, უბრალოდ, აინტერესებთ, რა კონტრნაბიჯებს გადადგამს რუსეთი კავკასიაში გავლენის შესანარჩუნებლად და ჩვენნაირი შტერების გამოყენებით აკვირდებიან რუსეთის საქციელს „ევროგამაღიზიანებლებზე“.**







**ევროპა და ამერიკა, უკვე ლამის 30 წელია, ყოველდღე გვატყუებენ, ვერაგ მტერსაც შეგვატოვეს პირისპირ, მოგვიანებით მათი პრეზიდენტები და ლიდერებიც გვინახავს იმავე ვერაგ მტერთან ჩახუტებული და მაინც «ძმებსა და მეგობრებს» ვეძახით... უცნაური არ არის? აჰ! როგორც ჩანს, ეს ვიღაც ტოტლებენი, უბრალოდ, როგორც «მასტი», არ გვევასება და რამე ხო? ისე, კი გვაქვს ეგ თვისება ქართველებს — აგერ, როგორც «მასტი», არ დაევასა პატარა «გრეჩიხას» ყოფილი გენპროკურორის მოადგილე და ამჟამად «რუსთავი 2»-ის გენდირექტორი ნიკა გვარამია და მთელი თ-ფ-ილისის თვალწინ იატაკზეც დააგორა**

აი, ხედავთ? ასეთ „დამთარსველ“ ფრაზას რომ ვიტყვი, ამის მერე განა მოხდება ვიზალიბერალიზაცია? ყველაფერი ხომ ჩვენი — „ევროსკეპტიკოსების“ თარსი ენის ბრალია, თორემ რეალურად ევროპა აქამდე დაუშვებდა უვიზო მიმოსვლას საქართველოსთან.

აკი, გვახარა კიდეც ამ საახალწლოდ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა **იანოშ ჰერმანმა:** „ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ ელოდებით, ჩვენ კი ვმუშაობთ!“

ა, კაცი! ჩემსავით კი არ „ითარსება“, რეალურად ასახავს მდგომარეობას — თქვენ ელოდებით, ჩვენ ვმუშაობთო! აქამდე ხომ არ ვიცოდით, რომ ველოდებოდით? ახლა უკვე ვიცით.

და, საერთოდ, **დროა, ყური არ ათხოვოთ ჩემნაირ „ევროსკეპტიკოსებს“ და თქვენი კალენდრები რუსეთის ჯიბრზე ასე, სამი წლით უკან გადაწიოთ. ვითომ 2014 წელია და 1 წელიწადში საქართველოს მოქალაქეები უკვე უვიზოდ „ვიგულავებთ“ ევროპის ქვეყნებში. თუ არა, რა გამოდის, აბა? უკვე 2017 წელია და მთელი სამი წელიწადი და თითქმის მეოთხეც, ჩვენი „ძმები და უერთგულესი მეგობრები“ ასე უნამუსოდ გვატყუებდნენ? არა, ამის დაჯერება ხომ რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმაა?!**

მხოლოდ რუსეთი ატყუებს ხოლმე საქართველოს. მაგალითად, 200 წელზე მეტია, ერეკლე მეფეს იმას ვაყვედრით, როგორ ენდო გენერალ **ტოტლებენს,** როგორ იყო მის იმედად, ახია მაგაზე, ხომ მოატყუეს რუსებმა და ხომ შეატოვეს ვერაგ მტერს პირისპირო.

დიახ, ეს მართალია, მაგრამ რა არის, იცით, გაუგებარი? **ეს ევროპა და ამერიკა, უკვე ლამის 30 წელია, ყოველდღე გვატყუებენ, ვერაგ მტერსაც შეგვატოვეს პირისპირ, მოგვიანებით მათი პრეზიდენტები და ლიდერებიც გვინახავს იმავე ვერაგ მტერთან ჩახუტებული და მაინც „ძმებსა და მეგობრებს“ ვეძახით... უცნაური არ არის?**

**აჰ! როგორც ჩანს, ეს ვიღაც ტოტლებენი, უბრალოდ, როგორც „მასტი“, არ გვევასება და რამე ხო? ისე, კი გვაქვს ეგ თვისება ქართველებს — აგერ, როგორც „მასტი“, არ დაევასა პატარა „გრეჩიხას“ ყოფილი გენპროკურორის მოადგილე და ამჟამად „რუსთავი 2“-ის გენდირექტორი ნიკა გვარამია და მთელი თ-ფ-ილისის თვალწინ იატაკზეც დააგორა.**

ოღონდ, „მთელი თ-ფ-ილისი“ — ეს ელიტარი ქართველების დედის — **მარინა ბერიძის** თვალთახედვით, ანუ სადაც „დოი“-ა, სადაც „ნიკოლოზ რაჭველია“, იქაა თ-ფ-ილისიც. სადაც ეს პერსონები არ არიან, ის რა თბილისია, აბა?!

**გაგიჟებულა იან კელიც და გავარდნილა „დაინინგ რუმში“ — როგორც ჩემი ნიკა იტანჯება, მეც ისე უნდა დავიტანჯოო და ურტყა თურმე თავი კედლებსა და მაგიდებს. სანუგეშოდ მხოლოდ ისღა დარჩენია, გიგი უგულავა რომ გამოაშვებინა „სამართლიან სასამართლოს“ ციხიდან, თორემ მართლა მოიკლავდა თავს და ეგაა.**

ზოგი კი იმისთვის იკლავს თავს, რატომ გამოუშვეს დამნაშავე გიგიო. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს კაცი 2 წელიწადს კი იჯდა და კიდევ ერთსაც თუ იჯდებოდა, ამას დიდი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს. სამუდამო პატიმრობას ფინანსური დანაშაულის გამო მაინც ვერავინ მიუსჯიდა და არ მგონია, ახლა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ამდენად დიდი გავლენა იქონიოს იმან, გიგი შიგნით იქნება თუ გარეთ. აკი, **ქვეყანაში კი არა, კონკრეტულად ნაციონალებში მიმდინარე პროცესებზეც ვერ იქონია გავლენა ციხიდან „დიდი ბელადის“ ამპლუით გამოსულმა უგულავამ. გამოსული გიგი პირდაპირ ნაცების ოფისში შევიდა, მაგრამ, მუხრანის ცნობილი სტრიქონისა არ იყოს, „რაც შეიტანა — ისევ ის გამოიტანა“.**

იქ კი, „შიგ მოძრაობაში“, იდგა **კაკო ბოკოხიძე** და თბილისის მერობის ყოფილ კანდიდატ **ნიკა მელიას** ისე უძახდა ნიკანორს, გეგონებოდა, შეურაცხყოფდა. არ ვიცი, ნაციონალების რომელი „ფრთის“ დამკვიდრებულია, მაგრამ ფაქტია, რომ, როდესაც ადამიანი მათ მხარეს აღარ არის, რატომღაც ე.წ. პასპორტის სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. გვახსოვს, ალბათ, ბადრი — არკადი და ბიძინა — ბორია. ახლა უკვე ნიკა ნიკანორი გახდა მათთვის.

კლასიფიკაციის მეთოდს აწვება განათლების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავაც.** „სკოლები უნდა გაიყოს სამ კატეგორიად: მცირე სკოლები, რომლებშიც 200 ბავშვზე ნაკლები სწავლობს; დიდი სკოლები, რომლებშიც 200 ბავშვზე მეტი სწავლობს და იქნება კიდევ წამყვანი სკოლების კატეგორია“. ვერ გეტყვით, ეს ნაბახუსევზე წამოაბოდიალა ამ ცნობილმა თამადამ, თუ ძილში წამოაბოდა და შემთხვევით ჟურნალისტებიც იქვე აღმოჩნდნენ. ფაქტი კი ის არის, რომ **ჟურნალისტის კითხვაზე — „რა განსხვავება იქნება ამ სამი კატეგორიის სკოლებს შორის?“ მინისტრმა უპასუხა: „მათ შორის საერთოდ არანაირი განსხვავება არ იქნება“...**

აბა, რატომ უნდა დავყოთ სკოლები კატეგორიებად? თუ განსხვავება მაინც არ იქნება, მაშინ რაღა სამად, რა გვენაღვლება და — ოცდაათ კატეგორიად დავყოთ, რა პრობლემაა?! მთელი ეს დაყოფა-დაკატეგორიება გაზაფხულიდან უნდა დაიწყოსო, ბრძანა „ანტიკომბლემ“.

ფაქტობრივად, გაზაფხულიდანვე უწევს თავისი „რეფორმატორული ხელის“ დატყობა „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ აქამდე „მეცხრე არხზე“ ტელემწვერვალების დამპყრობსა და „ჯი-დიესის“ ახალ სიმაღლეებზე ამყვან **ვასილ მაღლაფერიძეს,** რომელიც ამჯერად პირველ არხს ჩაუდგა სათავეში და ძალიან მალე ამ ტელევიზიას საბოლოოდ „გააფრენს ამერიკაში“.

**როგორც ჩანს, ძალიან სასაცილოდ რომ გვექნება გაზაფხულიდან საქმე, გულმა უგრძნო „გირჩის“ ლიდერებს და თავიანთ ოფისში კანაფი დათესეს. ამბობენ, „სმეშნიაკიაო“. ჰოდა, სხვა დანარჩენთან ერთად, ლარის კურსმაც თუ ასე განაგრძო, ხოლო მინისტრმა ჯეჯელავამაც თუ არ მოიშალა საჯარო გამოსვლებისას შტეროზების ლაპარაკი, სწორედ „პლანის სეზონზე“ მოგვიწევს ყველაზე სასაცილო ამბების გაგონება და მერე ნახე ტაშ-ფანდურა, სიცილ-ხარხარი და „ჩიტო-გვრიტო“.**

„უნდა გამოვფხიზლდეთ. ოთხმოც წელს მიტანებული კაცი ვარ. მზად ვარ, ქუჩაში გავიდე, ყინვაში, წვიმაში... ჯოხს აიღებს ხალხი ხელში — ჯოხს დავიჭერ, იარაღს მოკიდებენ ხელს — იარაღს ავიღებ... მაგრამ სამშობლოსა და მიწა-წყალს არ დავთმობ!“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ელიზბარ ჯაველიძე:

# ხელისუფლებას ვურჩევ, მაკკეინის ნაცვლად რუსეთის პრეზიდენტს დაელაპარაკოს

2017 წელი საინტერესოდ დაიწყო. 2 იანვარს, ბედობას, საქართველოს ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი ეწვია და საახალწლო უქმე დღეებში „ნაბახუსევი“ მთავრობა ფეხზე წამოახტუნა. ამერიკელმა სტუმარმა ქვეყნის პირველი პირები მხოლოდ მას შემდეგ მოინახულა, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს ეწვია. მაკკეინმა, ფეხზე დააყენა ქართული ჯარიც. გამოგვიცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი საშიშია და ჩვენ დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად მის წინააღმდეგ უნდა გავერთიანდეთ. მაკკეინის წასვლიდან ზუსტად ერთ კვირაში ხელისუფლებამ მოსახლეობა დედაქალაქის ყოფილი მერის პატიმრობიდან გათავისუფლებით დაასაჩუქრა — სასამართლომ გაამართლა გიგი უგულავა და მასთან ერთად ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილიც.
პატიმრობიდან გათავისუფლებულმა უგულავამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახლა მიტევების დროა, წარსული უნდა დავივიწყოთო და „ღირსეულად“ შეუერთდა საქართველოს მთავრობას სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც საშობაო წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა. ყოფილი მერის გათავისუფლებას უმალ გამოეხმაურნენ ამერიკის სალჩო და ვეროპარლამენტარები: „ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ყოფილი მერის, გიგი უგულავას, საქმის განვითარებას. გასაჩივრების უფლება არის ნებისმიერი დემოკრატიული სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა მტკიცებულებები და მხარეებს მისცა საშუალება, ედავათ კანონის შესაბამისობაზე და წარმოედგინათ სამართლებრივი არგუმენტები. ეს ნაბიჯები არის ცხადი მაგალითი იმისა, რომ სასამართლო სისტემას აქვს საშუალება, იყოს დამოუკიდებელი, რაც ნებისმიერი ჯანსაღი დემოკრატიული სისტემის განუყოფელი ნაწილია. ადრეც გვითქვამს, რომ სასამართლო ხელისუფლების ყველა შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს თავისუფალი პოლიტიკური ზეწოლისგან. როგორც ასეთი, სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორეზე კომენტარის გაკეთება ჩვენი მხრიდან შეუფერებელი იქნება“.
ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე** გვესაუბრება:



**«მაკკეინის ჩამოსვლას ზუსტად ერთ კვირაში გიგი უგულავას გათავისუფლება მოჰყვა. ეს თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, რადგან უგულავას გათავისუფლებიდან რამდენიმე საათში ამერიკის საელჩომაც და ევროპარლამენტარებმაც წინასწარ დაწერილი ტექსტები გამოაქვეყნეს. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა არ ვართ, თუმცა, ალბათ, ილუზია სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე ამ ქვეყანაში აღარავის აქვს»**

— ბოლო პერიოდში საახალწლო განწყობა დავკარგე, ახალი წლისგან არაფერს ველი. ხალხს შია...

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ...“ — ასე ვიწყებ ყოველ ახალ წელს, არადა, დიდი იმედი მქონდა, რომ ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსული „ოცნება“ რაღაცას მაინც გააკეთებდა სასიკეთოს, მას ხომ არანაირი ხელისშემშლელი პირობა არ აქვს. მეგონა, პარლამენტს მაინც გადმოიტანდნენ დედაქალაქში, მაგრამ ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ქუთათურების წყნენინებაზე დაიწყებდნენ საუბარს. **პარლამენტი სააკაშვილმა ქუთაისში იმიტომ გადაიტანა, რომ საპროტესტო აქციები აერიდებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებასაც ანალოგიური შიში აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც, რადგან ხელისუფლებაში მყოფი არც ერთი ადამიანი ქვეყანაზე არ ფიქრობს, ყველა თავის სკამსა და ჯიბეზეა ორიენტირებული.**

ხანდახან ვუყურებ ქართულ შოუებს და ვხედავ ახალგაზრდა პარლამენტარებს, რომლებიც გახარებულები სხედან. რა ახარებთ? ქვეყანა თავზე დაგვემხო... ხალხში უდიდესი უკმაყოფილებაა, მთავრობა კი ხალხის პრობლემას ვერ ხედავს.

რა უნდა ვიწამო იმ პარლამენტარების, რომლებიც სააკაშვილის მიერ დაღვრილი სისხლის გამართლებას ცდილობენ?!

როგორ დაიწყო ახალი წელი? **ამერიკელი სენატორის — მაკკეინის ჩამოსვლით, კაცის, რომელიც სამყაროს მტერია. მაკკეინის ჩამოსვლას ზუსტად ერთ კვირაში გიგი უგულავას გათავისუფლება მოჰყვა. ეს თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, რადგან უგულავას გათავისუფლებიდან რამდენიმე საათში ამერიკის საელჩომაც და ევროპარლამენტარებმაც წინასწარ დაწერილი ტექსტები გამოაქვეყნეს. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა არ ვართ, თუმცა, ალბათ, ილუზია სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე ამ ქვეყანაში აღარავის აქვს.**

ამერიკაში ყველაფერი იცვლება. ახალი პრეზიდენტი აღარ აპირებს იმ პოლიტიკის გაგრძელებას, რომელსაც წლების განმავლობაში ლიბერალი პრეზიდენტები ატარებდნენ და ამ დროს ჩვენ რას ვაკეთებთ?

**— სწორედ ეს მინდოდა, მეკითხა... ჩვენი ქვეყნის პირველი პირები დიდი პატივით ეგებებიან ამერიკელ სენატორს და შემდეგ მის ბრძანებას დაუყოვნებლივ ასრულებენ... როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აცნობიერებენ, რა ცვლილებები მიმდინარეობს მსოფლიოში?**

— ამ ხელისუფლების უბედურება ახლომხედველობაა — სიბეცე. ტრამპი საქართველოში იმყოფებოდა, ამბობენ, პატივისცემით არის განწყობილი ქართველების მიმართო, მაგრამ რად გინდა?! მთავრობა ისევ წარსულშია ჩარჩენილი და სამარცხვინოდ მაკკეინის დავალებებსა და ბრძანებებს ასრულებს. არ უნდათ ტრამპი, რადგან მან განაცხადა, ლიბერასტებსა და ქვეყნის გამყიდველებს აღარ დავაფინანსებო.

სიმართლე გითხრათ, ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, მსგავსი უსამართლობა, უმსგავსობა, არც მსმენია და არც მინახავს...

**— როგორ ფიქრობთ, გიგი უგულავას გათავისუფლებით ამერიკას რა აქვს ჩაფიქრებული?**

— ნაციონალების დაბრუნება სურთ. მაკკეინი იმისთვის ჩამოვიდა, რომ დაალაგოს კარტები. ამერიკელები მიშას არ გაწირავენ. მათ ხელს აძლევთ ეს ავადმყოფი კაცი. მიმიფურთხებია ამერიკისთვის, თუ სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურაა“ და მისი დათმობა უჭირთ. არადა, ძალიან კარგად იციან, რასაც სჩადიოდნენ სააკაშვილი და ნაცები, ისინი ხომ ამერიკელების მითითებებს ასრულებდნენ.

სამწუხაროდ, დღესაც იგივე გრძელდება. **ჩვენი პრემიერი გამოდის და ამბობს, მაგარი წელიწადი გვექნებაო... რა არის მაგარი, უგულავას გამოშვება?! ახლა ევროპელები ამბობენ, ვიზალიბერალიზაცია თუ გინდათ, მერაბიშვილი და ახალაიაც გაათავისუფლეთო და დარწმუნებული ვარ, მათაც გამოუშვებენ.**

**— მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მთავრობა მოვიყვანეთ ხელისუფლებაში, ეროვნული არაფერი კეთდება. 2016 წლის დასასრულს მთავრობამ სიურპრიზი მოგვიწყო — მიწის გასხვისების კანონპროექტი დაამტკიცა...**

— ჯერ ერთი, ეროვნული მთავრობა ჩვენ არ გვყავს; მეორეც, იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა ბევრი ცუდი საქმე ჩაიდინა. ქართული მიწა წულუკიანის მამის დანატოვარი არ არის და ხელს ნუ ახლებს. მე ესენი გავაფრთხილე — ქართულ მიწას ხელი არ ახლონ. ის ჩვენი წინაპრების სისხლით არის ნაკვები.

მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელშიც მიწის თავისუფლად გაყიდვის კანონი არსებობს. ეს ამერიკის, ლიბერასტების პოლიტიკაა და ჩვენ, როგორც მონები, მათ მითითებებს უსიტყვოდ ვასრულებთ.

**— ვის შეუძლია შეცვალოს ეს გადაწყვეტილება?**

— ხალხს, მხოლოდ ხალხს შეუძლია ყველაფრის შეცვლა. უნდა გამოვფხიზლდეთ. ოთხმოც წელს მიტანებული კაცი ვარ. მზად ვარ, ქუჩაში გავიდე, ყინვაში, წვიმაში... ჯოხს აიღებს ხალხი ხელში — ჯოხს დავიჭერ, იარაღს მოკიდებენ ხელს — იარაღს ავიღებ... მაგრამ სამშობლოსა და მიწა-წყალს არ დავთმობ! დააკვირდით, აბა, მთავრობის რომელიმე წევრს სიტყვა „სამშობლო“ თუ უხსენებია.

ფულმა დაღუპა მსოფლიო. ყველგან მილიონერები ბატონობენ, ასეა საქართველოშიც. **ქვეყანაში დამნაშავეები ბოგინობენ. ბევრია დასაჭერი, მაგრამ, სამწუხაროდ, პარლამენტში სხედან. არადა, „ოცნება“ უმრავლესობაშია და მათ შეუძლიათ იმუნიტეტის მოხსნა და ნებისმიერის დაპატიმრება. რას ჰგავს სასამართლო, რას აკეთებს პროკურატურა? ხომ გეუბნებით, მსგავსი სისაძაგლე არ მინახავს. ყველა მათგანი დასაჭერია, ჩვენ უნდა დავიჭიროთ ისინი და საჩვენებლად ხეებზე დავკიდოთ. სხვა გზა არ არის, ვერავინ ვერაფერს აკეთებს. ვისაც რამის გაკეთება შეუძლია, განზე გადგა და გაქცევას აპირებს, რადგან თავს ზემოთ ძალა აღარ არის.**

როდესაც უდიდესი ძალა მიმართულია იმისკენ, რომ ქართველი ამოძირკვოს, ნებისმიერი ადამიანი უძლურია, მხოლოდ ხალხს შეუძლია შეცვალოს არსებული პოლიტიკა.

საახალწლოდ ტელევიზიები **სანდრა რულოვსს** აჩვენებდნენ, დაგვანახვეს, როგორ მიუტანა გაჭირვებულ ოჯახს ნივთები, მაგრამ არავინ თქვა, ორგანოებით რომ ვაჭრობდა გათახსირებული დედაკაცი. უნდა დაწვა ყველა ერთად და იქაურობას დეზინფექცია გაუკეთო, რათა ბაცილებიც მოსპო. **ხალხი დაადუმეს, ღირსება აღარ შეგვრჩა... ყველაფერი თავდაყირა დგას, კაცის მკვლელები გმირებად აქციეს. ზარზეიმით ათავისუფლებენ დამნაშავეებს. დანიშნავენ თანამდებობაზე ადამიანს ისე, რომ წარსულს არავინ კითხულობს. გაყინული გველის უბეში ჩასმა არ შეიძლება...**

ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, თუ ხალხი არ გამოვიდა ქუჩაში. ქართველი შიმშილის გამო ქუჩაში არასოდეს გამოვა, მას ღირსება უნდა შეულახო, რომ აჯანყდეს. ქართველისთვის სულში ჩაფურთხების ტოლფასია მიწის გაყიდვა და თუნდაც გიგი უგულავას გათავისუფლება, ამიტომაც ვფიქრობ, რომ უარყოფითი მუხტი გროვდება და ჩვენ, უფლის იმედით, ანტიქრისტეს გავანადგურებთ.

ხელისუფლებას ვურჩევ, მაკკეინის ნაცვლად რუსეთის პრეზიდენტს დაელაპარაკოს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მგლის ბილეთი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონსპირაციული ბინა, რომელშიც ჟვანია და ქვემო ქართლის ვიცეგუბერნატორი რაულ უსუფოვი გარდაცვლილები იპოვეს, სწორედ ვასილ მაღლაფერიძემ დაიქირავა. მიუხედავად ამისა, დაცვის წევრებს დღესაც ახსენებენ ამ ამბავს, მაღლაფერიძე კი აღარავის ახსოვს. სამაგიეროდ, ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შემდეგ, 2005 წელს, ვასილ მაღლაფერიძე მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა. ნიჭი, ძამიკო, ნიჭი! კობა ხარშილაძის გამგებლის მოადგილეობა ყველას ახსოვს, მაღლაფერიძის გუბერნატორობა კი — არავის!**

მგლის ბილეთი

# ლატენტური ნაცი

**წელი ახლახან დაიწყო და უკვე დანაკლისს ვიმკით: ნიკა გვარამიას მამა აღარ ჰყავს, საზმაუს — დედა. „გრეჩიხა“-ჯუნიორს დედაც ჰყავს, მამაც და ბიძაც, მაგრამ რად გინდა — მაინც ჩააყუდეს. სხვათა შორის, იმისთვის, რასაც, მაგალითად, კაკო ბობოხიძე ხშირად სჩადიოდა და ჟურნალისტებსაც მოხვედრიათ მისი ხელი, კაკო არ ჩაუყუდებიათ, მაგრამ ძველმა თანამებრძოლებმა ახლა შეახსენეს ცემა-ტყეპის მავნე ჩვევა; ახლა, რადგან „ნაცმოძი“ „ბოლშევიკებად“ და „მენშევიკებად“ გაიყო. რომელი რომელია, ამას 20 იანვრის „გრანდიოზული“ ყრილობის შემდეგ შევიტყობთ, მანამდე კი თავი იმით ვინუგეშოთ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნაცვლად ორი „ნაცმოძი“ გვეყოლება და ორივე — პარლამენტში.**

ამ საახალწლო ჟრიამულში ყველაზე უილბლო მაინც საზოგადოებრივი მაუწყებელი აღმოჩნდა. „გრეჩიხასაც“ გამოუშვებენ, ნიკა გვარამიასაც ეშველება და დეპუტატებიც შეირგებენ მანდატებს, საზმაუს კი მომავალი ექვსი წლის განმავლობაში **ვასილ მაღლაფერიძე** შერჩება გენერალურ დირექტორად. კაცი, რომელიც ყველა მმართველ პარტიაში თან იყო და თან არ ყოფილა; პერსონა, რომელსაც ყველა პორტირებულ თუ ლატენტურ ნაცზე მეტად შეეფერება მეტსახელი **ადამიანი-საცობი.**

ვაზელინის მოყვარულ ადამიანებს რა დალევს და ვასიკოც, ეს პირწავარდნილი ლატენტური ნაცი, უმალ შერაცხეს ჟურნალისტიკის მამად და ტელევიზიის დედად. ჟურნალისტიკა გაზეთ „კავკასიონის“ პერიოდს მოიცავს, რომელიც არც ისე დიდხანს და არც ისე დასამახსოვრებლად გამოდიოდა. სხვათა შორის, ამავე გაზეთს უკავშირდება მაღლაფერიძისა და **სოზარ სუბარის** ახლობლობა, რომელიც უკვე ათწლეულებს ითვლის. ვასიკო ყოველთვის ეხმარებოდა სოზარს, ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა მისი გვარი, სუბარი კი არა, სუბელიანი იყო. ხელი ხელს რომ ბანს, ეს ცნობილი ამბავია და სოზარიც არაერთხელ დახმარებია ვასიკოს, თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ, ახლა კი „ნაცმოძივით“ ორად გაყოფილი მედიაექსპერტების შეფასება ვნახოთ:

**ზვიად ქორიძე:** „საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭომ დღეს მკვეთრად გამოკვეთილი, პოლიტიკურად ანგაჟირებული პერსონა აირჩია გენერალურ დირექტორად, ადამიანი, რომელიც გასაუბრებისას ღიად საუბრობდა თავის პოლიტიკურ მიკერძოებულობაზე, რომელიც მას არ უქმნის უხერხულობას. დღეს აღმოჩნდა, რომ ეს საბჭოსაც არ უქმნის უხერხულობას. ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ ფაქტის წინაშე, რომ გვაქვს საზოგადოებრივი მაუწყებელი პარტიული კუთვნილებით“.

**ირაკლი ტაბლიაშვილი, კიდევ ერთი „კავკასიონელი“:** „ვასილ მაღლაფერიძეს, დიდი ხანია, ვიცნობ. არასოდეს, არც ერთ თემაზე ერთმანეთს არ დავპირისპირებივართ... ის ჩემი ერთ-ერთი პირველი რედაქტორი იყო — გაზეთ „კავკასიონში“ 1995-96 წლებში ვმუშაობდი. მოკლედ, არასოდეს გვქონია მცირე გაუგებრობაც კი. დღეს მე საზ. მაუწყებელში ვმუშაობ... პროექტი მაქვს — „ვექტორი“. არ ვიცი, რას დაუპირებს ახალი გენ.დირი ამ პროექტს... ანუ მიხურავს თუ არა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მგონია, რომ ახლა დადუმება, აზრის არ გამოხატვა და ა.შ. ჩემგან არასწორი იქნება... ჰოდა, შესაბამისად, ბორდის წევრებო, რიტორიკულად გკითხავთ: გჯერათ, რომ ჩვენც გვჯერა, რომ დამოუკიდებლად მიიღეთ გადაწყვეტილება?.. რეალურად ეს გადაწყვეტილება პირადად ბიძინა ივანიშვილმა მიიღო და, მიუხედავად იმისა, როგორი დირექტორი იქნება მაღლაფერიძე, მაუწყებელში ყოველთვის იქნება განცდა, რომ ის მოიყვანეს, თანამშრომლებს თავზე დაასვეს და ა.შ.“

**ტაბლიაშვილს ყველაზე მეტად საკუთარი „ვექტორის“ ბედი აწუხებს, თორემ მკვდარი იდეის მოკვლა რა მოსატანია?! ნატოში უკვე პერსონალურად შესული ირაკლი ტაბლიაშვილი, ნაკლებ სავარაუდოა, იმას ელოდეს, რომ მაღლაფერიძე მაინცდამაინც ნატოს ერთგულების პროპაგანდას დაეჯახება, თუმცა „ობიექტურობის“ წარმოჩენის საბაბი გამოჩნდა და რატომაც არა?!**

აბა, გამოიცანით, ვინ გამოესარჩლებოდა მაღლაფერიძეს? — რა თქმა უნდა, **სოზარ სუბარი.** მან საზეიმოდ განაცხადა, რომ ხელისუფლება საზმაუს გენერალური დირექტორის არჩევაში არ ჩაერევა. „მე ვის ვუჭერ მხარს და ვის — არა, ეს არაფერ შუაშია, ამ შემთხვევაში ბორდი იღებს გადაწყვეტილებას“, — თქვა სუბარმა. **საზმაუს ბორდის წევრებს კი, თუ შარშან, იანვარში საერთო ჰონორარი 22 367 ლარი ჰქონდათ, დეკემბრამდე იმატა, იმატა და გაორმაგდა — 54 800 ლარი გახდა! არ ჩარეულან, არაფრის კეთებაში ჰონორარი გაუორმაგეს მხოლოდ!**

ბიძინა ივანიშვილი „ჯი-დი-ეს“-ის დახურვას და მთელი სატელევიზიო სივრცის ერთიანი კონტროლისთვის დაქვემდებარებას რომ აპირებდა, ჭორი ამის შესახებ, უკვე კარგა ხანია, დადიოდა. ამ ჭორებს თუ დავუჯერებთ, „მაესტროც“ ამავე ჰოლდინგის ხელში გადავა და „განახლდება“. ზოგიერთი ანალიტიკოსი იმასაც პროგნოზირებს, რომ „ჯი-დი-ეს“-ის დახურული პროექტის – „20/30“-ის და „59 წამის“ თანამშრომლები უმუშევარი აღარ დარჩებიან და საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადავლენ. შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების რაოდენობა განახევრდება.

**„რა გაუჭირდა სამაგისო ივანიშვილს?“ — ისმის კითხვა. გასაჭირი რა მოსატანია, უბრალოდ, მხოლოდ სულელი გადაიხდის საკუთარი ჯიბიდან იმას, რაც შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაიხადოს. სხვანაირად მილიარდებს ვერც აგროვებენ და ვერც ინარჩუნებენ!**

რაც შეეხება მაღლაფერიძეს, მას ვალოდია ჯინჭარაძის ნიჭი აღმოაჩნდა — „მოქალაქეთა კავშირში“ იყო და თითქოს არც ყოფილა; „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ იყო და თითქოს არც ყოფილა; პრეზიდენტის რწმუნებულიც იყო და მოგვიანებით 2007 წლის 4 ნოემბერს შსს-ში ჩატარებული წინასადარბევო შეხვედრის სკანდალურ დეტალებზეც წერდა, ოღონდ თვითონ 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ კარგა ხანს დარჩა პრეზიდენტის რწმუნებულად და მხოლოდ 2008 წელს გადადგა. მაღლაფერიძემ 2014 წელს — 7 წლის შემდეგ(!) განაცხადა, რომ ტექსტის წერისას არ იცოდა, კონკრეტულად ვისთვის აპირებდა მის მიწოდებას. აბა, გამოიცანით, ვის მიაწოდა მან ეს „სტენოგრამა“? — რა თქმა უნდა, სოზარ სუბარს. ეს გადაწყვეტილება კი მას შემდეგ მიიღო, როცა დარწმუნდა, რომ სუბარი ერთადერთი სახელმწიფო თანამდებობის პირი იყო, რომელიც ჩანაწერებს ადეკვატურად გამოიყენებდა. ამდენი წლის ურთიერთობის შემდეგ რაში უნდა დარწმუნებულიყო, გაუგებარია.

თუმცა ახალი დროების ვალოდია ჯინჭარაძის ნიჭი და უნარი სრულად მაინც პრემიერმინისტრ **ზურაბ ჟვანიას** გარდაცვალების იდუმალებით მოცულ ამბავს უკავშირდება. იქაც თითქოს იყო და თითქოს არც ყოფილა. კონსპირაციული ბინა, რომელშიც ჟვანია და ქვემო ქართლის ვიცეგუბერნატორი **რაულ უსუფოვი** გარდაცვლილები იპოვეს, სწორედ ვასილ მაღლაფერიძემ დაიქირავა. მიუხედავად ამისა, დაცვის წევრებს დღესაც ახსენებენ ამ ამბავს, მაღლაფერიძე კი აღარავის ახსოვს. სამაგიეროდ, **ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შემდეგ, 2005 წელს, ვასილ მაღლაფერიძე მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა. ნიჭი, ძამიკო, ნიჭი! კობა ხარშილაძის გამგებლის მოადგილეობა ყველას ახსოვს, მაღლაფერიძის გუბერნატორობა კი — არავის!**



დღეს აღარც იმას ახსენებენ, რომ ვასილ მაღლაფერიძე ორი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო (1999—2008 წწ.), 2000–2004 წლებში ეროვნული თანხმობის საპარლამენტო დროებით კომისიას თავმჯდომარეობდა, 2004—2008 წლებში კი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით კომისიას. ეროვნული თანხმობა გინახავთ? აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობა? არა, ხომ? მერე რა?!

არც „მე-9 არხი“ აუშენებია (გენერალური დირქტორის

# ადამიანი-საცობი

მოადგილე იყო), არც „ჯი-დი-ეს“-ის გადაცემა „საზოგადოება 20/30“ დაუმშვენებია (მთავარი პროდუსერი იყო) და ახლა საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩააბარეს.

ვასილ მაღლაფერიძის ხასიათი კარგად ჩანს მის ერთ-ერთ ინტერვიუში, როცა ზურაბ ჟვანიას შესახებ დასმულ შეკითხვას ისე უპასუხა, რომ თვითონ ჟვანია ერთხელაც არ უხსენებია! აი, ისიც:

**„ეს იყო აბსოლუტურად ერთი და იგივე გუნდი: ერთი მიზნებისა და ინტერესების მქონე. პოლიტიკური ცხოვრებაა და რაღაც ეტაპზე ზოგიერთი იყო „ნაციონალურ მოძრაობაში“ და ზოგიც — დემოკრატებში. ტაქტიკის გამო ვიყავით გადანაწილებული. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავია ისიც, ერთ არჩევნებში ცალკე რომ ვიყარეთ კენჭი. საპარლამენტო არჩევნებში ტაქტიკამ მოიტანა და ერთმანეთის კონკურენტები იმიტომ აღმოვჩნდით. მეგობრები ჭადრაკს რომ თამაშობენ, მათ შორისაც არის კონკურენცია. მეგობრობის გამო წინასწარ ყაიმზე ხომ არ შეთანხმდებიან?! გივი თარგამაძე და მე საბურთალოზე კონკურენტები ვიყავით, მაგრამ ჩვენ შორის ასეთი რამეც ხდებოდა: ამომრჩეველს ვეუბნებოდი, რომ, თუ მე არ მაძლევ ხმას, გივისთვის დაეჭირა მხარი და პირიქით — გივიც ასე მიმართავდა ამომრჩეველს. წლების წინათ ვთქვი, რომ ეს ორი გუნდი აუცილებლად გაერთიანდებოდა. მას მერე, რაც დემოკრატები და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთ გუნდად ჩამოყალიბდა, აბსურდია იმის თქმა, რომ ყოფილი დემოკრატები შევიწროვებული იყვნენ. მე მგონი, დღეს აღარავის ახსოვს ვინ დემოკრატი იყო და ვინ — ნაციონალი“.**

როგორც ირკვევა, **მაღლაფერიძე „ტაქტიკის გამო“, სადაც დასჭირდება, იქ „გადანაწილდება“. დღეს ივანიშვილთანაა „გადანაწილებული“ და დღესაც სწამს, რომ აღარავის ახსოვს, ვინ სად იყო, რას აკეთებდა და რას აშავებდა,** ამიტომაც აცხადებს ასე თავდაჯერებულად: „რაც შეეხება ჩემს ურთიერთობას „ქართულ ოცნებასთან“, მე ახლა ვიღაც წევრებს ვიცნობ „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ არც არასდროს ვყოფილვარ „ქართული ოცნების“ წევრი. არც ვალი მაქვს მე „ქართული ოცნების“, ისევე, როგორც არც ერთი სხვა პარტიის(!)“.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ **ანაზღაურება, მხოლოდ ბორდის წევრებს კი არა, მთლიანად საზოგადოებრივ მაუწყებელს გაეზარდა. 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი საზოგადოებრივ მაუწყებელს 46.4 მილიონი ლარით დააფინანსებს. ეს, 2016 წელთან შედარებით, 2.4 მილიონი ლარით, 2015 წელთან შედარებით კი 5 მილიონით მეტია. თუ ვასიკო კარგად მოიქცევა, ამ მილიონებს სწორედ ისე გადაანაწილებს, როგორც იმ კაცს უნდა, რომლის პარტიის ვალიც მაღლაფერიძეს არ აქვს.**

მაღლაფერიძე ამთავითვე ამბობს, რომ გადაცემები საზმაუს „გარეთ“ უნდა მომზადდეს და საზმაუმ ისინი უნდა იყიდოს: „მიმაჩნია, რომ უნდა შესრულდეს კანონის მოთხოვნა და გადაცემები გავიდეს გარეთ და მათი შესყიდვა უნდა ხდებოდეს კონკურსის მიხედვით“.

აბა, გამოიცანით, ვისგან შეისყიდის მაღლაფერიძე „რეიტინგულ“ პროგრამებს? — იმ „ჯი-დი-ეს“-ისგან, რომელმაც უკვე შეწყვიტა საინფორმაციო პროგრამების მომზადება.

თუმცა, დიდძალ ფულს დიდი ძალა აქვს და ახლა მთავარია, მაღლაფერიძემ იმ ერთ კაცსაც არ უთხრას, შენი ვალი აღარ მაქვსო.

**ნიკა კორინთელი**

**დღეს აღარც იმას ახსენებენ, რომ ვასილ მაღლაფერიძე ორი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო (1999-2008 წ.წ.), 2000-2004 წლებში ეროვნული თანხმობის საპარლამენტო დროებით კომისიას თავმჯდომარეობდა, 2004-2008 წლებში კი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით კომისიას. ეროვნული თანხმობა გინახავთ? აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობა? არა, ხომ? მერე რა? არც «მე-9 არხი» აუშენებია (გენერალური დირექტორის მოადგილე იყო), არც «ჯი-დი-ეს»-ის გადაცემა «საზოგადოება 20/30» დაუმშვენებია (მთავარი პროდიუსერი იყო) და ახლა საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩააბარეს**

**სულს ამოხდიან, ბატონო ბიძინა, თქვენს მხარდამჭერებს და, თუ გაასწრებთ ქვეყნიდან, თქვენს ქონებას ისე გაანიავებენ, ვერაფერს გადაარჩენთ. მაინცდამაინც იმის იმედად ნუ იქნებით, ხალხს ნაციონალები არასდროს მოენატრება, იძულებული იქნება, ჩემს მხარეს დადგესო. იძულებული რამდენჯერაც შეიქნა ერი, იმდენჯერ სხვანაირად შეატრიალა სიტუაცია ბოლოს და, თუ კვლავაც შეატრიალა, ვერც ბღუჯა გიშველით და ვერც საგარნირედ მუდმივად გამზადებული „გრეჩიხები“.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სროკიც» რა პატარა ჰქონია...»

**მოგესალმებით, ბატონო ბიძინა!
საქმემ ისე მოიტანა, ამხელა კომბალი გვერდით გადავდე და კალამი ავიღე ხელში. ჰოდა, ყოველ კვირა მოგწერ ხოლმე წერილს. ყველაფერს მოგიყვები შეულამაზებლად, ისე, როგორც არის და არა ისე, როგორც გეუბნებიან. ვზივარ ახლა ჩემი ასწლოვანი ნაძვის ძირში და გწერ. არ გეწყინოს, ვერ გეტყვი, სად არის ეს ნაძვი, იმიტომ, რომ მეშინია, ეს ასწლოვანი ხე ბორბლებზე არ შეაყენო და შენს პარკში არ გადარგო. მე ხის გარეშე დავრჩები და ხალხსაც არ მოსწონს ეგ ამბები, ხეებს რომ დაატარებ აქეთ-იქით, თანაც ამაში მილიონებს იხდი. არა, მართალია, ბევრი „ხე“ გახვევია ირგვლივ, მაგრამ მაგათი შენახვა არ გიჯდება ძვირი და თანაც, სოფელს ერთი „ხე“ კი უნდა „ჰყავდეს“, „უხდება ნამეტნავად“... მაგრამ მხოლოდ ერთი!**



ჯერ **განათლების მინისტრზე** გეტყვი, მე რომ მომდგა და ზარმაცი და უქნარა მიძახა. კი იცი შენ, არ ვარ პატარა, კომუნისტების პერიოდს მოვესწარი და მათ ერთი საინტერესო ჩვევა ჰქონდათ — თანამდებობის პირებს, განათლების გარდა, გარეგნობითაც არჩევდნენ ხოლმე. ჰოდა, ეს შენი განათლების მინისტრი (არ მითხრა ახლა, ჩემი არ არისო), ხან დევს რომ ადარებენ და ხან — მინიონებს და ხანაც — სპანჩ-ბობს (ვეცნობი უცხო გმირებსაც, სხვაგვარად არ გამოდის), არ არის მაინცდამაინც ლამაზი, მაგრამ არც ისე უნდა მოიქცე, როგორც წინა მმართველი, რომელიც მკერდის ზომითა და უკანალის სიმრგვალით არჩევდა ხელისუფლების წარმომადგენლებს. მოკლედ, ეგ საკითხი ძალიან გაქვს არეული და დასახვეწია.

ახლა საქმეზე ვთქვათ: ფულის შოვნა არც ჩემგან გესწავლება და არც სხვისგან. ჰოდა, იმას ვერ მივხვდი, ეს ხელისუფლება ხალხის ხარჯზე რომ აპირებს ფულის შოვნას და ბიუჯეტის შევსებას, რატომ მოუწონე? არ მითხრა, შენი მოწონების გარეშე რამე ხდებოდეს ამ ქვეყანაში. **საახალწლო სუფრაზე ხალხს, ინდაური და გოჭი კი არა, ერთი ცოცხალი მამალი ჰყავდათ და ოჯახიდან ოჯახში დაატარებდნენ, — ეგებ სიკეთე დაგვებედოსო. შიმშილობს ხალხი, ბატონო ბიძინა, და ჩემს ცხვრებს გარეთ ახლა ნადირის კი არა, ხალხის შიშით ვერ ვუშვებ, არ დაიჭირონ და შემიჭამონ.**

**გიგი უგულავაზე** უნდა გითხრა. ექსპერტობას რომ იბრალებენ, ის ადამიანები ამბობენ, შეგნებულად გამოაშვებინეს, — იყიდა ბიძინამო. არ მჯერა მე მაგ ამბის. უფრო ის მგონია, ძველი შემადგენლობა რომ დატოვეთ პროკურორ-მოსამართლეების, მაგის ბრალია ეგ, თორემ, თუ უგულავას ვერ უპოვეთ დანაშაული, სხვებს საერთოდ ვერ უპოვით. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ამბად გავიგე, **ლელა კილაძეს** უთქვამს ყოფილ ქმარზე, — „სროკიც“ რა პატარა ჰქონიაო... ისე, ნაციონალების ამბავი დიდად არ მწყინს, მეტის ღირსები არიან და, ერთმანეთს თუ დაჭამენ, არც ეგ მეწყინება. გაიგონ ერთმანეთის სისხლის გემო, მთელი ცხოვრება ხალხს რომ წოვდნენ სისხლს და ახლა რომ გვეუბნებიან, — გვაპატიეთო. ეპატია კიდეც უგულავას, ასე ჩანს და რამდენიც უნდა ამტკიცონ ახლა, ყველაფერი რიგზეაო, ხალხი სხვას ფიქრობს, ბატონო ბიძინა. **უნიათოებს უკვე, მხოლოდ ნაციონალები კი არა, ისინიც გეძახიან, 8 ოქტომბერს ყველაფერზე თვალი რომ დახუჭა და მაინც 41 შემოხაზა. უგულავამ ხომ გაიგონეთ, რა თქვა? პოლიტპატიმარი ვიყავი, პირადად ბიძინას პატიმარიო... მერე პარტია გაიხსენა, მომენატრა ეს ხალხიო, ოჯახი, შვილები... დედაც გაახსენდა ბოლოს უგულავას... დედაც.**

ცოტა ხანს თავი დავანებოთ ნაციონალებს და იმ მინისტრებს გადავხედოთ, შენი „ლიუბიმჩიკების“ სტატუსი რომ აქვთ. **დიმა ქუმსიშვილით** დავიწყებ. ისეთი რამ არ უნდა თქვას კაცმა, მთელმა ერმა ჯერ რომ აგინოს და მერე დასცინოს (ან პირიქით). არადა, ეგ კაცი, ფინანსთა მინისტრობის გარდა, პირველი ვიცეპრემიერია და არაა ეგ პატარა თანამდებობა. არც ის არის ლამაზი, სესხი პრაქტიკულად აღარ მაქვს, სულ რაღაც, ორი ათასი დოლარი დამრჩა გადასახდელიო რომ გამოაცხადა. ეგ „სულ რაღაც“ მოსახლეობის ძირითადი ნაწილის წლიური შემოსავალია და ნერვებზე იშლება ხალხი.

> **რა კმევა იცის ასეთი ვასიკო მაღლაფერიძემ, არსად რომ არ დაიკარგა და ექვსი წელი, სულ ცოტა, ხუთი ათასი ლარი ხელფასი უნდა ჰქონდეს?.. ეგეც ჩვენს ხარჯზე. მანამ არ გეტკინოთ არაფერი, სანამ მაგან საზოგადოებრივი მაუწყებელი წამყვან ტელევიზიად აქციოს, არ გამოვა ეგ ამბავი რამდენიმე მიზეზის გამო და ეგ მიზეზები თქვენ ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ**

ხალხი იმაზეც გაბრაზდა, **ენძელა მაჭავარიანი** პარლამენტის წევრად რომ აქციეთ და ერთგვარი ტრამპლინი გახდა „ჯი-დი-ეს-ის“ პროდიუსერობა — ენძელა პარლამენტში წავიდა, **ვასიკო მაღლაფერიძე** — საზოგადოებრივი მაუწყებლის შეფად. არადა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეგ ის ვასიკოა, შევარდნაძეს რომ უკმევდა საკმეველს, მერე სააკაშვილს რომ უკმევდა... ჟვანიასაც უკმევდა, ოღონდ საკმეველს კი არა, სხვა რამეს და ახლა... **რა კმევა იცის ასეთი ვასიკო მაღლაფერიძემ, არსად რომ არ დაიკარგა და ექვსი წელი, სულ ცოტა, ხუთი ათასი ლარი ხელფასი უნდა ჰქონდეს?.. ეგეც ჩვენს ხარჯზე. მანამ არ გეტკინოთ არაფერი, სანამ მაგან საზოგადოებრივი მაუწყებელი წამყვან ტელევიზიად აქციოს, არ გამოვა ეგ ამბავი რამდენიმე მიზეზის გამო და ეგ მიზეზები თქვენ ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ.**

აგერ ახლა, **ლევან გაჩეჩილაძის** შვილმა **ნიკა გვარამიაზე** გაიწია და რესტორანში უბრახუნა. მოსალოდნელი იყო, გაჩეჩილაძეები რომ გათავხედდებოდნენ, ვალში ხართ მაგათთან. რომელ ვალში? **ფარშად რომ აქციეთ „მაესტრო“, მერე კოტლეტებად რომ შეწვით და გარნირად „გრეჩიხა“ მოაყარეთ, სწორედ მაშინ დაიდეთ გაჩეჩილაძეების ვალი და ერთი ხელის აქნევა უნდათ ხოლმე მაგ ძმებს, თავი ერის მამებად რომ წარმოიდგინონ, ეროვნულ დროშაზე ირბინონ და მერე, ვინმე თუ ეტყვის ტელევიზიით, „პაშოლ ნა ხ...იო“, გაოცებისგან პირი დააღონ, ეს როგორ გაგვიბედესო.** ისიც არ გეცოდინებათ თქვენ, კანცელარიაში მთავრობის წევრები უფრო იშვიათად რომ დადიან, ვიდრე გაჩეჩილაძეები, რომლებიც პრემიერთან ჭუკჭუკებენ ხოლმე, იმ პრემიერთან, თქვენ რომ გვითხარით, კარგად უნდა ჩავეჭიდოთ, არ გაგვექცეს-თქო. არადა, არ ამართლებს ეს ჩაჭიდება ჩვენში, რამდენჯერაც ვინმეს ჩავეჭიდეთ, ბოლოს იმ „ხეებიდან“ ერთ-ერთი შეგვრჩა, თქვენ რომ გახვევიათ ახლა ირგვლივ და, საზოგადოდ, ყველა ხელისუფლებას რომ ახვევია თუ უკეთია ბანტად.

მეორე მხრივ, **არ იყო გვარამიას ცემა შემთხვევითი. არ გამიკვირდებოდა, სხვას რომ გაეწია მასზე და გაეწია იმიტომ, რომ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა არ ჩანს. მუნიციპალიტეტების დონეზეც კი ვერ დალაგდა სიტუაცია, ისევ ნაციონალებს მიჰყავთ აღლუმი და რომელ სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, როცა 2012 წელს ზურაბ ალავიძემ, ახლა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად რომ დანიშნეთ, ნაციონალების ყულაბაში 35 ათასი ლარი ჩააჩხრიალა?!** ეს ის წელია, როცა საქართველო ორად გაიყო და ერთი ნაწილი თქვენს მხარეს დადგა, თქვენ დაგიჯერათ, მეორე ნაწილმა კი გადაწყვიტა, საფლავში ჩაჰყოლოდა ნაციონალებს. აკი გაუთხარა კიდეც ერმა საფლავი წინა ხელისუფლებას, მაგრამ თქვენ არ მიაყარეთ მიწა. ჰო, თქვენ და არა სხვამ და ეს არის ისეთივე ფაქტი, როგორიც ის, რომ მე ჯეჯელავას ჯინაზე ისევ სამი ცხვარი მყავს. აბა, **რა განწყობაზე იქნებიან ახლა თქვენი მხარდამჭერები, 2012 წელს მათი მოწინააღმდეგე, კაცი, რომელიც მეტოქე ბანაკს აფინანსებდა, მინისტრად რომ დასვით?!** თუ **დავით ბაქრაძის** გჯერათ, ხბოს თვალებით რომ ამბობს ხოლმე, შურისძიების დრო დასრულდა და ხელისუფლებაში რომ მოვალთ, „ოცნების“ შემადგენლობიდან არავის არაფერს დავუშავებთო? სულს ამოხდიან, ბატონო ბიძინა, თქვენს მხარდამჭერებს და, თუ გაასწრებთ ქვეყნიდან, თქვენს ქონებას ისე გაანიავებენ, ვერაფერს გადაარჩენთ. მაინცდამაინც იმის იმედად ნუ იქნებით, ხალხს ნაციონალები არასდროს მოენატრება, იძულებული იქნება, ჩემს მხარეს დადგნენო. იძულებული რამდენჯერაც შეიქნა ერი, იმდენჯერ სხვანაირად შეატრიალა სიტუაცია ბოლოს და, თუ კვლავაც შეატრიალა, ვერც ბღუჯა გიშველით და ვერც საგარნირედ მუდმივად გამზადებული „გრეჩიხები“.

*კეთილმოკითხვით,*

**კომბლე**

## თურქეთის ვიცეპრემიერი: დასავლელი ლიდერები ჯერ კიდევ გუშინ დიქტატორებთან ერთად პოზირებდნენ



**თურქეთის ვიცეპრემიერმა ნუმან ქურთულმუშმა დასავლეთის ქვეყნები ავტორიტარული რეჟიმების მიმართ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკისთვის გააკრიტიკა.**

„არსებული პრობლემების გადასაწყვეტად დასავლეთმა, პირველ რიგში, უნდა გადახედოს თავის თვალსაზრისს. ჯერ კიდევ გუშინ დასავლელი ლიდერები სურათებზე დიქტატორებთან ერთად პოზირებდნენ. ევროპას არ უნდა ეშინოდეს ლტოლვილების შემოდინების და უარი უნდა თქვას ქსენოფობიის პოლიტიკაზე“, — განაცხადა ქურთულმუშმა ანკარაში ელჩების მე-9 კონფერენციაზე. თურქეთის ვიცეპრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით თურქეთმა 3 მილიონი ლტოლვილი მიიღო.

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს საქართველო საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს სარეიტინგო სიაში 118-ე ადგილზეა და ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან მხოლოდ ყირგიზეთს, თურქმენეთსა და ტაჯიკეთს ვუსწრებთ. სამაგიეროდ, ჩვენზე წინ არიან ისეთი „საფეხბურთო“ ქვეყნები, როგორებიცაა ეკვატორული გვინეა, ბოტსვანა, ეთიოპია, მავრიტანია, მოზამბიკი, ზიმბაბვე, რუანდა, ანტიგუა და ბარბუდა, სირია... დიახ, ის სირია, რომელშიც, რამდენიმე წელია, სამოქალაქო ომი მიმდინარეობს და ფეხბურთისთვის არავის სცხელა, ჩვენზე წინ არის.**

# ვინ მოკლა ქართული ფეხბურთი

**ყველა დამეთანხმება, ალბათ, რომ ქართველები ორ სფეროში ვართ „პროფესორები“ — ფეხბურთსა და პოლიტიკაში. პრაქტიკულად არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამ საკითხებში „სიღრმისეულად“ არ იყოს ჩახედული და თავისი თვალსაზრისი თუ ვერსიები არ ჰქონდეს. პოლიტიკურად რაც გვჭირს, ჩვენ კი არა, მსოფლიო დონის ექსპერტები იმტვრევენ თავს და ვერ გარკვეულან...**




**თბილისის «დინამოს» ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა თავის დროზე საქართველოში ყველამ იცოდა. ახლა რამდენმა იცის საქართველოს უპირველესი კლუბის ხუთი ფეხბურთელი მაინც?! და «ბარსელონასი», «რეალის», «ლივერპულის»? იმ «ლივერპულის», «დინამომ» თავის დროზე ანგარიშით 3:0 რომ დაანგრია...**



**საქართველოში არ არის არანაირი პირობა, რომ ფეხბურთელი პროფესიონალად გაიზარდოს. ძველი თაობა — არველაძეები, ქინქლაძე, ჯამარაული, ნემსაძე, ცხადაძე, კობიაშვილი და სხვები, საბჭოთა კავშირის პერიოდში გაიზარდნენ და ის მუხტი და მომზადება ბოლომდე გაჰყვათ. გადახედეთ ახლანდელ შემადგენლობას — რომელი ფეხბურთელი თამაშობს ტოპ-ლიგაში? ლევან მჭედლიძე — იტალიაში და... „დინამოდან“ ფეხბურთელები აზერბაიჯანში წასვლას თაკილობდნენ. ყაზახეთსა და უზბეკეთზე საუბარიც არ იყო, ახლა კი ეს ყველაფერი სანატრელი აქვთ ბიჭებს და სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ქვედა ლიგებშიც) სიხარულით გარბიან**

რაც შეეხება ფეხბურთს, საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში, ერთ-ერთი პირველი, ვინც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ქართული საფეხბურთო სამყარო იყო. თბილისის „დინამომ“ უარი თქვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაშზე და საქართველოში პირველი ეროვნული პირველობაც გაიმართა. შესაძლოა, ბევრს არც ახსოვდეს, რომ ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე ფოთის „კოლხეთსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის გაიმართა და ის მატჩი სტუმრებმა დინამოელთა კაპიტნის, ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთელის — **გელა კეტაშვილის** ავტოგოლით მოიგეს. სხვათა შორის, იმხანად ამბობდნენ, კეტაშვილს რუსულ კლუბში გადასვლის შესაძლებლობა ჰქონდა და ეროვნული მოტივით არ გაუშვესო. სამაგიეროდ, ანალოგიურ შესაძლებლობაზე უარი არ თქვა **კახა ცხადაძემ** და ჯერ მოსკოვის „სპარტაკში“ წავიდა, შემდეგ — მოსკოვის „დინამოში“, მერე კი კარიერა ფრანკფურტის „აინტრახტში“ განაგრძო. ცხადაძე იმხანად ერის მოღალატედ გამოაცხადეს, თუმცა მან აჩვენა, რომ სპორტი და პოლიტიკა მისთვის ერთმანეთთან კავშირში არ იყო და ამიტომაც ატარა რამდენიმე წელს ნაკრების კაპიტნის სამკლავური.

ნაკლებად გაუმართლა **ომარ თეთრაძეს**. რომელიც არ მალავს, რომ ბებიის გვარზეა, ისე კი ბერძენი **ოსიპოვი** იყო. თეთრაძე მაშინვე მოიძულეს და თბილისის „დინამოდან“ აბარგება მოუწია, თუმცა ომარი ღირსეული კაცია, წყენა გულში არ ჩაუდევს, დღემდე აქვს თბილისში სახლი, ხშირად ჩამოდის აქ და ის, რომ მისმა ბრწყინვალე საკლუბო და სანაკრებო კარიერამ საქართველოს გარეშე ჩაიარა, ჩვენთვის უფრო მტკივნეული უნდა იყოს, თორემ რუსეთის ნაკრების რიგებში თეთრაძემ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა, ევროპისაზეც და სსრკ-ის ოლიმპიურ ნაკრებშიც ჩაატარა რამდენიმე მატჩი.

ძველ მაგალითებზე მსჯელობა დიდხანს შეიძლება, მაგრამ მთავარი სათქმელი ის არის, რომ **ქართული ფეხბურთი დღეს არათუ კომაშია ან კვდება, არამედ, უბრალოდ, არ არსებობს. ამ სიტყვების გამო ბევრი გაგვაკრიტიკებს, მაგრამ შევეცდებით, დეტალურად ავხსნათ, რატომ არ არსებობს დღეს ფეხბურთი საქართველოში.**

დავიწყოთ იმით, რომ დღეს საქართველო საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს სარეიტინგო სიაში 118-ე ადგილზეა და ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან მხოლოდ ყირგიზეთს, თურქმენეთსა და ტაჯიკეთს ვუსწრებთ. სამაგიეროდ, ჩვენზე წინ არიან ისეთი „საფეხბურთო“ ქვეყნები, როგორებიცაა ეკვატორული **გვინეა, ბოტსვანა, ეთიოპია, მავრიტანია, მოზამბიკი, ზიმბაბვე, რუანდა, ანტიგუა და ბარბუდა, სირია...** დიახ, ის სირია, რომელშიც, რამდენიმე წელია, სამოქალაქო ომი მიმდინარეობს და ფეხბურთისთვის არავის სცხელა, ჩვენზე წინ არის. ჰაერზე ნათქვამი: „ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა“, არ გამოგვადგება. როცა ფარერის კუნძულელები გისწრებს, სულ ცოტა, ჩუმად უნდა იყო, რადგან ფარერებზე პროფესიონალი ფეხბურთელები, უბრალოდ, არ არსებობენ და ნაკრებში ტაქსისტები, მეთევზეები და მასწავლებლები თამაშობენ. გვახსოვს კიდეც, ოფიციალურ თამაშზე ჩამოსულ ფარერელებს ერთხელ კაპიტანი ვერ ჩამოჰყვა, — ტაქსისტია და შემცვლელი ვერ იპოვაო.

ბევრს გაუხარდა, როცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კობიაშვილი** გახდა, რადგან ბევრმა თქვა, კობი წესიერი კაცია, ფეხბურთს მიხედავსო, მაგრამ რად გინდა — ეს წესიერი კაცი ახლა პარლამენტარიც არის და მოახერხებს თუ არა ორი პოსტის შეთავსებას, თავად განსაჯეთ. ფეხბურთი ცოცხალი ორგანიზმია და ყოველდღიური მუშაობა სჭირდება, პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა და... ჩვენი აზრით, ამ ნაბიჯით **კობიაშვილი ფეხბურთსაც ჩამოაშორეს და ვერც საკანონმდებლო ორგანოს შესძინეს წონიანი კანონმდებელი.**

და მთავარი — საქართველოში არ არის არანაირი პირობა, რომ ფეხბურთელი პროფესიონალად გაიზარდოს. ძველი თაობა — **არველაძეები, ქინქლაძე, ჯამარაული, ნემსაძე, ცხადაძე, კობიაშვილი** და სხვები, საბჭოთა კავშირის პერიოდში გაიზარდნენ და ის მუხტი და მომზადება ბოლომდე გაჰყვათ. გადახედეთ ახლანდელ შემადგენლობას — რომელი ფეხბურთელი თამაშობს ტოპ-ლიგებში? **ლევან მჭედლიძე** — იტალიაში და... არადა, **კალაძე** „მილანში“ იყო; **დემეტრაძე** — „სოსიედადში“; **ქინქლაძე, ცხადაძე, შელია, ქეცბაია** პრემიერლიგაში თამაშობდნენ, **კობიაშვილი, იაშვილი, ცქიტიშვილი** — ბუნდესლიგაში და „დინამოდან“ ფეხბურთელები აზერბაიჯანში წასვლას თაკილობდნენ. ყაზახეთსა და უზბეკეთზე საუბარიც არ იყო, ახლა კი ეს ყველაფერი სანატრელი აქვთ ბიჭებს და სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უზბეკეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ქვედა ლიგებშიც) სიხარულით გარბიან. ამიტომაც, სხვადასხვა, არცთუ ძლიერ ლიგაში ოთხასამდე ქართველი თამაშობს, ხოლო მათი ნახევარზე მეტი — რუსეთის ჩემპიონატის ქვედა ლიგებში.

აფხაზეთის ომის შემდეგ რუსეთს ლუკმაპურის საშოვნელად არაერთმა ქართველმა მიაშურა. ისინი რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ოჯახებით დაფუძნდნენ, მოქალაქეობაც მიიღეს და ახლა არაერთ ქართველ ფეხბურთელს რუსული პასპორტი აქვს. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ბიჭები იქ დაიბადნენ, იქ გაიზარდნენ და... სწორედ აქ იწყება უდიდესი პრობლემა. ბიჭები, რომლებიც რუსულ კლუბებში გაიზარდნენ და უმაღლეს დონეზე თამაში სურთ, სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიან. მათ საქართველოს ნაკრებში ეძახიან და არამხოლოდ ეძახიან, უარს ერის ღალატად აფასებენ. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია **გია გრიგალავა.** გრიგალავა მძლავრად „როსტოვში“ გამოჩნდა, ქართველებმა მისი არსებობა სწორედ მაშინ შევიტყვეთ და ფედერაციაში გიას ნაკრებში თამაში პრაქტიკულად აიძულეს. ის კი არა, ფედერაციაში ფეხბურთელის მამაც დაიბარეს, რუსულ პასპორტზე უარი ათქმევინეს, ნაკრებში ათამაშეს და... ფიფას წესების მიხედვით, როცა რომელიმე ფეხბურთელი ერთ სანაკრებო მატჩს მაინც გამართავს, სხვა ნაკრებში თამაშის უფლება კარიერის ბოლომდე აღარ აქვს. ამის შემდეგ გია რუსებმა აითვალწუნეს, სათამაშო დრო შეუმცირეს და ფეხბურთელი, რომელსაც ინგლისური პრემიერლიგის გუნდები აკვირდებოდნენ, ახლა კვიპროსზე აგორებს ბურთს და, სამწუხაროდ, დიდი კარიერა ოცნებად დარჩება.

იგივე იყო **ჯანო ანანიძის** შემთხვევაში. ქართულმა კლუბებმა ჯანო რომ დაიწუნეს, მამის მეგობარმა **რეზო ჩელებაძემ** საკუთარი კავშირებით მოსკოვის „სპარტაკში“ ჩაიყვანა და დღეს ჯანო „სპარტაკის“ ვარსკვლავია. მისი ფასი 15 მილიონია და... ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარისმაგვარი რომ თქვა, ჯანო და მამამისი ერის მოღალატეებად შერაცხეს...

პერმის „ამკარის“ ღირსებას იცავდა **გიორგი ჯიქია.** არავის გახსენებია ეს ბიჭი მანამ, სანამ ერთი თვის წინათ მოსკოვის „სპარტაკმა“ მის სანაცვლოდ 25 მილიონი არ გადაიხადა. ამის შემდეგ ჯიქიას ფედერაციიდან დაურეკეს და ეროვნულ ნაკრებში თამაში შესთავაზეს. პარალელურად, „სპარტაკმა“ ფეხბურთელი გააფრთხილა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის მოქალაქეობას შეიცვლის, გუნდში ლეგიონერის სტატუსი და შესაბამისად, სათამაშო დროის პრობლემა ექნება. ამავე დღეშია **გიორგი წიტაიშვილიც.** კიევის „დინამოს“ აღზრდილი ფეხბურთელი 17-წლამდელ უკრაინელ ბავშვებში საუკეთესოდ ითვლება, უკრაინელები მას ხელის გულზე ატარებენ, კიეველებს მისი დიდი იმედი აქვთ და... ფედერაცია მამამისს, ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ **კოტე წიტაიშვილს** „ეჩალიჩება“, გიორგიმ საქართველოს ნაკრებში ითამაშოსო.

გვესმის, რომ ფედერაცია თავისას ცდილობს, მაგრამ ის რატომ გიკვირთ, როცა საკუთარ გუნდში გაზრდილ ფეხბურთელებს, როცა ისინი მოქალაქეობას იცვლიან, კლუბებში პრობლემები ექმნებათ? ჯიქიას, წიტაიშვილისა და სხვების გაზრდაში კლუბებმა ფული დახარჯეს, მათ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშეს და ხელის ერთი მოსმით ყველაფრის წყალში ჩაყრა ძნელი საყურებელია. საინტერესოა, ფედერაციაში თუ იციან ისეთი ფეხბურთელების არსებობის შესახებ, როგორიცაა არმავირის „ტორპედოში“ მოთამაშე **ირაკლი გეპერიძე**, აგრეთვე, **დავით ხურციძე, ლევან ჯღარკავა, ირაკლი ჭეჟია,** „ტოსნოში“ მოთამაშე **გურამ თეთრაშვილი**, „უფას“ მეკარე **გიორგი შელია**, „ვოლგარელი“ **თემურ ბუკია**, „ხიმკის“ მცველი **დიეგო მალანია**, „კარპატელი“ **ამბროსი ჩაჩუა** და სხვები არიან... ვინმემ იცის, ამ ბიჭებმა რა გზა გაიარეს, როგორ უჭირდათ, როგორ შრომობდნენ იმისთვის, რომ ქართული გვარებით რუსული გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრილიყვნენ და ახლა იმისთვის, რომ საქართველოში მოღალატეებად არ გამოაცხადონ, ყველაფრის ახლიდან დაწყება მოუწევთ.

ამიტომ ვამბობთ, რომ საქართველოში ფეხბურთი არ არსებობს, აქ ფეხბურთელები აღარ იზრდებიან, პირობები არ არსებობს, აშენებული საფეხბურთო მინისტადიონები პროფესიონალი ფეხბურთელების გასაზრდელად უვარგისია; უფრო მეტიც, მასზე თამაშიშას ტრავმის მიღების რისკი უდიდესია და ეს ყველამ იცის, უბრალოდ, ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს.

ერთ მაგალითს მოვიყვან კიდევ — **თბილისის „დინამოს“ ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა თავის დროზე საქართველოში ყველამ იცოდა. ახლა რამდენმა იცის საქართველოს უპირველესი კლუბის ხუთი ფეხბურთელი მაინც?! და „ბარსელონასი“, „რეალის“, „ლივერპულის“? იმ „ლივერპულის“, „დინამომ“ თავის დროზე ანგარიშით 3:0 რომ დაანგრია...**

**ნიკოლოზ იაშვილი**

**დასავლეთი და მისი მოკავშირე ტოტალიტარული რეჟიმები არაბეთის ნახევარკუნძულზე ყველაფერს იღონებენ, რათა ასტანის შეხვედრა არ დაგვირგვინდეს გრძელვადიანი მშვიდობით და ყურადღება გადატანილ იქნას ბაშარ ასადის პიროვნებაზე. სამწუხაროდ, საქმის გაფუჭება ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე გაკეთება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა საფუძველი არსებობს, რომ სირიის კონფლიქტი, თუკი ვერ მოგვარდება, დაცხრეს მაინც და ადამიანის სისხლი ისე აღარ იღვრებოდეს ამ უძველესი ისტორიის მქონე შესანიშნავ ქვეყანაში, როგორც ბოლო პერიოდში, სირიელთათვის ჯოჯოხეთური 5 წლის განმავლობაში, იღვრებოდა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ასტანის ფორუმის მოლოდინში

**გასული წლის 30 დეკემბერს სირიის არმიის ხელმძღვანელობამ სამხედრო ოპერაციების შეჩერების შესახებ განაცხადა. დასრულდა სირიის თითქმის ექვსწლიანი ომის ყველაზე სისხლისმღვრელი ეტაპი. შეიარაღებული ოპოზიციის უდიდესი ნაწილი იძულებით დათანხმდა ცეცხლის შეწყვეტას, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ ბაშარ ასადის ერთგულმა ჯარებმა რუსეთის დახმარებით სირიის უდიდესი ქალაქი ალეპო გაათავისუფლეს „ბოევიკებისა“ და ტერორისტებისგან. ჯერ გაურკვეველია, როგორ განვითარდება მოვლენები აღმოსავლეთ სირიაში, სადაც დაფუძნებულია ე. წ. ისლამური სახელმწიფო და კიდევ აკონტროლებს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რაქასა და პალმირას ჩათვლით. ცეცხლის შეწყვეტა არ ეხება „ისლამურ სახელმწიფოს“ და არც „ალ ქაიდას“ ფილიალს — „ჯებჰატ ან-ნუსრას“, მაგრამ მთლიანობაში შეთანხმება მიღწეულია, გაეროს უშიშროების საბჭომ 31 დეკემბრის რეზოლუციით მხარი დაუჭირა ამ ფაქტს.**



> **დასავლეთი სულ უფრო კარგავს თავის პოლიტიკურ წონას, რუსეთის, ჩინეთის, ირანის, თურქეთის, ყაზახეთისა და სხვა ევრაზიული მოთამაშეების წონა კი იმატებს. ამ ფონზე ღიმილის მომგვრელად გამოიყურება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის — შეფერის მოთხოვნა, რომ ასტანის ფორუმზე განხილულ იქნას ბაშარ ასადის პოლიტიკური მომავალი — მოთხოვნებს სირიას აწი ვერც გერმანია და ვერც სხვა დასავლური სახელმწიფოები ვერ წაუყენებენ**

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომლის ინიცირება რუსეთმა და თურქეთმა მოახდინეს, უწინარესად ეხება სირიის ჩრდილოეთში მოქმედ პროთურქულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს. თურქეთის კეთილი ნება ბევრს ნიშნავს და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სირიაში მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით. თურქეთის პრეზიდენტ **ერდოღანის** სწრაფვა, სრული კონტროლი დაემყარებინა სირიის ჩრდილოეთ ნაწილზე, ალეპოს ჩათვლით, ჩაფლავდა. რუსეთისა და ირანის დახმარებით სირიამ შეძლო თურქული ექსპანსიის განეიტრალება, თუმცა თურქეთის დე ფაქტო კონტროლქვეშ რჩება ქალაქი იდლიბი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, აგრეთვე, თურქეთ-სირიის საზღვრის დიდი ნაწილი სირიის ტერიტორიაზე. **ასადის შიიტურ ხელისუფლებას მტრად მოკიდებული თურქეთი დათმობაზე არასგზით წავიდოდა, რომ არა რუსული სამხედრო დახმარება ოფიციალური დამასკოს სასარგებლოდ და ამერიკასთან თურქეთის მკვეთრად გაუარესებული ურთიერთობები. ერდოღანს ბოდიშის მოხდაც მოუწია 2015 წელს ჩამოგდებული რუსული სამხედრო თვითმფრინავის გამო და თავისი საგარეო პოლიტიკის სერიოზული კორექტირებაც. თურქეთი რუსეთის საიმედო პარტნიორად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ორი სახელმწიფო მოცემულ ეტაპზე ინტენსიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან.**

ასადის ხელისუფლებასა და შეიარაღებულ ოპოზიციას შორის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულების შესრულების გარანტად, რუსეთთან და თურქეთთან ერთად, ირანის ისლამური რესპუბლიკაც გამოდის. ირანმა დიდი როლი შეასრულა სირიის კანონიერი ხელისუფლების შენარჩუნების საქმეში. თურქეთსა და ირანს შორის უნდობლობის ფაქტორი კიდევ უფრო არსებითია, ვიდრე თურქეთსა და რუსეთს შორის. ასე, მაგალითად, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჩავუშოღლუმ** ამა წლის 4 იანვარს უკმაყოფილება გამოხატა, რომ პროირანული ორგანიზაცია „ჰეზბოლა“ და ასადის ჯარები თითქოს არღვევენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რასაც ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტრკრიტიკა მოჰყვა, მაგრამ ეს გარემოება სამშვიდობო პროცესს, სავარაუდოდ, ხელს ველარ შეუშლის. საკუთრივ სამშვიდობო პროცესის ახალი ფორმატი, რომელიც სირიის ოფიციალური ხელისუფლებისა და რეალური, ანუ შეიარაღებული ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებების დაწყებას გულისხმობს (რუსეთის, თურქეთისა და ირანის შუამდგომლობით), ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში შედგება. ასტანა ყველაზე მისაღები პლატფორმა აღმოჩნდა ამგვარი მოლაპარაკებებისათვის (რომელშიც მონაწილეობის სურვილი სირიის კონფლიქტის მხარეების — რუსეთის, თურქეთისა და ირანის გარდა, საუდის არაბეთმა და ყატარმაც გამოთქვეს, ხოლო აშშ-მა და ჩინეთმა ასტანის ფორმატის მხარდაჭერა გამოხატეს). ნიშანდობლივია, რომ **მოლაპარაკებების ასტანაში გამართვის ინიციატივა არა ყაზახეთისგან, არამედ რუსეთისა და თურქეთისგან მომდინარეობს. პუტინმა და ერდოღანმა ნურსულთან ნაზარბაევს თავად მიმართეს შესაბამისი თხოვნით, რომელიც მშვიდობისმოყვარე, არაანგაჟირებული ყაზახეთის ლიდერმა გაიზიარა კიდეც.**

მაგრამ საინტერესოა, რატომ იქნა შერჩეული მაინცდამაინც ყაზახეთის დედაქალაქი? ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე არგუმენტის საფუძველზე შეიძლება გაიცეს. ერთი ფაქტორი უკვე აღვნიშნეთ — **ყაზახეთი არის მშვიდობისმოყვარე, კონფლიქტებში მიუკერძოებელი მხარე. ეს ქვეყანა თანმიმდევრულად იცავს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და აქვს სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება. ოფიციალურმა ასტანამ არსებითი წვლილი შეიტანა რუსულ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზებაში, როდესაც მოსკოვსა და ანკარას შორის კონფლიქტი მომწიფდა სირიაში ჩამოგდებული „სუ-24“-ის გამო.** ყაზახეთი მნიშვნელოვან საშუამავლო ფუნქციას ასრულებდა ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული პრობლემების მოგვარებაში და აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტის დარეგულირებაში მონაწილეობის მისაღებადაც გამოხატავდა მზადყოფნას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყაზახეთმა ორჯერ უკვე უმასპინძლა სირიის ომის მონაწილე მხარეთა მოლაპარაკებებს; კონფლიქტის ყველა დაინტერესებულ მხარეს დღემდე ხელი მხოლოდ ერთ დოკუმენტზე აქვს მოწერილი — **ასტანის დეკლარაციაზე.**

აქედან გამომდინარე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ასტანის ფორუმი წარმატებით დასრულდება, თუმცა მართალია ისიც, რომ დასავლეთში ბევრი პოლიტიკოსი თუ კომენტატორი სხვაგვარად ფიქრობს, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სხვა სურვილს გამოხატავს — დასავლეთში მაინცდამაინც არ სურთ ასტანის ფორუმის წარმატება, ვინაიდან ამ ფორუმის მთავარი მოქმედი სუბიექტი დასავლეთი არ იქნება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ და ევროკავშირი მიიჩნევდნენ, რომ მათ გარეშე მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი საკითხები არ წყდებოდა, რუსეთი კი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. დღეს მსოფლიოში ვითარება რადიკალურად იცვლება, **დასავლეთი სულ უფრო კარგავს თავის პოლიტიკურ წონას, რუსეთის, ჩინეთის, ირანის, თურქეთის, ყაზახეთისა და სხვა ევრაზიული მოთამაშეების წონა კი იმატებს. ამ ფონზე ღიმილის მომგვრელად გამოიყურება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის — შეფერის მოთხოვნა, რომ ასტანის ფორუმზე განიხილონ ბაშარ ასადის პოლიტიკური მომავალი — მოთხოვნებს სირიას აწი ვერც გერმანია და ვერც სხვა დასავლური სახელმწიფოები ვერ წაუყენებენ.**

ისლამური სამყაროს ყველაზე უფრო ცივილიზებული, ტოლერანტული და პროგრესული სახელმწიფო ყაზახეთი, რომელშიც, **სხვათა შორის, მართლმადიდებლური შობა — 7 იანვარი, ოფიციალური უქმე დღეა, ღირსეულად გაართმევს თავს სირიის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაგეგმილ მოლაპარაკებებში მასპინძლისა და შუამავლის როლს.** ყაზახეთი მთლიანად იკისრებს მონაწილეთა მგზავრობისა და განთავსების ხარჯებს. ყაზახეთის განათლების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფოს ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი **ბურკიტბაი აიაგანი** მიიჩნევს, რომ ასტანის ფორუმი ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ, ამასთანავე, ერთჯერად ღონისძიებას, თუნდაც აგრერიგად მნიშვნელოვანს, არ შეუძლია მთლიანობაში პრობლემის მოგვარება. ამიტომ, ყაზახი ექსპერტის აზრით, აუცილებელია მოლაპარაკებების მუდმივი პლატფორმის შექმნა. როგორც ჩანს, ოფიციალური ასტანა ასეთი საპასუხისმგებლო როლისთვისაც მზად არის.

**დასავლეთი და მისი მოკავშირე ტოტალიტარული რეჟიმები არაბეთის ნახევარკუნძულზე ყველაფერს იღონებენ, რათა ასტანის შეხვედრა არ დაგვირგვინდეს გრძელვადიანი მშვიდობით და ყურადღება გადატანილ იქნას ბაშარ ასადის პიროვნებაზე. სამწუხაროდ, საქმის გაფუჭება ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე გაკეთება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა საფუძველი არსებობს, სირიის კონფლიქტი, თუკი ვერ მოგვარდება, დაცხრეს მაინც და ადამიანის სისხლი ისე აღარ იღვრებოდეს ამ უძველესი ისტორიის მქონე შესანიშნავ ქვეყანაში, როგორც ბოლო პერიოდში, სირიელთათვის ჯოჯოხეთური 5 წლის განმავლობაში, იღვრებოდა.**

> **ასადის შიიტურ ხელისუფლებას მტრად მოკიდებული თურქეთი დათმობაზე არასგზით წავიდოდა, რომ არა რუსული სამხედრო დახმარება ოფიციალური დამასკოს სასარგებლოდ და ამერიკასთან თურქეთის მკვეთრად გაუარესებული ურთიერთობები. ერდოღანს ბოდიშის მოხდაც მოუწია 2015 წელს ჩამოგდებული რუსული სამხედრო თვითმფრინავის გამო და თავისი საგარეო პოლიტიკის სერიოზული კორექტირებაც. თურქეთი რუსეთის საიმედო პარტნიორად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ორი სახელმწიფო მოცემულ ეტაპზე ინტენსიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან**

**გულბაათ რცხილაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლონური ლიბერტარიანული ასოციაციის წევრებმა: ნიკოლაი კასტორ კლუბინსკიმ და რიჩარდ ვაზხოხამ ორგია მოაწყვეს ცხოველებთან და ზოოფილიის ამსახველი კადრები სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს. ამ ფოტოებმა აღაშფოთა ცხოველების დამცველი პოლონური ორგანიზაციის წევრები და მათ პოლიციას მიმართეს მოთხოვნით, დაუყოვნებლივ დაეწყო გამოძიება.

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## როგორ აღნიშნეს ბრიტანელებმა ახალი წლის დადგომა

ინგლისი განთქმულია პაბებითა (ლუდხანებით) და ამ დაწესებულებების სტუმრებით, რომლებიც ყოველ პარასკევს, ტრადიციულად, ქუჩებს მხიარული შეძახილებით, ჩხუბითა და ნარწყევით ავსებენ. გასაკვირი არ არის, რომ ახალი წლის ღამეს ბრიტანელებმა კვლავ უჩვენეს მსოფლიოს, როგორ უნდა დასვენება და გართობა. Ruposter Life-მა გამოაქვეყნა ფოტოები, რომლებზეც ასახულია, როგორ ატარებენ დროს ინგლისელი ჯენტლმენები და ქალბატონები.



ქუჩებში იშვიათი არ იყო მთვრალი მამაკაცებისა და ქალების ჩხუბიც კი. პოლიციელები შესაძლებლობის მიხედვით ცდილობდნენ შფოთისთავების გაშველებას.



საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ ქალების სიმთვრალე, არამედ მათი გარეგნობაც (სამოსი).





შეზარხოშებული ქალბატონები იოლი ნადავლი ხდებოდნენ მათთვის, ვინც სარეცლის გამზიარებელს ეძებდა ახალი წლის ღამეს.







სხვა ბრიტანელები და ნისლიანი ალბიონის სტუმრები ისე დათვრნენ, რომ, არა მხოლოდ ორიენტაცია, სახეც კი დაკარგეს.



## ტაივანელმა მამის დაკრძალვაზე სტრიპტიზის 50 მოცეკვავე დაიქირავა

ტაივანელი მალალჩინოსნის ვაჟმა დუნ გო ჩენმა სტრიპტიზის 50 მოცეკვავე დაიქირავა, რათა მამის დაკრძალვის პროცესიის მიმდინარეობისას ეცეკვათ, — იუწყება Daily Mail-ი. მამაკაცის თქმით, მამამისს ძალიან უყვარდა ცხოვრება და ამ ჟესტს დააფასებდა.

გამოსათხოვებელ პროცესიაში მონაწილეობდა ნახევრად შიშველი მოცეკვავე ქალებით სავსე 50 ჯიპი, რომლებსაც მისდევდა კიდევ 150 ავტომობილი. ამ უჩვეულო კარნავალის გამო გზა, რომლის გავლასაც 10 წუთი სჭირდება, 2 საათის განმავლობაში იყო გადაკეტილი. 76 წლის კორეელი ტანგ სიანი, რომელსაც მიუძღვნეს ეს საზეიმო თუ სამგლოვიარო ცერემონია, 14 დეკემბერს გარდაიცვალა, მაგრამ 3 იანვარს დაკრძალეს.



ხელისუფლებას ხალხისთვის ჯერ არ სცალია, რადგან ღორების იდენტიფიკაციით არის დაკავებული, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება. ეს ხდება იმ ფონზე, როცა სახელისუფლო ხარჯები მილიარდით არის გაზრდილი, ხოლო 1 600 000 ადამიანი შემწეობას ითხოვს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეროვნული ხელისუფლება სამშობლოს მომავალს ზნედაცემულ დასავლეთს არ დაუკავშირებს

**2016 წლის ნოემბერში ჩემი წერილის „რუსეთის ფაქტორი — ტესტი პატრიოტიზმზე ლიბერასტებისთვის“ გამოქვეყნებისთანავე (იხ. „საქართველო და მსოფლიო“, №43, 23-29 ნოემბერი, 2016 წ.) დამიკავშირდა პიროვნება, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა და განმიცხადა: ,,მე ვიყავი დსთ-ში მყოფი საქართველოს პატიმარი 2005-2007 წლებში“.**



ამ ლოგიკით სააკაშვილის მანიაკური მმართველობა დსთ-ში საქართველოს შესვლასთან ყოფილა დაკავშირებული. მის მიერ განხორციელებული ვანდალიზმი და მკვლელობები **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, გურამ შარაძის, როინ შავაძის, დათო ცინდელიანისა** და სხვა ათობით უდანაშაულო ადამიანის დსთ-ს უკავშირდება? არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ხელისუფლებაში მსგავსი მანიაკების კასტა არ ჰყოლია. საქართველო დსთ-დან 2009 წლის 12 აგვისტოს გავიდა. ამ პერიოდში ნაცები ავტოკრატიის ფაზაში იყვნენ და პატიმართა რაოდენობით საქართველო ევროპაში პირველ ადგილზე იყო. სააკაშვილმა ნულოვანი ტოლერანტობა თავის სამოქმედო პროგრამად გამოაცხადა და 2003-2009 წლებში 69 კაცი დახვრიტა.

**2009 წლის შემდეგ გია კრიალაშვილის, ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის მკვლელობები, ლაფანყურის სპეცოპერაცია, აფეთქების პროვოცირება ამერიკის საელჩოსთან რომელ გაერთიანებას უკავშირდება?** სააკაშვილი იყო და არის შევარდნაძის გზის გამგრძელებელი ამერიკული პროექტი. სააკაშვილის შესახებ ევროპის 7 ავტორიტეტული კლინიკის მიერ 2006 წელს გამოქვეყნებულ დასკვნაში წერია: **„ძლიერი პარანოიდული აშლილობა, ისტერიულობა და ნარცისიზმის კომპლექსი“.** ქართველმა ფსიქიატრმა უფრო მარტივი დიაგნოზი დასვა: **„მანიაკური, დეპრესიული სინდრომი“.** მსგავს არსებებს სპეციალურად არჩევენ ამერიკელები ამა თუ იმ ქვეყნის დასანგრევად და ცდილობენ, სააკაშვილის მსგავსი კრიმინალების ლობირებით თავიანთი ინტერესები გაატარონ საქართველოსა თუ უკრაინაში.

**პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო და უკრაინა აღმოჩნდა ყველაზე სუსტი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელსაც თავის დროზე სტალინი აწრთობდა. ამ ქვეყნებმა მისცეს საშუალება უცხოეთის სპეცსამსახურებს, დამანგრეველი საქმიანობა ეწარმოებინათ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთმოძულეებო! თუ ქვეყანა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, ლიბერასტების მითითებით იხელმძღვანელეთ — ჩანგლებითა და კოვზებით დაიცავით თავი და საჯიშე ბიჭები მტრის ინტერესებს საზარბაზნე ხორცად შესწირეთ.** შევარდნაძე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) აგენტი იყო, ასევე — სააკაშვილიც. **ირაკლი ალასანიასაც** ცსს-ს სკოლა აქვს დამთავრებული.

სააკაშვილის მმართველობის ხანა დასრულდა. დავიწყეთ ოცნება, რაც დღემდე გრძელდება, ხოლო ახალი სახეების სახით ბიუჯეტს ახალი მღრღნელები შეემატა. მოდი, გულახდილად ვთქვათ: **თუ მხოლოდ ვოცნებობთ, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ეპოქის დარუბანდიდან ნიკოფსიამდე გადაჭიმულ, დამოუკიდებელ და ძლიერ საქართველოზე ვიოცნებოთ, თორემ უცხო ქვეყნისა და ლიბერასტ-პედერასტების უფლებებზე მოღავლავე ივანიშვილის საქართველო რა საოცნებოა?!** ხელისუფალნი, რომლებიც თვლიან, რომ პროგრესია, თუ არ გვკლავენ და გვაუპატიურებენ, ფსიქიატრის პაციენტები უნდა იყვნენ; ერთადერთი, რაც შეასრულეს, გადაარჩინეს ნაცები. საზოგადოების უმრავლესობამ, რომელიც ქვეყნის დასავლური ვექტორის მომხრე არ იყო, ხმა მაინც „ქართულ ოცნებას“ მისცა. ვეკითხები მათ: **ვისგან ელით დაანონსებულ კეთილდღეობასა და პროგრესს — მდიდარ სექსზე მეოცნებე სოროსელი პრეზიდენტისგან და ისტორიის არმცოდნე, დასავლეთში გაწვრთნილი პრემიერისგან, რომელსაც მკერდში გული ქართულად არ უძგერს?** ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ ევროკავშირს საქართველო თავისი პროექტების განსახორციელებლად და პროდუქციის გასასაღებლად სჭირდება, როგორიცაა, მაგალითად, ბუსუსიანი პრეზერვატივები?! ეს საკითხი ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამიტომ კანონპროექტიც შეიქმნა, რომელიც ევროინტეგრაციის საკითხში წინგადადგმულ ნაბიჯად განიხილება... **ხელისუფლება, ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.**

„ეს საქართველო მძულს, სიამოვნებით გავიქცეოდი აქედან“, — ამბობს ქალბატონი, რომელსაც, მისი თქმით, სააკაშვილის მმართველობისას ყველაფერი წაართვეს. მას ახალმა ხელისუფლებამ არ თანაუგრძნო და ჭრილობები ვერ მოუშუშა, მაგრამ უნდა გავმიჯნოთ: საქართველო უნდა გვძულდეს თუ მმართველი სისტემა? ჩვენი სამშობლოც ხომ მსხვერპლია მახინჯი სისტემისა — კალთებშემოგლეჯილი და სისხლდაწრეტილი, ღირსებაშელახული და გაუპატიურებული, უძლები და უმადური შვილებისგან თანაგრძნობამოკლებული, რომელიც მხოლოდ სიყვარულს ელის ჩვენგან? უმალ მომაგონდა სტუდენტობის პერიოდში ენის უკეთ შესასწავლად სტუდენტური მისიით აღმოსავლეთში წასული თანაკურსელი, რომელიც, მძიმე ნოსტალგიით შეპყრობილი, სასწრაფოდ დააბრუნეს საქართველოში. **ნოსტალგია ხომ იმ ადამიანების სენია, რომლებისთვისაც, „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“. დღეს, ეროვნული იდეოლოგიის არარსებობის პირობებში ახალგაზრდები უწყვეტ ნაკადად გადიან საქართველოდან. დღეს ნოსტალგია აღარავის აწუხებს, რადგან ქვეყანაში არ ტრიალებს ეროვნული სული; „სამშობლოს განცდა განსაკვირველი“, დედის რძესთან ერთად რომ ჰქონდა შესისხლხორცებული ქართველს, გაუცხოვდა.**

ძნელია, გულგრილად მოუსმინო გულისტკივილს იმ გორელი გლეხისა, რომელსაც სოფელი იძულებით დაუტოვებია და თავის გადასარჩენად ხელოსნობა დაუწყია ქალაქში, მაგრამ არ ასვენებს ფიქრი იმ ნაშრომ-ნაამაგარ ტონობით ვაშლზე, რომელიც ულპება, და რუსეთისკენ გზა ვერ მოუნახავს. დიახ, დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმული სახელმწიფო იმ ადამიანებისთვის იყო და არის მისაღები, რომლებისთვისაც **სამშობლო** ცარიელი სიტყვები არ არის. **ხელისუფლებას ხალხისთვის ჯერ არ სცალია, რადგან ღორების იდენტიფიკაციით არის დაკავებული, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება. ეს ხდება იმ ფონზე, როცა სახელისუფლო ხარჯები მილიარდით არის გაზრდილი, ხოლო 1 600 000 ადამიანი შემწეობას ითხოვს. ამასთანავე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, აღმოსავლეთიდან ახალი ლტოლვილების მიღების ვალდებულებაც დაიკისრეს და უცხოელებზე მიწების გაყიდვაც განაახლეს. გვინდა ასეთი ევროკავშირი, რომელიც უცხო ჯიშსა და ჯილაგს მოგვიმრავლებს საქართველოში და ქართველებს ქვეყანას დაატოვებინებს?**

„ქართული მიწები არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე, ის ქართველ გლეხებს უნდა ეკუთვნოდეთ!“ — ბრძანებს „პატრიოტი“ **დავით თარხან-მოურავი.** სრულიად ვეთანხმები ამ პატრიოტულ განცხადებას, მაგრამ ჩნდება კითხვები: ბატონ „პატრიოტს“ კარგად მოეხსენება, რომ დასავლეთმა ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან გამარტივებული წესით მიწების უცხოელებზე გაყიდვა მოითხოვა და იმავეს ითხოვს საქართველოსგან. როცა დასავლეთისკენ უკანმოუხედავად ისწრაფვი, მასთან უკეთეს პარტნიორობას, ანუ მათი დირექტივების უკეთ შესრულებას აანონსებ და ამ დირექტივების შესრულების გამო ხელისუფლებას აკრიტიკებ, ამას გონივრული ახსნა არ მოეძებნება. დასავლეთისკენ სწრაფვა შევარდნაძე-სააკაშვილის გზის გაგრძელებაა, რაც, 25 წელია, ანგრევს საქართველოს და ასუქებს ხელისუფლების წარმომადგენლებს. ჭეშმარიტმა პატრიოტმა ქვეყნის ინეტრესების საწინააღმდეგო ვექტორზე უარი უნდა თქვას. „ჩვენ ქვეყნის საწინააღმდეგო კურსს (წაიკითხე — რუსეთს) ვუჭერთ მხარს? თქვენ გინდათ ევროპული ფასეულობები თქვენი შვილებისათვის და მე არ მინდა?“ — მიმართა პარლამენტს ერთ-ერთი გამოსვლისას **ირმა ინაშვილმა,** რომელიც სულ თავდაცვის რეჟიმშია, — რუსეთუმეობა არ დამაბრალონო. 25 წლის განმავლობაში გავანადგურეთ ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა, ხალხს ლუკმაპური წავართვით, ტერიტორიები დავკარგეთ, დემოგრაფიული ფონი შეიცვალა და მოსახლეობა 2 მილიონით შემცირდა. **ამერიკის უზინძურესი პოლიტიკის გამხმოვანებლის ფუნქცია მოირგო ხელისუფლებამ, ოპოზიციამ და მედიამ. არადა, ამ პოლიტიკამ მსოფლიო ჩიხში შეიყვანა და ამერიკის წინააღმდეგ განაწყო. ეს ის ქვეყანაა, რომელიც ბოლო 55 წლის განმავლობაში 100-ჯერ მაინც ჩაერია უცხო ქვეყნების საშინაო საქმეებში. „არაბული გაზაფხულები“, ომი ერაყში, ომი ლიბიაში, ინტერვენციები ეგვიპტესა და ტუნისში.** ამ ომებმა მილიონობით მშვიდობიანი მოქალაქე შეიწირა და ლტოლვილად აქცია. როცა ხელისუფლება თუ ოპოზიცია რეალობაზე თვალს ხუჭავს, ეს, პოლიტიკური სიბეცე კი არა, ქვეყნის შეგნებული მტრობაა.

„არავის ვურჩევ ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობებზე თამაშს! ხალხის ხმა პარლამენტამდე უნდა აღწევდეს“, — ბრძნებს ვიცესპიკერი ირმა ინაშვილი. მსგავსი განცხადებები მხოლოდ ხალხის გულის მოსაგებად არ უნდა კეთდებოდეს. ეს ხმა ამ პარტიის წევრებამდეც კი ველარ აღწევს მას შემდეგ, რაც პარლამენტარის მანდატები მოიპოვეს. არაერთი მიმართვის მიუხედავად, არ აღადგინეს **ვალერი კვარაცხელიას** საავტორო გადაცემა. ვინმეს მოსწონს თუ არა ბატონი ვალერი პიროვნულად, სხვა საკითხია, მაგრამ განსხვავებული აზრი, რომელსაც ბატონი ვალერი ახმიანებდა, უნდა ისმოდეს დემოკრატიული ტელეეთერიდან. „ბოროტი ენები“ იმასაც ამბობენ, რომ ყველა პარტიის წარმომადგენლები რუსეთში დარბოდნენ დაფინანსების მისაღებად, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა არ ისურვა ნაყიდი თანადგომა (ეს იდეოლოგიურად უნდა ხდებოდეს) და განაცხადა, თუ ვინმე თავს იხრჩობს, მას ვერ ვუშველითო. ირმა ინაშვილს არ შეიძლება არ დავუფასოთ ციხის კადრების გამომზეურება და სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამავე ლოგიკით, **რატომ არ უნდა დავუფასო რუსეთს საქართველოსთვის თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება, უფასო განათლება და ჯანდაცვა, ეკონომიკის განვითარება და ყველა დარგის რენესანსი? რატომ არ უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ, თუ დღეს ქართველი გვქვია, ეს არა რომელიმე პოზიცია-ოპოზიციის, არამედ რუსეთის დამსახურებაა?!** ვიმედოვნებ, რომ „პატრიოტების“ ბრძოლა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მხოლოდ ნაციონალების ჩანაცვლებას არ ისახავდა მიზნად, მაგრამ შევარდნაძე-სააკაშვილის გზით სიარული ქვეყნისთვის წარმატებული ვერასოდეს იქნება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ ამერიკა პოლიტიკას შეცვლის და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში აღარ ჩაერევა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ მოიქცევა ხელისუფლება და ოპოზიცია. საქართველო ევროპა-ამერიკის ბორდელიდან უნდა გამოვიდეს და ეს ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს. ნეოლიბერალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ და საკუთარ შხამში ამოიგუდებიან. ამერიკის მოქმედი ხელისუფლება პირდაპირ საქმეზე გადავიდა და მსოფლიომ იხილა რუსეთისადმი ობამას გზავნილი ახალი სანქციების დაწესებისა და ამერიკაში რუსი დიპლომატების უფლებამოსილების შეჩერების შესახებ. გველგესლამ შხამიანი კუდი მოიქნია (ვიმედოვნებ, უკანასკნელად) და ამერიკული ე.წ. დემოკრატია მიწასთან გაასწორა. მსოფლიომ ისიც იხილა, როგორი დიპლომატიური თავშეკავება გამოიჩინა რუსეთის პრეზიდენტმა და ანალოგიური ქმედებით არ უპასუხა, ეს მის რეიტინგზე დადებითად აისახა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **რუსეთი დემოტრაკიულ დასავლეთში არავის შეეშალოს!**

**იზა თამაზაშვილი**

> **თუ მხოლოდ ვოცნებობთ, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ეპოქის დარუბანდიდან ნიკოფსიამდე გადაჭიმულ, დამოუკიდებელ და ძლიერ საქართველოზე ვიოცნებოთ, თორემ უცხო ქვეყნისა და ლიბერასტ-პედერასტების უფლებებზე მოღავლავე ივანიშვილის საქართველო რა საოცნებოა?!**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტერორისტულმა აქტმა ბზარი გააჩინა რუსეთ-თურქეთის ისედაც მყიფე ურთიერთობაში. მართალია, ორივე ქვეყნის ოფიციალური პირები საწინააღმდეგოს აცხადებენ, მაგრამ ცხადია, რომ რუსეთ-თურქეთი ურთიერთობა ველარ იქნება ისეთი თბილი, როგორიც ტერაქტამდე იყო. რატომ? იმიტომ, რომ პუტინი არ მიეკუთვნება იმ პოლიტიკოსებს, რომლების მოტყუება და „გაცურებაც“ შესაძლებელია (ეს „დორბლიანმა“ მიშამაც სცადა და ედუარდ „აუფეთქებელმაც“, მაგრამ ამით მსოფლიომ ნახა, საქართველომ „რა მწყერიც დაიჭირა“ ). მით უმეტეს, ერდოღანის მთავრობასაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ ტერაქტში და იოლად ვერ დაიძვრენს თავს.**

## ისტორიული პერსონები



### ერეკლე II

**1798 წლის 11 იანვარს თელავის სასახლეში 77 წლისა გარდაიცვალა ქართლ -კახეთის მეფე ერეკლე მეორე. მას სიყმაწვილეშივე მოუწია ქვეყნის მმართველის უმძიმესი ტვირთის ზიდვა. სრულიად ყმაწვილი აქტიურად მონაწილეობდა სპარსეთის შაჰის — ნადირის მიერ 1739 წელს ინდოეთში მოწყობილ ლაშქრობებში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა სარდალმა.**

1744 წელს ნადირ-შაჰის ნებართვით, თეიმურაზი — ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დაამტკიცეს. ეს უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რადგან 130 წლის განმავლობაში ქართლში ქრისტიანი მეფე არ მჯდარა.

1747 წელს ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ ირანში დაწყებული ანარქიით კარგად ისარგებლეს ქართველებმა და სპარსელებს თბილისი წაართვეს. ახალგაზრდა ერეკლემ თავი გამოიჩინა აბდულა ბეგის, მაჰმად ხანისა და ყარაბაღის მმართველის — ფანა-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1751 წლის ივლისში საქართველოში შემოიჭრა ირანის ტახტის მაძიებელი აზატ-ხანის ლაშქარი, რომელიც ერეკლემ ერევნის მახლობლად, ყირბულახის ბრძოლაში საოცარი საზრიანი და საკუთარი გმირული შემართებით დაამარცხა, მაგრამ შაქის ხან აჯი-ჩალაბთან განცდილმა მარცხმა ეს წარმატებები დაჩრდილა. ამიტომ ერეკლემ ისევ შეკრიბა ჯარი და აჯი-ჩალაბის დასასჯელად დაიძრა. 1752 წლის სექტემბერში, თულქითეფესთან გამართულ ბრძოლაში აჯი-ჩალაბის ჯარი, რომელსაც მისი ვაჟი — ალა-ქიში სარდლობდა, სასტიკად დაამარცხეს ქართველებმა.

1759 წელს ლეკების 8000-იანი ჯარი ერეკლემ ატოცთან და დვანის ციხესთან დაამარცხა. 1760 წელს ერეკლემ დაამარცხა ყარაბაღის ხანი, დალაშქრა განჯა და ერევანი.

ქვეყანა ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა, ნასახლარების ადგილას სოფლები და დასახლებები გაჩნდა, მთებს გახიზნული ხალხი ბარში დაბრუნდა, მაგრამ 1795 წელს აღა მაჰმად ხანმა მიწასთან გაასწორა აღორძინების გზაზე დამდგარი ქვეყანა.

ერეკლეს სახელთან არის დაკავშირებული 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. ამ ტრაქტატით დასრულდა კახეთის მეფეების რუსეთთან შეერთების თითქმის სამსაუკუნოვანი მცდელობა.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-47 2016 წ. (368-376)

## ვის ინტერესებში შედიოდა თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობა?

**ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ჩემი პუბლიკაციების ძირითადი თემა საქართველო-თურქეთის დაპირისპირების ისტორიულ ჭრილში განხილვაა, მაგრამ ანკარაში დატრიალებულმა ტრაგედიამ მაიძულა, მცირე გადახვევა გამეკეთებინა და აქცენტი რუსეთის ელჩის მკვლელობაზე გადამეტანა.**

2016 წლის 19 დეკემბერს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, თანამედროვე ხელოვნების გალერეაში, საზეიმოდ გაიხსნა ფოტოგამოფენა — „რუსეთი მოგზაურის თვალით: კალინინგრადიდან კამჩატკამდე“. ამ ღონისძიებას დაესწრო რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში — **ანდრია კარლოვი.** იმ მომენტში, როდესაც რუსეთის ელჩი სიტყვით მიმართავდა გამოფენაზე შეკრებილთ, მას ზურგიდან მიუახლოვდა ტერორისტი, დაიყვირა: „ჩვენ ვკვდებით ალეპოში, თქვენ აქ მოკვდებით, ალაჰ აქბარ!“ და რამდენიმე ტყვია დაახალა. დიპლომატი ადგილზე დაიღუპა.

ტერორისტი ანკარის სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი ოფიცერი, 22 წლის **მევლუთ მერთ ალთინთაში** აღმოჩნდა. ის პოლიციელებმა მოკლეს.

რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** თურქეთში რუსეთის ფედერაციის ელჩის მკვლელობას გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ ეს არის პროვოკაცია, რომელიც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და სირიის სამშვიდო პროცესის ჩაშლისკენ არის მიმართული.

ოფიციალური ვერსიით, ტერორისტი „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერი გახლდათ და მან შური იძია რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ სტრატეგიული ქალაქის — ალეპოს აღებისთვის. ერთი შეხედვით, ეს ვერსია სიმართლესთან ახლოსაა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. რადგან აქ, „ისლამური სახელმწიფოს“ გარდა, იკვეთება სხვა ქვეყნების ინტერესებიც...

მაინც ვის ინტერესებში შედიოდა თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობა?

**1. საუდის არაბეთისა** და მისი სატელიტი ორგანიზაცია **„ისლამური სახელმწიფოს“.** გარდა რელიგიური დაპირისპირებისა, საუდის არაბეთის შეიხების კომერციული ინტერესები ეჯახება ირანის კომერციულ ინტერესებს. რუსეთისა და თურქეთის პოლიტიკურ ბანაკში ირანის გამოჩენამ საუდელი პრინცების აღშფოთება გამოიწვია. ბუნებრივია, ისინი ამ „ტრიუმვირატის“ შექმნას გულზე ხელდაკრეფილი ვერ შეხვდებოდნენ;

**2. ამერიკის შეერთებული შტატების.** რუსეთისა და თურქეთის დაახლოება პირდაპირ ურტყამს რეგიონში აშშ-ის ინტერესებს. გარდა ამისა, სირიის კონფლიქტში რუსეთის აქტიურად ჩართვით ვაშინგტონი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია, აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** რევერანსები გააკეთა რუსეთის მისამართით და პუტინს მეგობრობის ხელიც გაუწოდა, მაგრამ ინაუგურაციამდე თეთრი სახლის პოლიტიკას ისევ დემოკრატები და პრეზიდენტი **ობამა** განსაზღვრავენ და არ არის გამორიცხული, ეს მათი „კარის გაჯახუნება“ ყოფილიყო.

ამ ვერსიას ამყარებს შობა-ახალი წლის დღეებში ობამას ადმინისატრაციის მიერ რუსი დიპლომატებისა და მათი ოჯახის წევრების ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაყრა. ეს აქტი უკვე შეფასდა არჩევნებში დამარცხებული დემოკრატების შურისძიებად, ვინაიდან ყველასათვის ცხადია, რომ კრემლს პრეზიდენტად ტრამპი სურდა. ამერიკა ხომ „ცივილიზებური“ ქვეყანაა, ამიტომაც რუს დიპლომატებს „ცივილიზებულად“ დააბრალა ჯაშუშობა და 200-მდე „ჯაშუში“ ქვეყნიდან ცივილიზებურად გააძევა (შეიძლება „გამოავლინო“ ერთი, ორი ან ათი „ჯაშუში დიპლომატი“, მაგრამ, როცა მათი რაოდენობა ასამდე ადის, ეს უკვე პოლიტიკური ანგარიშსწორებაა);

**3. ისრაელს.** რეგიონში ირანის, რუსეთისა და თურქეთის „ტრიადის“ გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი ისრაელის საზიანოდ. ისრაელს განსაკუთრებით აღელვებს საერთაშორისო იზოლაციისაგან თავდახსნილი ირანის გააქტიურება. სავარაუდოდ, ელჩის მკვლელობას უნდა გამოეწვია რუსულ-თურქული ურთიერთობების გაუარესება, რაც ისრაელის ოცნებაა;

**4. თურქეთს.** იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთის პოლიტიკური სპექტრი ჭრელია (ერდოღანის მრავალრიცხოვანი ოპოზიცია, პანთურქი ფანატიკოსები, ქურთები), არ არის გამორიცხული, ამ მკვლელობაში თურქეთის რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელი ერიოს.



ჩინგიზ ყაენი

ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, ვინაიდან კარლოვის მუხანათურ მკვლელობაში ბევრი სახელმწიფოს ინტერესები დაემთხვა (ერთადერთი ქვეყანა, რომლის ინტერესებშიც არ შედიოდა რუსი დიპლომატის მკვლელობა, რუსეთია) და ამ ტერაქტში მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოს“ დადანაშაულება საკითხის გაუბრალოება იქნება. **ტერორისტულმა აქტმა ბზარი გააჩინა რუსეთ-თურქეთის ისედაც მყიფე ურთიერთობაში. მართალია, ორივე ქვეყნის ოფიციალური პირები საწინააღმდეგოს აცხადებენ, მაგრამ ცხადია, რომ რუსეთ-თურქეთი ურთიერთობა ველარ იქნება ისეთი თბილი, როგორიც ტერაქტამდე იყო. რატომ? იმიტომ, რომ პუტინი არ მიეკუთვნება იმ პოლიტიკოსებს, რომლების მოტყუება და „გაცურებაც“ არის შესაძლებელი (ეს „დორბლიანმა“ მიშამაც სცადა და ედუარდ „აუფეთქებელმაც“, მაგრამ ამით მსოფლიომ ნახა, საქართველომ „რა მწყერიც დაიჭირა“). მითუმეტეს, ერდოღანის მთავრობასაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ ტერაქტში და იოლად ვერ დაიძვრენს თავს, ვინაიდან, რომელ ქვეყანასაც უნდა განეხორციელებინა ეს აქტი, რომ არა თურქეთის სპეცსამსახურების დახმარება, ტერორისტი ელჩთან მიახლოებასაც კი ვერ შეძლებდა.** ამიტომ, რალაც პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც ტერაქტის ყველა დეტალი საბოლოოდ დაზუსტდება, ახლო აღმოსავლეთში ძალების გადაჯგუფება მოხდება.

სხვათა შორის, 62 წლის რუსი დიპლომატი არც პირველია და, სავარაუდოდ, არც უკანასკნელი, რომელიც მუხანათურად მოკლეს. როგორც ისტორიული გამოცდილება გვარწმუნებს, ასეთი თავხედობა უმეტეს შემთხვევაში ძალიან ძვირად დაუჯდა მის გამკეთებელს.

მოვიყვან რამდენიმე ისტორიულ ფაქტს:

* 1218 წელს მონღოლთა დიდმა ყაენმა **ჩინგისმა** მეგობრული კავშირის დამყარების მიზნით ხორეზმში ელჩები გაგზავნა. მონღოლთა დესპანმა შაჰს მეგობრობა და ვაჭრობა შესთავაზა, მაგრამ **ალ ად-დინ მუჰამედ მეორემ** უარყო ეს წინადადება. როგორც ჩანს, სწორად ვერ შეაფასა მონღოლების ძალა და არც საიმედო პარტნიორებად მიიჩნევდა მათ. უფრო მეტიც, ხორეზმის შაჰმა ოტრარის მმართველის — **კაირ ხანის** რჩევით, წარგზავნილთაგან ერთ-ერთ ელჩს ჯაშუშობა დააბრალა და ჩამოახრჩო. მისი თანხმლებნი კი შეურაცხყო და წვერი შეკრიჭა.

გაცოფებულმა ჩინგიზ ყაენმა ისევ გაგზავნა ელჩობა და შაჰისგან კაირ ხანის გადაცემა მოითხოვა, მაგრამ შაჰმა პასუხად კვლავ ჩამოახრჩო მონღოლი ელჩი.

მონღოლი ელჩების — **უსუნისა** და **ბოგრას** — სიკვდილით დასჯის საპასუხოდ 1219 წლის გაზაფხულზე ჩინგიზ ყაენის 200-ათასიანი ლაშქარი ხორეზმისკენ დაიძრა. შაჰ მუჰამედის ჯარი ორჯერ აღემატებოდა მონღოლების ლაშქარს, მაგრამ შაჰმა მაინც ვერ გაბედა გენერალური ბრძოლის გამართვა. მას არც კი გამოუცხადებია მობილიზაცია, მთელი თავისი ლაშქარი უცვლელად დატოვა სახელმწიფოს სხვადასხვა ქალაქსა და ციხესიმაგრეში მცირე ჯგუფებად გადანაწილებული. ჩინგიზმაც გაყო არმია: შვილებს — **ჩაღატასა** და **უგედეის** — ოტრარის, ჯუჩს ჯენდისა და ტაშკენტის, ხოლო დანარჩენ მეომრებს ხო- ▶

## იცით თუ არა, რომ:



მსოფლიოში ახალ წელს, სხვადასხვა კალენდრით, შვიდჯერ ხვდებიან. ესენია: მზის ჰიჯრის, მთავარის ჰიჯრის, იულიუსის, გრიგოლის, კოპტური, ებრაული, ინდუისტური და ჩინური კალენდრები.



დაახლოებით 5 ათასი წლის წინათ ჰუნებმა ნაძვი წმინდა ხედ აქციეს. მართალია, ჰუნები თანდათან გადაშენდნენ, მაგრამ ნაძვის ხის კულტი დარჩა და ევროპაში ის სწორედ ბავარიიდან გავრცელდა.



ნაძვის ხის მოსართავი მინის სათამაშო პირველად საქსონიაში (გერმანია) XVI საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ ძალიან ძვირი ღირდა და მისი შეძენა მხოლოდ მდიდარ ადამიანებს შეეძლო. მისი მასობრივად წარმოება XX საუკუნის 30-იან წლებში საქსონიაში დაიწყეს.

**ირანის შაჰი იძულებული შეიქნა, ელიარებია დამარცხება და მიელო რუსეთის ნაკარნახევი საზავო პირობები. 1828 წლის 10 თებერვალს თურქმანჩაიში დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები რუსეთის შემადგენლობაში მოექცა. რუსეთს შეუერთდა ჩრდილოეთი აზერბაიჯანი და აღმოსავლეთი სომხეთი (ირანმა რუსეთს იმხელა კონტრიბუცია გადაუხადა, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა თავს უფლება მისცა, გამარჯვების მთავარ შემოქმედი, რუსეთის არმიის სარდალი, გენერალი პასკევიჩი მილიონი მანეთით დაეჯილდოებინა). რაც მთავარია, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომის შედეგად ირანი სამუდამოდ გააძევეს ამიერკავკასიიდან.**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთისა და თურქეთის დაახლოება პირდაპირ ურტყამს რეგიონში აშშ-ის ინტერესებს. გარდა ამისა, სირიის კონფლიქტში რუსეთის აქტიურად ჩართვით ვაშინგტონი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია, აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რევერანსები გააკეთა რუსეთის მისამართით და პუტინს მეგობრობის ხელიც გაუწოდა, მაგრამ ინაუგურაციამდე თეთრი სახლის პოლიტიკას ისევ დემოკრატები და პრეზიდენტი ობამა განსაზღვრავენ და არ არის გამორიცხული, ეს მათი «კარის გაჯახუნება» ყოფილიყო**

◀ ჯენდის აღება დაავალა. ზოგიერთი ქალაქის აღებას თვეები დასჭირდა, ზოგი კი ძალიან სწრაფად გაანადგურეს. მონღოლები ყველას სასტიკად უსწორდებოდნენ. ქალაქებს წვავდნენ და აოხრებდნენ; მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ჟლეტდნენ, ფიზიკურად ვარგისი მამაკაცები კი „ჰაშარში" მიყავდათ (ციხესიმაგრეებზე შეტევისას მონღოლები მათ წინა რიგში აყენებდნენ და ე.წ. ცოცხალ ფარად იყენებდნენ).

თვით ჩინგისმა ქალაქი ბუხარა აიღო, შემდეგ კი იერიში ქვეყნის უძლიერეს ქალაქზე — სამარყანდზე მიიტანა. ამ ქალაქში საომრად მზადება მონღოლთა გამოჩენამდე დაიწყეს, ამიტომ კარგად იყო გამაგრებული და ასიათასიანი გარნიზონი იცავდა, მაგრამ 1220 წლის 19 მარტს, სამდღიანი ალყის შემდეგ, ქალაქი მოულოდნელად დანებდა, რაც ხორეზმელი დიდებულების უნიათობის ბრალი იყო. მონღოლებმა ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჟლიტეს, შენობები გადაწვეს და ბევრი ტყვე წაიყვანეს. **ხორეზმის საყაენო რუკიდან გაქრობის წინაშე იდგა, მისი შაჰი მუჰამედი კი, რომელსაც შეეძლო შეეკრიბა დიდძალი არმია და ებრძოლა მტრის წინააღმდეგ, ნათესავებსა და ჰარამხანასთან ერთად ირანში გაიქცა. მას ჩინგისმა 30 000-იანი ლაშქარი დაადევნა, მაგრამ შაჰი მდევარს ხელიდან დაუსხლტდა, მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლია და მდინარე მტკვრისა და კასპიის ზღვის შესართავთან იმხანად არსებულ კუნძულ აბესკუნზე (კუნძული ამჟამად წყლის ქვეშ არის მოქცეული) გარდაიცვალა.**

სამარყანდის შემდეგ მონღოლებმა განაგრძეს ლაშქრობა და აიღეს ხორასნის ქალაქები, მათ შორის — ნიშაბური, რომლის აღებასაც ჩინგიზის სიძე თოღაჩარი შეეწირა. საკმაოდ დიდხანს გაგძელდა ალყა სატახტო ქალაქ ურგენჩის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ დამპყრობლებმა ისიც ააოხრეს. გარკვეული წინააღმდეგობა მონღოლებს შეხვდათ მუჰამედის შვილის — ჯალალ ად-დინისაგან, რომელმაც მამის სიკვდილის შემდეგ მოახერხა ჯარების მობილიზაცია და იყო პირველი, ვინც შეძლო მონღოლების დამარცხება თუნდაც ერთ ბრძოლაში. ღაზნთან მან მოუგო ბრძოლა მტრის მოწინავე ლაშქარს, მაგრამ შემდეგ გამოჩნდა ჩინგიზ ყაენი და ჯალალ ად-დინი სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ამ ლაშქრობების შედეგი ასეთი იყო: განადგურდა ხორეზმის ყველა დიდი ქალაქი, მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, იმპერია შევიდა მონღოლთა შემადგენლობაში და 1220 წელს შეწყვიტა არსებობა.

* 1225 წელს მონღოლებმა გაგზავნეს ელჩი კორეაში და იქაურებს ზავი შესთავაზეს, რომლის მიხედვითაც კორეის სამეფოს ხარკი უნდა ეკისრა, მაგრამ უარი მიიღეს და მონღოლთა ელჩი მოკლეს. 1231 წელს **უგედეი ყაენმა** კორეელებს უბრძოლველად დანებება შესთავაზა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწასთან გასწორებითა და მოსახლეობის გაჟლეტით დაემუქრა. მას იმედი ჰქონდა, რომ ამით ხალხს შეაშინებდა და ქვეყნის დაპყრობა გაუადვილდებოდა, მაგრამ ამაოდ დაშვრა — კორეელებს არაფრის გაგონება არ სურდათ.

ომის პირველ ეტაპზე (1231—1232 წ.წ.) უგედეიმ დიდძალი არმიით საბრძოლველად გაუშვა გენერალი **სარტაი.** მათ გადაკვეთეს ყვითელი მდინარე, მიადგნენ კორეის საზღვრებს და აიღეს ქალაქი ანჯუ, ამას მოჰყვა დედაქალაქ კაესონგზე შეტევა და მისი სრული განადგურება. მალე მონღოლები კორეის ცენტრში აღმოჩნდნენ, სადაც მათი შეჩერება შეძლო მონების არმიამ **ჯი კვანგსუს** მეთაურობით. თუმცა, რადგან დედაქალაქი და სხვა მნიშვნელოვანი ქალაქების უმრავლესობა უკვე მონღოლთა ხელში იყო, კორეელებმა ჩათვალეს, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და ზავი დადეს მონღოლებთან.

ამის შემდეგ კორეის მეფემ დედაქალაქი გადაიტანა კანხვადოს კუნძულზე და მის გამაგრებას შეუდგა. მონღოლებმა ეს ზავის დარღვევად მიიჩნიეს, უმალ განაახლეს შეტევა და ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილამდე მიაღწიეს, მაგრამ უკან დახევა მოუწიათ, გენერალი სარტაი კი ბუდისტმა ბერმა მოკლა.

მონღოლებმა კიდევ ოთხი ლაშქრობა მოაწყვეს კორეაზე და საწადელს მაინც მიაღწიეს. 1258 წლის დეკემბერში ალყა შემოარტყეს ახალ დედაქალაქს — კახვანდოს. მისმა დამცველებმა შიმშილს ვეღარ გაუძლეს და დანებდნენ. კახვანდოს დაცემით მონღოლებმა მთელი კორეა დაიპყრეს. მონღოლი ელჩის მკვლელობა კორეას დამოუკიდებლობის დაკარგვად დაუჯდა.

* 1740 წელს ხივის სახანოში, სპარსეთის ელჩი შეიხი **ჯუიბარები** მოკლეს. გაცოფებულმა **ნადირ შაჰმა** ხივა დალაშქრა და, რომ იტყვიან, მიწასთან გაასწორა. ოთხი დღე იძარცვებოდა ერთ დროს უმდიდრესი ქალაქი. სახანომ დამოუკიდებლობა დაკარგა და სპარსეთის იმპერიის ნაწილი გახდა.

* ზუსტად 187 წლის წინათ, 1829 წლის 30 იანვარს, თეირანში ფანატიკოსებმა რუსეთის საელჩო გადაბუგეს და ელჩი, ქართველების სიძე **ალექსანდრე გრიბოედოვი** 37 თანხმლებ კაზაკთან ერთად დაუნდობლად აკუწეს. ამ მკვლელობას წინ უძღოდა რუსეთისა და ირანის ორწლიანი ომი. ირანმა ინგლისის წაქეზებით 1826 წლის ივლისში ომის გამოუცხადებლად დაიწყო სამხედრო მოქმედება. მისი ჯარი მტკვრის ხეობაში შემოიჭრა, მაგრამ 1826 წლის 3 სექტემბერს რუსმა ჯარისკაცებმა ირანელები მდინარე შამქორთან დაამარცხეს და უკუაქციეს, ხოლო 13 სექტემბერს **აბას-მირზას** არმიამ ელიზავეტპოლთან (განჯა) საშინელი მარცხი იწვნია და ისიც უკუიქცა. ამის შემდეგ რუსეთის ჯარი შეტევაზე გადავიდა და 1827 წლის 26 ივნისს დაიკავა ნახიჭევანი, ხოლო 1 ოქტომბერს — ერევანი (ერევანზე შეტევის წინ დაწერა **გრიგოლ ორბელიანმა** ცნობილი პოემა „სადღეგრძელო") და მალე თავრიზშიც შევიდა.

**ირანის შაჰი იძულებული შეიქნა, ელიარებინა დამარცხება და მიელო რუსეთის ნაკარნახევი საზავო პირობები. 1828 წლის 10 თებერვალს თურქმანჩაიში დაიდო ზავი, რომლის თანახმად ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები რუსეთის შემადგენლობაში მოექცა. რუსეთს შეუერთდა ჩრდილოეთი აზერბაიჯანი და აღმოსავლეთი სომხეთი (ირანმა რუსეთს იმხელა კონტრიბუცია გადაუხადა, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა თავს უფლება მისცა, გამარჯვების მთავარი შემოქმედი, რუსეთის არმიის სარდალი, გენერალი პასკევიჩი მილიონი მანეთით დაეჯილდოებინა). რაც მთავარია, 1826—1828 წლების რუსეთ-ირანის ომის შედეგად ირანი სამუდამოდ გააძევეს ამიერკავკასიიდან.**

ორწლიანმა ომმა, რომელიც ირანის კატასტროფით დასრულდა, და თურქმანჩაიში დადებულმა სამარცხვინო ზავმა, დიდი მღელვარება გამოიწვია ირანში. შაჰისა და მაღალი საულიერო წრეების აგენტებმა ეს მღელვარება რუსეთის საელჩოსკენ მიმართეს. ფანატისკოსთა ბრბოსაც დიდხანს არ უყოყმანია და იერიშით აიღო რუსეთის საელჩო. მათ ცოცხალი არავინ დატოვეს, გვამები კი ისე იყო დასახიჩრებული, რომ ელჩის ამოცნობა ადრე დუელში მიღებული ჭრილობით მოხერხდა. თბილისში გრიბოედოვის გადმოსვენება 1829 წლის 17 ივლისს მოხერხდა და რუსი დიპლომატი და მწერალი მთაწმინდაზე დაკრძალეს.

საელჩოს დარბევამ განარისხა **ნიკოლოზ პირველი.** მიუხედავად იმისა, რომ იმხანად რუსეთი ოსმალეთთან აწარმოებდა დიდ ომს, ირანზე გასალაშქრებლად კავკასიაში დამატებით 7 პოლკის გაგზავნის ბრძანება გასცა. ამას არ ელოდა ირანის შაჰი **ფათალი ხანი**, ვინაიდან ფიქრობდა, რომ ოსმალეთთან ომში ჩაბმული ნიკოლოზი სპარსეთისთვის „ვერ მოიცლიდა" და თეირანში ჩადენილ ბარბაროსობას უპასუხოდ დატოვებდა, ამიტომ სპარსეთის შაჰმა, სასწრაფოდ აფრინა დიდძალი ფულითა და ძვირფასი ძღვენით დატვირთული ელჩები პეტერბურგში და რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს პატიება სთხოვა. შერიგების ნიშნად უძვირფასესი, ინდოეთში ნაპოვნი 88-კარატიანი ალმასის ქვა გაუგზავნა (იმპერატორმა ნიკოლოზმა საჩუქარი მიიღო, რომელიც დღესაც რუსეთის ალმასის ფონდშია დაცული). მართალია, შაჰმა შეძლო განრისხებული ნიკოლოზის გულის მოლბობა, მაგრამ ირანს რუსეთის საელჩის დარბევა ფინანსური თვალსაზრისით ისე ძვირი დაუჯდა — ხაზინა დაცარიელდა და ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო.

* 1923 წელს ლოზანაში მოკლეს საბჭოთა კავშირის ელჩი იტალიასა და შვეიცარიაში — **ვაცლავ ვოროვსკი.** მკვლელობა თეთრგვარდიელთა იატაკქვეშა სამხედრო დაჯგუფების წევრმა **მორის კონრადიმ** განახორციელა. მართალია, ვოროვსკის მკვლელობის მიზეზად შვეიცარიასა და საბჭოთა რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური პროექტების ჩაშლა დასახელდა, მაგრამ ეს მხოლოდ მედლის ერთი მხარე იყო. ამ მკვლელობის უკან ინგლისის სპეცსამსახურის კვალი იკვეთება. ვინაიდან დასავლეთს რუსეთის ზურგს უკან სურდა თურქეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა (ყველაზე მეტად ინგლისს არ უნდოდა რუსეთის დელეგაციის დაშვება ლოზანას კონფერენციაზე), ვოროვსკი კი თავისი აქტიურობით ხელს უშლიდა მათ ათათურქის მთავრობასთან სეკულარული გარიგებების დადებაში. შეუძლებელი ხდებოდა ლოზანის კონფერენციიდან რუსეთის დელეგაციის „მოტეხვა", ამიტომ დღის წესრიგში დადგა რუსეთის ელჩის ლიკვიდაციის საკითხი, თანაც ეს ისე განხორციელდა, რომ ეს ტერაქტი თეთრგვარდიელთა „შურისძიებად" შეფასდა, ხოლო მისი დამკვეთები კულისებს მიღმა დარჩნენ. ამ მკვლელობამ ინგლისს ისეთი შედეგი მაინც ვერ მოუტანა, როგორისაც ელოდა. მართალია, ლოზანის კონფერენციაზე ათათურქის წარმომადგენელი ისეთი ძლიერი მოკავშირის გარეშე დარჩა, როგორიც რუსეთი იყო, მაგრამ დასავლეთის ქვეყნებმა მაინც ვერ შეძლეს თურქეთის საკითხზე საერთო კონსესუსის მიღწევა და ქვეყანა დაშლას გადაურჩა.

**ვანო სულორი**



**მარკ ტვენი**

**(სემიუელ ლენგჰორნ კლემენსი) (1835–1910), ამერიკელი მწერალი.**

თავის გამხნევების საუკეთესო საშუალებაა, ვინმე გაამხნევო.

* * *

**ბანკირი ის ადამიანია, რომელიც სიამოვნებით გათხოვებს ქოლგას, როცა ცა მოწმენდილია და წაგართმევს იმავე ქოლგას, როცა წვიმს.**

* * *

არსებობს სიცრუის სამი სახეობა: სიცრუე, თავხედური სიცრუე და სტატისტიკა.

* * *

**ხმაური არაფერს ამტკიცებს – ქათამი ისე კრიახობს, თითქოს, კვერცხი კი არა, პატარა პლანეტა დაედოს.**

* * *

პატარა წერილის დასაწერად დრო არ მყოფნის, ამიტომაც დიდ წერილებს ვწერ.

* * *

**სჯობს დახურო პირი და ჩანდე სულელი, ვიდრე გააღო და ყველა ამაში დარწმუნდეს.**

* * *

ღვთის შეწევნით მონიჭებული გვაქვს სიტყვის, სინდისის თავისუფლება: მაგრამ ჩვენ გვაქვს, აგრეთვე, გონიერება, რომელიც გვკარნახობს, რომ უმჯობესია, ნაკლებად გამოვიყენოთ ისინი.

* * *

**ყოველ ადამიანს აქვს მთვარესავით გაუნათებელი ერთი მხარე, რომელსაც არავის აჩვენებს.**

* * *

თქვენ გჭირდებათ მხოლოდ უვიცობა და თავდაჯერებულობა და წარმატება გარანტირებული გაქვთ.

* * *

**სამოთხეში კარგი კლიმატია, ჯოჯოხეთში — კარგი საზოგადოება.**

* * *

ისე არაფერი უბიძგებს ადამიანს ფულის მოპარვისკენ, როგორც საშინელი სიღატაკე ან დიდძალი სიმდიდრე.

* * *

**წმინდა ძროხებისგან კარგი ჰამბურგერები გამოდის.**

* * *

კლასიკა — ეს არის ის, რაც ყველას უნდა, რომ წაკითხული ჰქონდეს, მაგრამ არავის უნდა წაკითხვა.

## იცით თუ არა, რომ:



**ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული პირველად 354 წლის 25 დეკემბერს აღუნიშნავთ.**



**საბჭოთა ხელისუფლებას საშობაო ნაძვის ხე „ბურჟუაზიულ გადმონაშთად" ჰქონდა გამოცხადებული და 1918 წელს სახლში მისი დადგმა კანონით აიკრძალა. ეს აკრძალვა 1934 წელს გაუქმდა, სწორედ მაშინ გაჩნდა ნაძვის ხის შობის ნაცვლად ახალ წელს დადგმის იდეა, ხოლო ბეთლემის ვარსკვლავი ხუთქიმიან საბჭოთა ვარსკვლავად იქცა და 1935 წელს ქვეყანა მორთული ნაძვებით გალამაზებული შეხვდა.**



**პირველი ქრისტიანები უარყოფითად ეკიდებოდნენ ახალი წლის აღნიშვნას. მათ მიაჩნდათ, რომ ეს კერპთაყვანისმცემლური ადათი იყო. ამის გამო, 692 წელს კონსტანტინოპოლის წმინდა სინოდმა ოფიციალურად მოუწოდა ქრისტიანულ სამყაროს, მონაწილეობა არ მიეღოთ ამ ზეიმში. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლები IX საუკუნემდე ახალი წლის დადგომას 25 მარტს — „ცოდვების გამოსყიდვის დღეს" — აღნიშნავდნენ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრამპის მისწრაფება, დაუახლოვდეს რუსეთს აშშ-ისთვის ჭეშმარიტად რევოლუციური მოვლენაა. ნავთობი ძვირდება. ეს მოსკოვს დაეხმარება, თავი გაართვას უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს. შეიძლება რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გაუქმების მოწმენიც გავხდეთ, ყოველ შემთხვევაში, ამერიკის მხრიდან, თუ, რა თქმა უნდა, ტრამპი წინასაარჩევნო დაპირებას შეასრულებს. თავის მხრივ, ეს მნიშვნელოვანი მოტივაცია იქნება ფრანსუა ფიიონისთვის (ცნობილია მისი პრორუსული პოზიცია), თუ მას საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩევენ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით (ასევე, სირიაში ვითარების შეცვლისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნად რექს ტილერსონის დანიშვნის), 2017 წელი რუსეთის წელიწადია.**



## Atlantico:

# 2017-ის გეოპოლიტიკური ტენდენციები — ეს იქნება რუსეთის წელიწადი

**გეოპოლიტიკის სპეციალისტი, „ფრანს სუარისა“ და „ლიბერალის“ სარედაქციო სვეტების ავტორი ალექსანდრ დელ ვალი მიიჩნევს, რომ 2017 წელი საერთაშორისო ასპარეზის მთავარ პოზიციებზე რუსეთის ტრიუმფალური დაბრუნების პერიოდი შეიძლება იყოს.**

ეს დაბრუნება, — წერს იგი, — ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო, რაც უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია რუსების მიერ ოპოზიციონერი ისლამისტებისა და ჯიჰადისტებისგან სირიის მნიშვნელოვანი ნაწილის გათავისუფლებასთან. ეს რუსებს საშუალებას აძლევს, დაიკავონ მტკიცე პოზიციები მოლაპარაკებების დროს და დაამტკიცონ საკუთარი პროგრამა. გარდამავალი პროცესი სირიაში უფრო გაძლიერდება, რაშიც ტონის მიმცემი რუსეთი იქნება. ამას გარდა, დონალდ ტრამპის ამერიკის ხელისუფლებაში მოსვლით, როგორც ჩანს, იანვართებერვალში ჩამოყალიბდება რუსეთისთვის სასურველი „პანდასავლური“ პოზიცია. ეს მოსკოვს მისცემს საშუალებას, ფეხი მოიკიდოს საერთაშორისო სარბიელზე, როგორც მნიშვნელოვანმა მოთამაშემ და მიუახლოვდეს აშშ-თან დიპლომატიურ პარიტეტს.

ტრამპის მისწრაფება, დაუახლოვდეს რუსეთს აშშ-ისთვის ჭეშმარიტად რევოლუციური მოვლენაა. ნავთობი ძვირდება, ეს მოსკოვს დაეხმარება, თავი გაართვას უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს. შეიძლება რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გაუქმების მოწმენიც გავხდეთ, ყოველ შემთხვევაში, ამერიკის მხრიდან, თუ, რა თქმა უნდა, ტრამპი წინასაარჩევნო დაპირებას შეასრულებს. თავის მხრივ, ეს მნიშვნელოვანი მოტივაცია იქნება **ფრანსუა ფიიონისთვის** (ცნობილია მისი პრორუსული პოზიცია), თუ მას საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩევენ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით (ასევე, სირიაში ვითარების შეცვლისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნად **რექს ტილერსონის** დანიშვნის), 2017 წელი რუსეთის წელიწადად მოგვევლინა.

რეგიონულ დონეზე შესაძლებლად მიმაჩნია ირანის დაბრუნება საერთაშორისო ასპარეზზე „ისლამური სახელმწიფოსგან“ ერაყის გათავისუფლების ფონზე. ყველაზე მეტს ქურთები წააგებენ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი პუტინთან მოლაპარაკების მომხრე დარჩება და მათ (თურქებს) მარწუხებში მოაქცევს. „არაბული გაზაფხულიდან“ და მისგან გამოწვეული ქაოსიდან გამომდინარე, ქურთებს დამოუკიდებლობის მოპოვების დიდი იმედი გაუჩნდათ, მაგრამ ამჟამად ისინი შეიძლება დამუხრუჭდნენ, რადგან ქურთებს უახლოეს მომავალში შეიძლება გადაეღობოთ დიპლომატიური წარუმატებლობა, ხოლო ქურთისტანის დამოუკიდებლობის ბოლო პერიოდში გამოკვეთილი პროცესის ფორმირება შეიძლება შენელდეს.

2017 წლის ყველაზე დიდ გამოცანად, ეტყობა, **ჩინეთი** დარჩება. დაუპირისპირდება იგი ტრამპს, თუ სიტუაცია პრაგმატული ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრდება, რომელზეც ჩინეთის ხელმძღვანელობის ზოგიერთი წარმომადგენელი ლაპარაკობდა, რომლებსაც მოეწონათ ტრამპის მისწრაფება — უარი თქვას თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რომელიც ჩინეთს ხელს არ აძლევს?

მნიშვნელოვანი ტენდენცია შეიმჩნევა **ლათინურ ამერიკაში**, კერძოდ, თანდათან სუსტდება 2000-იანი წლების დასაწყისში ძალამოკრებილი მემარცხენეთა მოძრაობა (ჩავიზმი, ბოლივარიზმი, ნეოპერონიზმი და ა.შ.). აშკარაა ლიბერალებისა და მემარჯვენეების ასპარეზზე დაბრუნება (ბრაზილია, არგენტინა, სულ ახლო მომავალში — ვენესუელა და ა.შ.).

დასასრულ, გახმაურებულ ბედნიერ გლობალიზაციასთან ერთად თვალშისაცემია „დეგლობალიზაციის“ ტენდენცია. ეს არ ნიშნავს, რომ გლობალიზაციამ თავისი დრო მოჭამა: საქმე ეხება სუვერენიტეტისკენ, პოპულიზმისკენ, პროტექციონიზმისკენ დაბრუნებას და ეკონომიკაში, იდეოლოგიასა და პოლიტიკაში „დეგლობალიზაციისა“ და მოთხოვნების დამკვიდრებას (პოპულისტური მოვლენები ჩინეთსა და აშშ-ში, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების კრიტიკა და ა.შ.). ასეთ დასკვნამდე მიდიან წამყვანი ეკონომისტები: **ხალხი მიხვდა, რომ გლობალიზაციას მხოლოდ დადებითი მხარე არ აქვს... ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანები მასობრივად უბრუნდებიან რეალურ პოლიტიკას (რუსეთი, აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და სხვა ქვეყნები).**

**ხალხი მიხვდა, რომ გლობალიზაციას მხოლოდ დადებითი მხარე არ აქვს... ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანები მასობრივად უბრუნდებიან რეალურ პოლიტიკას (რუსეთი, აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და სხვა ქვეყნები)**



## The Wall Street Journal:

# საფრანგეთი გვანიშნებს, რომ მზად არის რუსეთისკენ შესაბრუნებლად

**საფრანგეთის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის ფავორიტები მხარს უჭერენ პარიზსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის განმტკიცებას.**

როცა გაზაფხულზე საფრანგეთი თავის ახალ პრეზიდენტს აირჩევს, პუტინი ევროპის გულში მოკავშირეს გაიჩენს.

ორივე წამყვანი კანდიდატი — **ფრანსუა ფიიონი** და **მარინ ლე პენი** დაუძინებელი მტრები არიან სანქციებისა, რომლებიც რუსეთს დაუწესეს უკრაინის ნაწილის ანექსიისა და ქვეყნის აღმოსავლეთში ამბოხებულების მხარდაჭერისთვის.

ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვება ევროკავშირის მიერ დაწესებულ ანტირუსულ სანქციებს გაუქმებით დაემუქრება. ეს სანქციები რუსეთის აგრესიის შემაკავებელი კონტინენტური სტრატეგიის ქვაკუთხედია. თუ გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გვპირდება მოსკოვთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, დასავლეთის კონსესუსი მოსკოვის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისა შეიძლება ჩამოინგრეს.

ფრანსუა ფიიონმა ცოტა ხნით ადრე, სანამ მემარჯვენე ცენტრისტების პრაიმერიზში გაიმარჯვებდა, უმკაცრესად გააკრიტიკა სანქციების პოლიტიკა, **„...რომელმაც არაფერი შეგვმატა, გარდა იმისა, რომ გააღატაკა ფრანგი ფერმერები, რუსეთს კი დიპლომატიური შეცდომებისკენ და, ამავე დროს, აზიისკენ უბიძგა“**. ასე შეაფასა მან მოსკოვის საპასუხო ემბარგო, ევროპელი ფერმერებისთვის რომ დააწესა. „მიმაჩნია, რომ ეს პოლიტიკა ჩავარდა“, — დაასკვნა მან.

ორ კანდიდატს შორის მარინ ლე პენი პუტინის უფრო აშკარა მომხრეა, მაგრამ პრეზიდენტად მაინც ფიიონს აირჩევენ. ფრანგი ექსპერტების შეფასებით, „ლე პენთან შედარებით, ფიიონი არც ისე ცუდია“.

წლების განმავლობაში ფიიონი პუტინთან ურთიერთობდა. 2007 წლიდან მოყოლებული, ისინი არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს, როცა ფიიონს პრეზიდენტ სარკოზის მთავრობაში პრემიერმინისტრის თანამდებობა ეკავა. 2013 წელს ფიიონი საპატიო სტუმრად მიიწვიეს რუსეთში პუტინის მიერ ორგანიზებულ პოლიტიკოსთა შეხვედრაზე.

რუსეთთან ურთიერთობა საფრანგეთის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გახდა. ბოლო პერიოდში ფიიონი ცდილობს, მინიმალურად შეამციროს კონტაქტები პუტინთან, ამით ხაზს უსვამს, რომ ისინი მეგობრები არ არიან. იგი წარმოგვიდგენს თავის პოზიციას რუსეთის მიმართ, როგორც პრაგმატულ აუცილებლობას და იმეორებს, რომ ეს ქვეყანა დიდი და ძლიერია და მასთან მტრობა უაზრობაა.

## Daily Mail:

# კემერონი შეიძლება ნატოს გენერალური მდივანი გახდეს



**დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერმინისტრ დევიდ კემერონს ნატოს გენერალური მდივნობის რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ.**

მის კანდიდატურას იმით ასაბუთებენ, რომ დიდი ბრიტანეთი, „სამხედრო თვალსაზრისით, ნატოს ყველაზე მნიშვნელოვანი“ წევრი ქვეყანაა აშშ-ის შემდეგ. ოფიციალური ლონდონისთვის უკიდურესად აუცილებელია, ჰყავდეს თავისი მოქალაქე ალიანსის გენერალურ მდივნად, რათა გაცილებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევროპის უშიშროების საქმეში და მოკავშირეებს თავისი მნიშვნელობა დაანახვოს ბრექსიტის მომდევნო პერიოდში.

ბრიტანეთის ერთ-ერთი მინისტრის თქმით, აუცილებელია, „დაარწმუნონ კემერონი, იბრძოლოს ბრიტანეთისთვის“, რადგან მას ამ თანამდებობაზე ყოფნისას „ბევრი რამის გაკეთება შეუძლია“.

**Ruposters**-ის ცნობით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ აშშ-მა არ უნდა გადახედოს თავის ურთიერთობას ნატოსთან.

„საკვირველია, რამდენმა ადამიანმა დაივიწყა, როგორ დავამარცხეთ ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომში. მარტო ჩვენ არ გაგვიმარჯვია, აშშ და დიდი ბრიტანეთი გაერთიანდა სტალინთან, რათა დაემარცხებინათ ჩვენი საერთო მტერი — მესამე რაიხი. დღეს რადიკალური ისლამი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ისეთივე საშიშროებაა, როგორიც ჰიტლერი იყო 1941 წელს“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

The Guardian:

# რას უმზადებს ევროპას 2017 წელი?

**2016 წელმა გვიჩვენა, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და, სანამ კონტინენტზე მძლავრობს ანტიგლობალისტური მისწრაფებანი, ჰორიზონტზე შეიძლება გამოჩნდეს ახალი ცვლილებები, — წერს „გარდიანის“ მიმომხილველი.**




ევროპა მოიგონებს 2016-ს, როგორც კოშმარულ წელიწადს — საშინელ ტერაქტებს ბრიუსელში, ნიცასა და ბერლინში; შერცხვენასა და თავის მოჭრას კალეში და ბრექსიტის მიწისძვრას. სამწუხაროდ, ბრექსიტმა შეიძლება გაიმეოროს ეს ყველაფერი.

მაგრამ მოვლენები შეიძლება სხვაგვარადაც განვითარდეს, ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ წელს მოვლენების განვითარების ორ სცენარს.

### მეორედ მოსვლის ვარიანტი

წლის დასაწყისში კიდევ ერთი სისხლიანი ტერაქტი თურქეთში კარგს არაფერს დააბედებს კონტინენტს. ეს ხელს აძლევს **ჰერტ ვილდერსს**, ჰოლანდიის უკიდურეს მემარჯვენე კანდიდატს: მარტის საყოველთაო არჩევნებში იგი უთუოდ გაიმარჯვებს.

თითქმის ერთი თვის შემდეგ — 23 აპრილს საფრანგეთში გასამართი ფრიად მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო არჩევნების წინ თურქეთის პრეზიდენტ **რეჯეფ თაიფ ერდოღანს** ევსება მოთმინების ფიალა.

მიგრანტების ევროპაში არალეგალურად გადამყვანი კრიმინალების წინააღმდეგ გასახორციელებელი ღონისძიებების საფასურად ბრიუსელი ერდოღანს დაჰპირდა 3 მილიარდ დოლარს (თურქეთს თავის ტერიტორიაზე უნდა მიეხედა 3 მილიონი ლტოლვილისთვის), თურქეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას და პროგრესს ევროკავშირში მისი მიღების საქმეში.

მაგრამ ევროპა გაოგნებულია ერდოღანის რეპრესიული რეაქციით ივლისის სახელმწიფო გადატრიალების გამო. ევროპარლამენტის წევრები მოუწოდებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების დედაქალაქებს, გაყინონ მოლაპარაკება თურქეთის წევრად მიღების თაობაზე. ვერ თანხმდებიან იმ საკითხშიც, შეასრულა თუ არა თურქეთმა უვიზო რეჟიმის მისანიჭებლად ყველა მოთხოვნა.

აქედან გამომდინარე, **ერდოღანი გადაწყვეტს, რომ კარგი მომენტი დადგა საზღვრების გასახსნელად და თურქეთში მყოფი ასიათასობით გამწარებული ლტოლვილისა და მიგრანტის ევროკავშირის ქვეყნებში წასვლის შესაძლებლობის მისაცემად. ბევრი, უმეტესად ახალგაზრდები, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდნენ.**

როცა საფრანგეთი არჩევანის წინაშე დადგება, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოკითხვებით კონსერვატორი **ფრანსუა ფიიონი** უსწრებს **მარინ ლე პენს**, სწორედ ეს უკანასკნელი, რადიკალური მემარჯვენე, ანტიიმიგრაციული ეროვნული ფრონტის კანდიდატი გაიმარჯვებს, ოღონდ მეორე ტურში.

ივნისის რიგგარეშე არჩევნებში **„ხუთი ვარსკვლავის“** მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ისტებლიშმენტის წინააღმდეგ, **იტალიის** ხელისუფლების სათავეში მოდის.

ძალაგამოცლილი **ანგელა მერკელი** აგებს ფედერალურ არჩევნებს გერმანიაში.

დონალდ ტრამპის მაგალითისამებრ პროტექციონისტური ევროპული მთავრობები უარს ამბობენ მრავალმხრივ სავაჭრო შეთანხმებებზე და ჩაკეტავენ თავიანთი ქვეყნების საზღვრებს. ნიდერლანდებსა და საფრანგეთში **ვილდერსი** და **ლე პენი** გადაწყვეტენ რეფერენდუმების ჩატარებას ნექსიტისა და ფრექსიტის საკითხებზე; იტალიაში კი გაისმება მოწოდებები ლირის დასაბრუნებლად რეფერენდუმის მოწყობის თაობაზე.

დასასრულ, ერთმანეთს ყელში წვდებიან ევროზონის მოვალეები და კრედიტორები; მაშინ, როცა გაუბედურებულ, დასუსტებულ და სულ უფრო გათიშულ ევროკავშირს ემუქრება დაშლა თუ არა, უკეთეს შემთხვევაში, რეფორმირება. საბერძნეთი კვლავ იმეორებს: „არ მაქვს გადახდის საშუალება, არ გადავიხდი“! ბერლინი და ბრიუსელი კი უპასუხებენ: „არავითარი საფინანსო დახმარება აღარ იქნება“.

### ზემოჩამოთვლილთაგან გარდაუვალი არაფერია

ევროპაში პოლიციასა და დაზვერვის სამსახურებს შესწევთ უნარი, გახსნან და აღკვეთონ ტერორისტული შეთქმულებები, ხოლო ერდოღანმა შეიძლება დაასკვნას, რომ მის გრძელვადიან ინტერესებს, საბოლოო ჯამში, არ შეესაბამება ევროპის ჩაძირვა სასიკვდილო კრიზისში.

ამ კონტინენტმა, ეტყობა, პოპულიზმის მწვერვალს მიაღწია, რაზეც მეტყველებს მემარცხენეებისკენ გადახრილი **ალექსანდრე ვან დერ ბელენის** გამარჯვება უკიდურესად მემარჯვენე **ნორბერტ ჰოფერზე** ავსტრიის საპრეზიდენტო არჩევნებში.

ბრექსიტით გამოწვეული ქაოსით შეძრწუნებული, ტრამპის ღრმად მადესტაბილებელი მოსვლით გაოგნებული ევროპელი ამომრჩევლები შეიძლება უფრო ყურადღებით დააკვირდნენ უკიდურესად მემარჯვენე პარტიების დაპირებებს და მათ ნაცვლად აირჩიონ უსაფრთხოება.

**ნიდერლანდის** სამეფოში არჩევნების წინ ჩატარებული გამოკითხვებით ვალდერსს დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს, მაგრამ არჩევნების დღეს ეს მხარდაჭერა მკვეთრად შემცირდა.

**საფრანგეთში** ჯერჯერობით არავის სჯერა, რომ სასწორი ლე პენის სასარგებლოდ გადაიხრება და ამიტომ ფიიონი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შეარბილებს თავის რადიკალურ წინადადებებს თავისუფალი ბაზრის მიმართ, შეძლებს, დაამტკიცოს გამოკითხვათა შედეგების სისწორე და დამაჯერებლად გაიმარჯვებს.

დაგეგმილი ელექტორალური რეფორმის განხორციელებას იტალიაში შეიძლება მოჰყვეს პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის დაკანონება, რომლის ამოქმედების შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი იქნება ერთი პარტიის მიერ მთავრობის ჩამოყალიბება. „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა“ კი უარს ამბობს ნებისმიერი კოალიციის ფორმირებაზე.

მერკელი გერმანელ ამომრჩევლებს არწმუნებს, რომ მხოლოდ იგი (მერკელი) არის მათი ყველაზე სანდო არჩევანი. საბერძნეთი, როგორც ყოველთვის, ახერხებს სიძნელეების გადალახვას. ევროკავშირს, როგორც იქნა, გაუნათდა გონება და მიხვდა, რომ გადასარჩენად საჭიროა, კონკრეტული პასუხები გასცეს მოქალაქეთა მოთხოვნებსა და შეშფოთებას.

მაგრამ ეს ყველაფერი დაკავშირებულია უამრავ გაურკვევლობასთან — „ვაითუ“, „იქნებ“, „მაგრამ“ და ა.შ. შეშფოთების ქარი ქრის ევროპაში. არ გაგვიკვირდება, თუ მას ემსხვერპლება ისტებლიშმენტის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი.

Independent:

# ბრიტანეთის დედოფალი კინაღამ მისმა მცველმა მოკლა

**დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეტ II კინაღამ შეეწირა თავის უძილობას.**



5 იანვარს, ღამით, დედოფალი უძილობამ შეაწუხა და გადაწყვიტა, ბუკინჰემის სასახლეში გაესეირნა. სასახლის ტერიტორიაზე ამ დროს მორიგე მცველმა შენიშნა სიბნელეში მოძრავი ადამიანი. „ვინ ხარ?“ — შესძახა ახალგაზრდა მცველმა და, როცა უკვე მზად იყო, ჩახმახისთვის თითი გამოეკრა, უცებ გამოერკვა და მიხვდა, რომ „ღამის სტუმარი“ დედოფალი იყო.

**„ეშმაკმა დალახვროს, თქვენო უდიდებულესობავ, კინაღამ გესროლეთ“,** — ძლივს ამოილუღლუღა ნირწამხდარმა მცველმა.

**„ყველაფერი რიგზეა. შემდეგ ჯერზე წინდაწინ დაგირეკავთ, რომ არ მესროლოთ“,** — გაიღიმა დედოფალმა.

გაზეთი წერს, რომ დედოფალს მუქი ფერის პალტო ეცვა და ამიტომ ვერ იცნო მცველმა.

Reuters:

# თურქეთი აპირებს, ინჯირლიყის ბაზიდან გაყაროს აშშ და მისი მოკავშირეები

**თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აპირებს, განიხილოს საკითხი, რამდენად მიზანშეწონილია ინჯირლიყის ნატოს ავიაბაზაზე საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ძალების ყოფნა. ამის შესახებ განაცხადა თურქეთის ვიცეპრემიერმა ვეისი ყაინაყმა. მან ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული საკითხი „თურქეთის მთავრობის დღის წესრიგში იდგა“.** ინჯირლიყის ავიაბაზას იყენებს აშშ-ისა და თურქეთის სამხედრო საჰაერო ძალები და რიგი სხვა ქვეყნები, რომლებიც მონაწილეობენ სამხედრო ოპერაციებში ტერორისტების დაჯგუფებათა წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთსა და ავღანეთში.

Breitbart:

# ცივილიზაციათა დაპირისპირება აშშ-ს რუსეთთან ალიანსს მოსთხოვს

**Breitbart-ის აზრით, რუსეთისა და აშშ-ის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა რადიკალური ისლამიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.**



დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრაზე მოლაპარაკება უნდა იყოს, რომლის დროსაც შეთანხდებიან ფართომასშტაბიანი, კოორდინირებული ბრძოლის კამპანიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.

ალიანსის აუცილებლობა ამ საშიშროებაზე გასამარჯვებლად არა მხოლოდ გონივრული გადაწყვეტილება იქნება, არამედ ისტორიული პრეცედენტებით განმტკიცებულიც.

მხოლოდ სულელი თუ უარყოფს, რომ აშშ რადიკალურ ისლამთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. დღემდე ზოგიერთი ადამიანი არ აღიარებს ამ რეალურ საშიშროებასთან ბრძოლის აქტუალობას, ისევე, როგორც რადიკალური ისლამის ყველა მოწინააღმდეგესთან ალიანსის ფორმირების აუცილებლობას.

საკვირველია, რამდენმა ადამიანმა დაივიწყა, როგორ დავამარცხეთ ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომში. მარტო ჩვენ არ გაგვიმარჯვია, აშშ და დიდი ბრიტანეთი გაერთიანდნენ სტალინთან, რათა დაემარცხებინათ ჩვენი საერთო მტერი — მესამე რაიხი. დღეს რადიკალური ისლამი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ისეთივე საშიშროებაა, როგორიც ჰიტლერი იყო 1941 წელს.

რუსეთიც ომის მდგომარეობაშია რადიკალურ ისლამთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მიმდებარე რეგიონებში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთშიც. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დამტკიცდა ისლამისტების მიერ თურქეთში რუსეთის ელჩის მოკვლით. ეს პასუხი იყო სირიაში რუსეთის მოქმედებაზე, რომლის ტერიტორიაზე მოსკოვი მხარს უჭერს ადგილობრივ მთავრობას ისლამისტი მოთარეშეების წინააღმდეგ ომში.

ცივილიზაციების დაპირისპირება ძლიერდება. აშშ-ისა და რუსეთის შესაძლო ალიანსის კონცეფციამ არავინ უნდა შეაშფოთოს. „ცივი ომი“ დამთავრდა, რუსეთი აშშ-ის იდეური მტერი აღარ არის. პუტინი, მართალია, ჩვენი მეგობარი არ არის, მაგრამ არც დაუძინებელი მტერია, რომელსაც უნდა განვერიდოთ ნებისმიერ ვითარებაში.

აშკარაა, რომ რუსეთისა და ამერიკის ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ასევე აშკარაა, რომ არც ყოველთვის სცილდება. რადიკალური ისლამის შემთხვევაში ისინი თანმხვედრია: რადიკალური ისლამი უნდა განადგურდეს და რაც მალე, მით უკეთესი...

უეჭველია, რუსეთთან ჩვენს დაკავშირებას დემოკრატები და ქვეყნის ისტებლიშმენტი შეეწინააღმდეგება, მაგრამ ორი ქვეყნის ალიანსი, რომლებსაც განზრახული აქვთ „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხება, ამერიკელების მიერ აღქმული იქნება, როგორც უარის თქმა ობამას გაცუდებულ „მემკვიდრეობაზე“.

**გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ**

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამამულო ომის დროს პირველი ქალი, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა (სიკვდილის შემდეგ), ფაშისტების მიერ მხეცურად ნაწამები 18 წლის პარტიზანი ზოია კოსმოდემიანსკაია სულით ავადმყოფად გამოაცხადებინეს ყოფილ ფსიქიატრს, რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე, კერძოდ, ვიქტორ შენდეროვიჩის პროგრამაში „ექიმ-ტვინოლოგად" „მომუშავე", ამჟამად კი ამერიკაში გალაღებულ ანდრეი ბილჟოს.**

# ტვინნაღრძობმა ლიბერალებმა ზოია კოსმოდემიანსკაია შიზოფრენიკად გამოაცხადეს

**რას გვიქადის ცეცხლოვანი მამლის წელიწადი? ისევ ომსა და „ცხელ წერტილებს", რომელთა რაოდენობამ დღევანდელ მსოფლიოში 27-ს მიაღწია? ისევ „წერტილოვან დარტყმებს", ომის წარმოების „კაცთმოყვარულ" მეთოდად რომ იყენებდნენ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში „დიქტატორული რეჟიმების" გასანადგურებლად?**

უკვე გამოჩნდა ნიშნები, რომ, თუ რამ შეიცვლება ამ მიმართულებით, მხოლოდ ტაქტიკური დარტყმების სამიზნეების ჩანაცვლების კუთხით: მატერიალური სივრციდან სულიერ სამყაროში გადანაცვლების, რწმენისა და სულიერ ღირებულებათა მოშლა-განადგურების თვალსაზრისით.

„კოჭლი იხვის" ადმინისტრაცია მოღვაწეობის ვადის ამოწურვის ჟამს დანაღმულ „ობიექტებს" ტოვებს, ალეპოდან გაყრილი ტერორისტების მსგავსად, რაც ფრიად სამწუხაროა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლო პერსპექტივის ფონზე.

განვიხილოთ ერთი კონკრეტული ფაქტი, რომელშიც გმირობის, თავგანწირვის, იდეისთვის თავდადების, სამოქალაქო მოვალეობის შესასრულებლად საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ისტორიული მაგალითი არანორმალურ, ავადმყოფურ, აბსურდულ ქმედებად არის წარმოჩენილი, გალაშქრებად საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ: **„გმირობა არის რელიგია, რწმენის გამოვლენის უმაღლესი ფორმა. ჯოჯოხეთის უკუნეთის დაძლევა სამოთხის ნათებით".**

ახლახან რუსეთს მოუსინჯეს კბილი — სამამულო ომის დროს პირველი ქალი, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა (სიკვდილის შემდეგ), ფაშისტების მიერ მხეცურად ნაწამები 18 წლის პარტიზანი **ზოია კოსმოდემიანსკაია** სულით ავადმყოფად გამოაცხადებინეს ყოფილ ფსიქიატრს, რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე, კერძოდ, **ვიქტორ შენდეროვიჩის** პროგრამაში „ექიმ-ტვინოლოგად" „მომუშავე", ამჟამად კი ამერიკაში გალაღებულ **ანდრეი ბილჟოს** *(იხ. ინტერნეტ-საიტი The Insider-ის 9 დეკემბრის გამოშვება).*

**ეს ბილჟო ირწმუნება, რომ ნახა დოკუმენტები, რომლებშიც დამოწმებულია ზოია კოსმოდემიანსკაიას ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მკურნალობის ფაქტი. ეს ყოფილი ფსიქიატრი ფანტაზიის აფრებს აუშვებს და ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ კოსმოდემიანსკაიას მიერ თანამებრძოლების გაუცემლობა ნებისყოფის უძლიერესი კონცენტრაციის შედეგი კი არ იყო, არამედ სტრესული გარემოებით გაძლიერებული დაავადების — შიზოფრენიის გამწვავების გამოვლენა, კერძოდ, აუტიზმისა, როცა ადამიანს მეტყველების უნარი ეკარგება.**

მაშასადამე, გმირობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

**პროპაგანდისტული ტრიუკია.**

მცირე წიაღსვლა:

ფსიქოლოგები გვასწავლიან, რომ ადამიანებისთვის დამახასიათებელია იდეალიზაციისკენ მისწრაფება. ამის მაგალითებს განათლებული მკითხველი უხვად იპოვის მსოფლიო ლიტერატურაში, ფოლკლორში და, რა თქმა უნდა, მითოლოგიაში.

იდეალიზაცია სჭირდება საზოგადოებას, როგორც მამოძრავებელი ძალა, რომლის გარეშე ბოროტის ძლევა შეუძლებელია.

იდეალიზაციის ნაყოფია სამამულო ომის გმირთა სახეებიც, ხატება მათი, რომლებიც ფაქტებზეა აღმოცენებული და მიჩნეულია მისაბაძ მაგალითად, თაობათა მორალური ჩამოყალიბების ორიენტირად.

ასე იყო ყოველთვის.

**ახლა დესაკრალიზაციაა მოდური — დილეტანტიზმის პროფესიად ქცევის შედეგი, რომელსაც თავს გვახვევენ ნეოკონები და ათასი ჯურის ნეოლიბერალები.**

**მეწუმპეები...**

მაინც რა მოხდა 1941 წლის სუსხიანი ნოემბრის დასასრულს სოფელ პეტრიშევოში?

ამ დასახლებიდან კრემლამდე დაახლოებით ოთხმოცი კილომეტრია. ვერმახტის ნაწილები მოსკოვს უახლოვდებიან.

სტალინი კონტრშეტევისთვის ემზადება. უმაღლესი მთავარსარდლობა თავს უყრის რეზერვებს გადამწყვეტი დარტყმისთვის. გაცემულია ბრძანება, რომ შეტევის მთელ ფრონტზე მტერს მხოლოდ გადამწვარი სივრცე უნდა დახვდეს — ნანგრევები, ნასოფლარები, ნასახლარები. პარტიზანებსა და სპეციალური დანიშნულების რაზმებს უნდა დაეწვათ ყველა შენობა, რომლებიც ფაშისტებს თავშესაფრად შეეძლოთ გამოეყენებინათ.

ყინვაა და თოვლი... და რუსეთის უსიცოცხლო ტრამალები.

ჯგუფს, რომელშიც ზოია კოსმოდემიანსკაია შედიოდა, დაავალეს მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში შეღწევა და აღნიშნული ბრძანების განხორციელება.

სოფელ პეტრიშევოს ერთ სახლში ფაშისტების მეკავშირეთა შტაბი იყო განლაგებული. ამ შტაბის „გამწევი ძალისთვის" — საჯინიბოსთვის ცეცხლის წაკიდებას რომ აპირებდა, მაშინ დააცხრნენ ზოიას რაიხის „მამაცი" მეომრები. ჩასაფრებულები იყვნენ, ადგილობრივი მცხოვრების მიერ გაფრთხილებულები.



**მოხალისეებად ჩავდგეთ ჩვენი რწმენის დაცარიელებული ციხე-გოდოლების დასაცავად, რადგან სიტყვამრუშობისა და უნამუსობის აღორძინებას ცდილობენ ის «აწყვეტილი მამულიშვილები», რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს დედაწულიანად მიაწყდნენ საქართველოს საზღვარს «წითელ ხიდთან»**

ერთი ბოთლი შინნახადი არყით — „სამოგონით" გადაიბირეს იქაური პოლიცაი.

29 ნოემბრის ღამითვე იწყებენ ხელებდაბორკილი გოგონას წამებას, გამეტებით ურტყამენ წიხლებს, ჰგლეჯენ ფრჩხილებს, ერთი ჰიტლერელი წელში მის გადახერხვასაც მოინდომებს, მაგრამ შეაჩერებენ: მკვდრისგან, აბა, რას შეიტყობდნენ?!

ზოია არ გასცემს თანამებრძოლებს.

დილით ფაშისტები ხალხს შეჰყრიან ეშაფოტთან, სოფლის ცენტრში, ადგილობრივებს. სახრჩობელაზე აიყვანენ ზოიას.



სიკვდილით დასჯის დოკუმენტური კადრი

**— სტალინი მოვა, სტალინი შურს იძიებს! — ეს იყო მისი სიკვდილისწინა შეძახილი.**

მის სხეულს ერთ თვეს დატოვებენ სახრჩობელაზე დაკიდებულს. ახალი წლის წინა ღამეს მთვრალი გერმანელები გასართობ საგნად აქცევენ გოგონას გაყინულ სხეულს — სამიზნედ: ნიშანში ესვრიან, ხიშტებს უყრიან.

**განათლებული ევროპა!..**

ამ ყველაფრის თვითმხილველები იყვნენ იმ სოფლის მკვიდრნი, რომელთა მონათხრობით აღადგენენ ფრონტელი კორესპონდენტები იმდღევანდელი ტრაგედიის სურათს. გაზეთი „პრავდა" ექვსსვეტიან მასალას გამოაქვეყნებს სათაურით „ტანია" (ზოიამ დაკითხვისას თქვა, რომ ტანია ერქვა). 1942 წლის 18 თებერვალს კი იბეჭდება მეორე ნარკვევი: „ვინ იყო ტანია" — მოსკოვის ერთ-ერთი სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ზოია ანატოლის ასული კოსმოდემიანსკაია.

ასე შეიქმნა ლეგენდა ზოიაზე — გმირ ქალიშვილზე, შეიქმნა და გავრცელდა, ვითარცა ნიმუში სამშობლოსთვის თავგანწირვის, ომის პირობებში ასე აუცილებელი გმირის ხატება. ნიშანდობლივია: მისი სკოლელები, ყველა, ვისაც ასაკი უწევდა, მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

ასეთია სიმართლე.

**ისტორიის წამბილწველნი, ბილჟოსნაირი მორალისტები კი ხან იმას აცხადებენ, რომ იმ სოფელ პეტრიშევოში გერმანელები საერთოდ არ ყოფილან, მაშასადამე, არც არავინ დაუტყვევებიათ, ხან — ადამიანი კი არ ჩამოუხრჩვიათ, არამედ „ცალკეული ექსპონატი".**

**შიზოფრენიით იყოო დაავადებული...**

მე რა მაწუხებს?

ის, რომ **ტვინების ამორეცხვის ინფორმაციული ტალღა ჩვენც გადმოგვწვდება. ცნობილი ამერიკელი ქორის, სენატორ მაკკეინის საქართველოში საახალწლო ვიზიტი ამის მანიშნებელი უნდა იყოს. ნაპოლეონ ბონაპარტი ამბობდა, რომ „მეხსიერებადაკარგული თავი გარნიზონის გარეშე მიტოვებულ ციხესიმაგრესა ჰგავს!"**

**ისტორიის წამბილწველნი, ბილჟოსნაირი მორალისტები კი ხან იმას აცხადებენ, რომ იმ სოფელ პეტრიშევოში გერმანელები საერთოდ არ ყოფილან, მაშასადამე, არც არავინ დაუტყვევებიათ, ხან — ადამიანი კი არ ჩამოუხრჩვიათ, არამედ «ცალკეული ექსპონატი»**

გადმოგვწვდება თუნდაც იმიტომ, რომ ზოიას მსგავსი მაგალითი ქართველებსაც გვაქვს გმირი ქართველი გოგონას, თხუთმეტი წლის ლეგენდარული **ირინა სხირტლაძის** სახით, რომლის თავგანწირვას ბრწყინვალე ლექსი უძღვნა ჯანსუღ ჩარკვიანმა — „ირინოლა". ამ ლექსის პოეტური რეფრენი, აფორიზმად ჩამოსხმული, ყველა ჭეშმარიტი ქართველის გულის ფიცარზეა ამოტვიფრული: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი":

**„მხოლოდ ცეცხლში,**
**მხოლოდ ცეცხლში,**
**ცეცხლში გამოიცადა,**
**პოლონეთში, პოლონეთშიც**
**საქართველოს იცავდა.**
**აჯანყდა და მტერი ხოცა,**
**ბინად ჰქონდა სანგარი,**
**საქართველოვ,**
**შენ ვინ მოგცა**
**შვილი დასაკარგავი...**
**ბოვინსკაში თეთრი გორა**
**მოუჩითავთ გვირილებს,**
**ირინოლა, ირინოლა,**
**ირინოლა, ირინე!"**

გავიხსენოთ! და **მოხალისეებად ჩავდგეთ ჩვენი რწმენის დაცარიელებული ციხე-გოდოლების დასაცავად, რადგან სიტყვამრუშობისა და უნამუსობის აღორძინებას ცდილობენ ის „აწყვეტილი მამულიშვილები", რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს დედაწულიანად მიაწყდნენ საქართველოს საზღვარს „წითელ ხიდთან".**

**„... და სარცხვენელზე**
**აფარებულ**
**ლეღვის ფოთოლზე**
**ამოქარგული სიტყვა**
**მოჩანს:**
**„დემოკრატია",** — გვეუბნება აფორისტული აზროვნების უბადლო ოსტატი რეზო ამაშუკელი და მოგვიწოდებს:

**„როდემდე ვდიოთ**
**ამ ჩლიქოსნებს,**
**ამ ხვთით ნაკლულებს,**
**ამ მანქურთებს,**
**ამ საჭურისებს?!"**

**არმაზ სანებლიძე**



**სამოქალაქო ომიდან და ქვეყნის ყველა ურთულესი უბნიდან გამარჯვებით დაბრუნებული სტალინის ავტორიტეტი უსწრაფესად იზრდებოდა და მას ბოლშევიკთა უმრავლესობა ბელადად აღიარებდა. სწორედ ამ სწრაფად მზარდი ავტორიტეტის შესაჩერებლად დანიშნეს ლენინმა და ტროცკიმ ერთმანეთში მოლაპარაკების შემდეგ სტალინი სტატისტის როლის შემსრულებლად — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, უბრძანა მწერლებს, პოეტებსა და მასმედიის წარმომადგენლებს, რაც შეიძლება მეტი ჭუჭყი და ტალახი ესროლათ სტალინის სახელისთვის, ამ დაქირავებულმა ბრალმდებლებმა რაში აღარ დაადანაშაულეს ზემძლავრი სახელმწიფოს შემქმნელი და მისი უბადლო მხედართმთავარი და წინამძღოლი:**

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი



„სტალინი — ძალაუფლების პათოლოგიური მოყვარული“; „სტალინი — პარანოიკი“; „სტალინი — გაუნათლებელი, გარყვნილი და მორალურად არამდგრადი“; „სტალინი — მეფის ოხრანკის აგენტი“; „სტალინი — ადამიანის სისხლისმოწყურებული“ და სხვ.

გავიდა ისტორიისთვის მცირე დრო და ყველა ეს მონაჩმახი და ნალაყბევი წყალმა წაიღო — ამ ბრალდებებიდან საზოგადოებას არაფერი დარჩა დოკუმენტურად დადასტურებული, ხოლო არქივებზე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნის შემდეგ ნათელი შეიქნა, რას უმზადებდნენ საბჭოეთის ხელმძღვანელები საზღვარგარეთის ფარულ მმართველებთან ერთად სტალინის ნეშტსა და სახელს.

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, მეცნიერი და მწერალი **გროვერ ფერი** თავის სქელტანიან წიგნში ,,ანტისტალინური სისაძაგლე“, რომელშიც გაანალიზებული აქვს სკკპ XX ყრილობაზე **ნიკიტა ხრუშჩოვის** მიერ სტალინისთვის წაყენებული 61 ბრალდება, საარქივო მასალებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენებაში წამოყენებული ,,61 ბრალდებიდან არც ერთი არ შეიცავს სინამდვილის მარცვალს“, ვიმეორებ: არც ერთი!

„სტალინი თანამდებობისთვის ბრძოლის პათოლოგიური ჟინით რომ არ იყო შეპყრობილი, ამას ისიც ამტკიცებს, რომ 1927 წლამდე სტალინმა სამჯერ დააყენა პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან გადადგომის საკითხი, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა სამჯერვე ერთხმად უარყვეს. მეოთხედ — სტალინმა გენერალური მდივნის პოსტის გაუქმება მოითხოვა, რათა სამდივნოში ყველა მდივანი ერთნაირ პირობებში ყოფილიყო, მაგრამ სტალინის ეს წინადადებაც უარყოფილი იქნა“, — წერს ფერი.

1922 წელს, როდესაც სტალინს გენერალურ მდივნად ირჩევდნენ, მას ყველაზე აქტიურად მხარს უჭერდა მისი უშუალო მტერი **ლევ ტროცკი,** რომელსაც, როგორც ქვეყანაში მეორე თანამდებობის პირს (ტროცკი იყო პოლიტბიუროს წევრი და სსრკ-ის შეიარაღებული ძალების სახალხო კომისარი — გრ. ონიანი), სურდა, სტალინი თავისი მმართველობისთვის დაექვემდებარებინა. ტროცკიმ იცოდა, როგორი გულმოდგინებით ასრულებდა სტალინი დაკისრებულ მოვალეობას და, თუ მას ქანცგამცლელი სამუშაოების შესრულებას დაავალებდნენ, სტალინი აქტიურ პოლიტიკაში ჩასართველად ვეღარ მოიცლიდა.

მკითხველს, ალბათ, გაუკვირდება — რა, საბჭოთა კავშირის გენერალური მდივნობა თავისთავად პოლიტიკური თანამდებობა არ არისო?! მაგრამ გიპასუხებთ, რომ ეს თანამდებობა სტალინმა გახადა ესოდენ სახელოვანი და ძლიერი, სტალინამდე ამ პოსტზე **იაკობ სვერდლოვის** მეორე ცოლი **კლავდია ნოვგოროდცევა** მუშაობდა.

სამოქალაქო ომიდან და ქვეყნის ყველა ურთულესი უბნიდან გამარჯვებით დაბრუნებული სტალინის ავტორიტეტი უსწრაფესად იზრდებოდა და მას ბოლშევიკთა უმრავლესობა ბელადად აღიარებდა. სწორედ ამ სწრაფად მზარდი ავტორიტეტის შესაჩერებლად დანიშნეს **ლენინმა** და ტროცკიმ ერთმანეთში მოლაპარაკების შემდეგ სტალინი სტატისტის როლის შემსრულებლად — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად. სტალინს თანამდებობა არ სჭირდებოდა, რადგან ის პარტიისა და ხალხისთვის უკვე ბელადი იყო. ამ გენიოს კაცს 1941 წლამდე არ ჰქონდა არავითარი ძირითადი თანამდებობა — არ იყო პრეზიდენტი (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე), არ იყო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოს პირველი ან მეორე პირი, მაგრამ ქვეყნისა და ხალხის ბელადი გახლდათ.

სტალინი ქვეყნის ხელმძღვანელობის კოლექტიური ორგანოს — პოლიტბიუროს — თავმჯდომარეც არასოდეს ყოფილა 1941 წლამდე. პოლიტბიუროს სხდომებს თავმჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, როგორც საბჭოეთის პირველი პირი და მეთაური. პოლიტბიუროს სხდომებზე გადამწყვეტი ხმა არავის ჰქონდა, ის მართვის კოლექტიური ორგანო იყო და მმართველობაც ერთობლივი იყო.

მაგალითად, 1928 წელს, როდესაც გამჟღავნდა დონბასელი მეშახტეების მავნებლური ქმედება, პასუხისგებაში მისცეს 53 კაცი. სასამართლომ 4 კაცი უდანაშაულოდ ცნო და სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლა. 11 კაცს მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა. მათგან 6 უმაღლესმა საბჭომ შეიწყალა, 5-ს კი უმაღლესი სასჯელი დაუტოვა. პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინმა შეიტანა წინადადება, შეეწყალებინათ დანარჩენი 5 კაციც, მაგრამ პოლიტბიურომ სტალინის წინადადება არ გაიზიარა, რადგან **ნიკოლაი ბუხარინმა** დაარწმუნა პოლიტბიუროს შემადგენლობა, რომ მათი შეწყალება შეუძლებელი იყო.

პოლიტბიუროს სხდომებზე დადგენილების ყველაზე დასაბუთებულ პროექტებს წარადგენდა სტალინი, რომლის ღრმაშინაარსიანი განმარტებები, ქმნიდა წინაპირობას, რომ ამ საკითხისთვის მხარი დაეჭირათ. პოლიტბიუროზე წყდებოდა როგორც პარტიის, ისე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საკითხები და ამ საკითხებში ყველაზე გარკვეული და გაბედული იყო სტალინი.

**ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, მეცნიერი და მწერალი გროვერ ფერი თავის სქელტანიან წიგნში ,,ანტისტალინური სისაძაგლე“, რომელშიც გაანალიზებული აქვს სკკპ XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ სტალინისთვის წაყენებული 61 ბრალდება, საარქივო მასალებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენებაში წამოყენებული ,,61 ბრალდებიდან არც ერთი არ შეიცავს სინამდვილის მარცვალს“, ვიმეორებ: არც ერთი!**



გროვერ ფერი

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სტალინს არ ჰქონდა მაღალი თანამდებობა და გადამწყვეტი ხმა, მისი აზრი და პროექტი ყოველთვის იმარჯვებდა, რაც განამტკიცებდა მის ბელადობას პარტიასა და ქვეყანაში.

ხელისუფლების სათავეში რევოლუციით მოსული კომუნისტები, რომლებიც განაგებდნენ ადგილობრივ თუ საკავშირო სამეურნეო თუ პარტიულ საქმეებს, დაუნდობელი იყვნენ სოციალიზმის მტრების მიმართ. მტერი კი ქვეყანას არც გარეთ აკლდა და არც შიგნით.

სახელმწიფოს არ ჰყავდა ჯარი, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა კვალიფიციური ოფიცრებით. მეფის რუსეთის გამოცდილი სამხედროების უმრავლესობა თეთრგვარდიელები და ბოლშეიკების შეურიგებელი მტრები იყვნენ. კონტრრევოლუცია უკან არ იხევდა, ამას ემატებოდა საზღვარგარეთიდან შემოტანილი დიდი რაოდენობით თანხა, რომლითაც საბჭოეთის მტრები საბოტაჟსა და ძირგამომთხრელ საქმიანობას აფინანსებდნენ. ქვეყანა აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. საფრთხის წინაშე იდგნენ ის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა უწყებასა და მხარეს განაგებდნენ. სწორედ ეს ხალხი იყო იმ ბირთვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა და პარტიის ყრილობას იწვევდა.

**პარტიის ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა მორიგ ყრილობამდე არავის და არანაირ ორგანოს არ შეეძლო. ყრილობა კი ირჩევდა საუკეთესოთა შორის საუკეთესო 70 ბოლშევიკ-კომუნისტს, რომლებიც წელიწადში რამდენიმეჯერ იკრიბებოდნენ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების მიმდინარეობის შესამოწმებლად. ცენტრალური კომიტეტის წევრად არჩეული 70 კაცი პარტიის ყოველდღიური საქმიანობის სახელმძღვანელოდ ირჩევდა ცენტრალური კომიტეტის 5 მდივანს, მათგან ერთ-ერთი გენერალური მდივანი იყო.** სამდივნოს გარდა, ცენტრალური კომიტეტის 70 წევრი ირჩევდა პოლიტბიუროს 10 კაცის შემადგენლობით, რომელიც იყო პარტიისა და ქვეყნის მართვის კოლექტიური ორგანო. პოლიტბიუროს მუდმივი წევრები იყვნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და პარტიის გენერალური მდივანი. ცენტრალური კომიტეტის მდივნები შეიძლება ყოფილიყვნენ პოლიტბიუროს წევრები და შეიძლება — არა. **პოლიტბიურო წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მხარის პარტიული ხელმძღვანელი, რომელიმე დიდი უწყების ან სამინისტროს ხელმძღვანელი, სახელგანთქმული მეცნიერი ან კონსტრუქტორი, თუ მათ პროფესიონალიზმს ემატებოდა გამორჩეული ადამიანური თვისებები — პატიოსნება, მორალური სიმტკიცე და გამბედაობა.**

სწორედ ამ ადამიანებს სჭირდებოდათ ძლიერი მხარდაჭერა და პრინციპული მიდგომა საქმისადმი, როცა ჯერ კიდევ ძლიერი შეფარული თუ ღია მტრები ტერორის, შანტაჟისა თუ საბოტაჟის გზით ცდილობდნენ, დაემხოთ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა. პარტიის ერთგული და სამშობლოს პატრიოტი კომუნისტური კოჰორტა კი არ დაუშვებდა სტალინის მეორეხარისხოვან თანამდებობაზე გადასვლას.

მერწმუნეთ, ძვირფასო მკითხველო, რომ **იმჟამინდელი კომუნისტები სრულიადაც არ ჰგავდნენ პოსტსტალინისტური ეპოქის კომუნისტებს, რომლებიც არათუ შეებრძოლნენ თავიანთი წინაპრების აშენებული ქვეყნის დანგრევას, პირიქით — აქტიურად უჭერდნენ მხარს...**

სტალინმა თითქმის ყველა საშინაო საკითხი მოაგვარა და თავის კონტროლს დაუქვემდებარა, მაგრამ რჩებოდა საგარეო საფრთხეები — ქვეყნის იზოლაცია და ომის საშიშროება. 1930-იანი წლები ძალმომრეობისა და ყოველგვარი არაადამიანური მოქმედების პერიოდად დარჩება კაცობრიობის ისტორიაში.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



# პარიზში საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასო გახდა

**მსოფლიოს ისეთ მშვენიერ და რომანტიკულ ქალაქს, როგორიც პარიზია, ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება. ჰაერის დაბინძურების დონე აქ ყველა რეკორდს ხსნის, ადგილობრივი ხელისუფლება კი ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობს.**

იმისათვის, რომ პარიზელებმა საკუთარი მანქანები სახლში დატოვონ, რამდენიმე დღის განმავლობაში მერიამ მათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობა შესთავაზა. ქალაქის მკვიდრნი, ასევე, ერთი დღით უფასოდ იქირავებენ ველოსიპედებსა და ელექტრომობილებს.

უახლოეს მომავალში კი საფრანგეთის დედაქალაქში ძალაში შევა კანონი, რომლის მიხედვით დილის 8-დან საღამოს 8 საათამდე ქალაქში მოძრაობა აეკრძალებათ ძველ და გაურეცხავ მანქანებს. მათი პატრონებისთვის მერია სერიოზული ფასდაკლებით ელექტრული ავტომობილების შეთავაზებას აპირებს. ამასთანავე, 2025 წლისთვის ხელისუფლება დიზელზე მომუშავე ავტომობილების ქალაქში მოძრაობის საერთოდ აკრძალვას გეგმავს, რომლებსაც ეტაპობრივად ალტერნატიული ტრანსპორტით ჩაანაცვლებს.

ბოლოსდაბოლოს, პარიზში გასეირნებას არაფერი აჯობებს. მთავარია, ქალაქმა, როგორც ადრე, თავისუფლად ამოისუნთქოს.

# DataTraveler Ultimate GT — ყველაზე ტევადი მეხსიერების ბარათი მსოფლიოში 2017 წლის თებერვლიდან გაიყიდება



**მსოფლიოში ყველაზე ტევადი მეხსიერების ბარათი კომპანია Kingston-ს ეკუთვნის. მოდელის სახელწოდებაა DataTraveler Ultimate GT, რომელსაც აქვს შტამბეჭდავი მოცულობა — 1 ან 2 ტერაბაიტი.**

მწარმოებელს არ ერიდება იმის განცხადება, რომ მოცემული **მეხსიერების ბარათი** ამჟამად რეკორდსმენია მსგავსი კატეგორიის მოწყობილობებს შორის. მყიდველს თვითონ შეუძლია აირჩიოს, რომელიც ურჩევნია — 1 ან 2-ტერაბაიტიანი.

**მეხსიერების ბარათი** საკმაოდ დიდია, რაც კარგად ჩანს ფოტოდანაც. მოწყობილობა ბაზარზე 2017 წლის თებერვლიდან გამოჩნდება. ფასზე ჯერ არაფერს ამბობენ, მაგრამ, სავარაუდოდ, იაფი ნამდვილად არ ეღირება. ის თავისუფლად დაიტევს თქვენი ნოუთბუქის დისკს მთლიანად, ასევე მოგცემთ შესაძლებლობას, მოგზაურობისას თან იქონიოთ საყვარელი ფილმებისა და მუსიკის მთელი მედიათეკა. მოწყობილობას აქვს მყარი ლითონის კორპუსი, რათა გამოირიცხოს მონაცემთა დაზიანება მოგზაურობისას.

საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, **მეხსიერების ბარათი** აღჭურვილია ექსკლუზიური ინტერფეისით USB 3.1; ასე რომ, თუკი თქვენი ახალი ნოუთბუქი მხოლოდ USB-C-ზე მუშაობს, მოგიწევთ დამატებით შესაბამისი გადამყვანის შეძენა.



სადამ ჰუსეინი



ჯონ ნიქსონი

# აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელმა სადამ ჰუსეინზე სიმართლე ილაპარაკა

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი ჯონ ნიქსონი გამოცემა Daily Mail-ში გამოქვეყნებულ სტატიაში წერს სადამ ჰუსეინის დაკითხვის პროცესზე, რომელსაც ის ერაყის ლიდერის დაკავების შემდეგ აწარმოებდა.**

სწორედ **ჯონ ნიქსონმა** ამოიცნო ამერიკელი სამხედროების მიერ 2003 წლის 13 დეკემბერს დაკავებულ მამაკაცში სადამ ჰუსეინი. ცსს-ს აგენტმა ჰუსეინი ტატუებითა და ჭრილობებით იცნო.

ნიქსონის თქმით, ჰუსეინის დაკითხვისას გაირკვა, რომ ბევრი მონაცემი აშშ-ის სპეცსამსახურებისა, რომლებმაც ერაყის რეჟიმი მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაში დაადანაშაულეს, ტყუილი აღმოჩნდა.

ჰუსეინმა დაკითხვისას უარყო ბრალდება, რომ მონაწილეობდა ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ შექმნაში, აგრეთვე, განაცხადა, რომ ერაყს არასოდეს ჰქონია მასობრივი განადგურების იარაღი.

„ერაყი არ არის ტერორისტების ქვეყანა. ჩვენ არ გვაქვს კავშირი ბენ ლადენთან და არც მასობრივი განადგურების იარაღს ვამზადებთ. ჩვენ არ ვემუქრებით მეზობლებს“, — ამბობდა ჰუსეინი დაკითხვისას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებაზე ჰუსეინმა აღნიშნა, რომ ამ ტერაქტში მონაწილეობდნენ საუდის არაბეთის წარმომადგენლები, ტერორისტებს კი ხელმძღვანელობდა ეგვიპტელი **მუჰამედ ატა.** ამერიკელ სამხედროებს ჰუსეინმა „უზრდელები“ უწოდა და დასძინა, რომ მათ არაფერი გამოუვათ ერაყის ტერიტორიაზე, რადგან ამ სახელმწიფოს მართვა იოლი არ არის.

ჯონ ნიქსონი აღნიშნავს, რომ, როგორც ბოლო მოვლენებმა აჩვენა, სადამ ჰუსეინი მართალი იყო.

# მევლუთ ჩავუშოღლუ: ტრამპის ადმინისტრაციისგან გიულენის გადმოცემას ველოდებით

**თურქეთის ხელისუფლება ვარაუდობს, რომ აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის ადმინისტრაცია ანკარას ოპოზიციონერ ისლამისტს, სასულიერო პირ ფეთჰულა გიულენს გადასცემს.**



„არ მგონია, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაც იმავე შეცდომებს დაუშვებს, რომლებიც მისმა წინამორბედმა დაუშვა. ჩვენ აშშ-ისგან ფეთჰულა გიულენის გადმოცემას ველით“, — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ.

მინისტრმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ რუსეთი კვლავ თურქეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორია, თუმცა ისიც დასძინა, რომ ანკარა არ აპირებს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის უარყოფას.

თურქეთის ხელისუფლება გიულენს ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობაში ადანაშაულებს. მას გასული წლის ივნისში, თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორად მიიჩნევენ. გიულენი აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფს.

# ერდოღანის აზრით, თურქეთის უსაფრთხოება ალეპოსა და იდლიბში, კვიპროსზე, ნახიჭევანში, ბათუმსა და ბალკანეთში იწყება

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ტერორისტები თურქი ხალხის განადგურებას ცდილობენ, მაგრამ არ გამოუვათ.**

მისი თქმით, ის, ვინც თურქეთს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმაში ადანაშაულებდა, დღეს ანკარისგან ანტიტერორისტული ოპერაციის შეწყვეტას ითხოვს. „საინტერესოა, რომ, ვინც ადრე თურქეთს ურცხვად ბრალს სდებდა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმაში, დღეს ანკარისგან ითხოვს ანტიტერორისტული ოპერაციის შეწყვეტას, მაგრამ ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს გზას. ჩვენ ძირშივე უნდა გავანადგუროთ თურქეთის მიმართ საფრთხეები; ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თურქეთის უსაფრთხოება არა გაზიანთეფის, ყარსის ან ართვინის პროვინციებში იწყება, არამედ სირიის ალეპოსა და იდლიბში, კვიპროსზე, ნახიჭევანში, ბათუმსა და ბალკანეთში“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894